CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 12 ნოემბერი, 2009 წელი. №248 (2286) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

"მოლოტოვ-რიბენტროპის მილსადენი"
A7

დროის ანარეკლი
A9

შეხვედრა "იაგუარებთან"
A13

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საფონდო ჯგუფი

ანდრე გლუქსმანი: "რუსეთში ცვლილებები მხოლოდ რუსების ძალისხმევით მოხდება"

საფრანგეთში დიდი ყურადღება ექცევა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ჟურნალისტ ანასტასია ბაბუროვასა და ადამიანის უფლებათა დამცველის, ადვოკატ სტანისლავ მარკელოვის მკვლელობის თანამონაწილეობაში ეჭვმიტანილ ორ პირს ეხება. საფრანგეთის ხელისუფლება სისტემატურად მოუწოდება რუსეთის ხელისუფლებას, ყველაფერი იღონოს ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების მრავალრიცხოვან მკვლელობებში დამნაშავეთა დასაკავებლად.

ანა პოლიტკოვსკაიას, ნატალი ესტემიროვასა და ანასტასია ბაბუროვას მკვლელების პოვნის მოთხოვნით 28 ოქტომბერს პარიზში კიდევ ერთხელ გამოვიდა საფრანგეთის მთავარი დიპლომატი ბერნარ კუშნერი. საფრანგეთის ჟურნალისტიკის ინსტიტუტ "IFP"-ში სიტყვით გამოსვლისას მან პრესის მომავალ თანამშრომლებს მოუწოდა, "მტკიცედ იდგნენ თავიანთ მოქალაქეობრივ პოზიციაზე, რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს."

გაგრძელება A8 გვერდზე

ანდრე გლუკსმანი

საწყისებისკენ

უძველესი თბილისის ძიებისთვის

სოფო კილასონია

*აქამდე ვიცოდით, რომ თბილისში ორი თბილისის ნახვა შეიძლებოდა - ძველი თბილისის და იმ ქალაქის, რომლის ავტორებიც თანამედროვე თბილისელები ვართ. დღეს საღამოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგთა ჯგუფი შეეცდება დაგვარწმუნოს, რომ არსებობს ჩვენი ქალაქის მესამე ფენა, ისეთივე თვალსაჩინო, როგორიც ორი ზემოთ ხსენებული და რომ **უძველესმა თბილისმა** არა მხოლოდ ჩვენს ლექსიკაში, არამედ ჩვენს დღევანდელობაში, მეცნიერებასა და ტურიზმშიც კი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიმკვიდროს.*

ეროვნული მუზეუმი ქალაქის საკრებულოსთან ერთად იწყებს პროექტს, რომლის მიზანი და მისია არის უძველესი თბილისის წარმოჩენა, შესწავლა და რეაბილიტაცია. სწორედ ამ პროექტის სასტარტო პოზიციის დაანონსება მოხდება ამ საღამოს თბილისის ეროვნულ მუზეუმში "ქარვასლა", სადაც პროექტის პრეზენტაციას მეცნიერები სპეციალურ ექსპოზიციასაც დაურთავენ.

გაგრძელება A9 გვერდზე

CMYK - 1

რუსეთი ახალ სამხედრო დოქტრინას წლის ბოლომდე მიიღებს

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო დოქტრინას მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღებენ. ამის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა. "სამხედრო დოქტრინა წლის ბოლოსთვის იქნება მიღებული. ამჟამად მისი განხილვა მიმდინარეობს და ვფიქრობ წლის ბოლომდე ჩვენ მას მივიღებთ", - განაცხადა მაკაროვმა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე გასცა განკარგულება 2009 წლის ბოლომდე სამხედრო რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის ახალი სამხედრო დოქტრინის შემუშავების შესახებ.

გაერო დაზარალებულთა უფლებების შესახებ

გაერო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის, ვოლტერ კელინის განცხადებით, "კონფლიქტის ყველა მხარემ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ დევნილთა უფლებები დაცული და მათი ცხოვრების პირობები კი გაუმჯობესებული იყოს". ამის შესახებ კელინმ ცხინვალში ვიზიტის დასრულების შემდეგ განაცხადა. გაერო-ს გენერალური მდივნის თანაშემწემ კონფლიქტის მხარეებს მეტი პრაგმატიზმისა და ნაკლები პოლიტიზებულობისკენ მოუწოდა.

"სეპარატისტულ რესპუბლიკაში ადამიანების ნაწილი, რომელთა სახლები ომის დროს დაინგრა, ჯერ კიდევ თავშესაფრის გარეშე ცხოვრობს. აღდგენითი სამუშაოები კი ძალიან ნელა მიმდინარეობს. იმედია ჟენევის მოლაპარაკებებზე მხარეები ადგილობრივი მოსახლეობისა და ომის დროს დაზარალებულთა უფლებებზე იმსჯელებენ და გარკვეულ შეთანხმებას მიაღწევენ", - განაცხადა მან.

კოდორის ხეობაში საბრძოლო მასალის საწყობი აღმოაჩინეს

რუსმა მესაზღვრეებმა კოდორის ხეობაში საბრძოლო მასალის საწყობი აღმოაჩინეს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "აპსნი პრესი" იუწყება.

გულრიფშის რაიონის სოფელ საკენში, მიტოვებულ სახლში ხელის ყუმბარმტყორცნის 100-ზე მეტი ყუმბარა ინახებოდა.

"აღმოჩენილი საბრძოლო მასალის მდგომარეობა და რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ ის აფხაზეთში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით, ტერაქტების მოსაწყობად იყო გამიზნული", - აცხადებენ რუსი მესაზღვრეები.

მათივე ინფორმაციით, ნაპოვნ საბრძოლო მასალას გაანადგურებენ. მიმდინარეობს გამოძიება იმ პირების დასადგენად, რომლებმაც მიტოვებულ სახლში საბრძოლო მასალა შეიტანეს.

სტიქიამ კახეთს 7 მლნ 865 ათასი ლარის ზარალი მიაყენა

30, 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს კახეთში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა რეგიონს 7 მლნ 865 ათასი ლარის ზარალი მიაყენა. ამ ინფორმაციას კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი ავრცელებს. ოფიციალური მონაცემებით, ყველაზე მეტად ყვარლის რაიონი დაზარალდა. ზარალის ოდენობამ სულ 3 მლნ 638 ათასი ლარი შეადგინა. ბევრ სოფელში საერთოდ განადგურდა, ხოლო ზოგან დაზიანდა ინფრასტრუქტურა - ძირითადად ნაპირსამაგრი გაბიონები და სასმელი წყლის სათავე ნაგებობები. დაიტბორა 1000 ჰექტარზე მეტი სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები. ამ მიმართულებით ზარალი 1 398 000 ლარს შეადგენს. 695 ათასი ლარით დაზარალდა ახმეტის რაიონი. დაზარალებულია 75 ოჯახი. აღსადგენია ახმეტა-თიანეთის გზის 200 მეტრიანი მონაკვეთი და ქალაქ ახმეტის წყალსადენის სათავე ნაგებობა; 1 270 000 ლარის ზარალი მიიღო გურჯაანის რაიონმა. 1 232 000 ლარით დაზარალდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. თელავში დაზარალებულია 300 ოჯახი. აღნიშნულ რაიონს 1 030 000 ლარის ზარალი მიადგა.

"ჩვენ გვინდა არჩევნები, მაგრამ სააკაშვილის წასვლის შემდეგ"

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ოპოზიციას არჩევნები სააკაშვილის წასვლის შემდეგ უნდა.

"ხელისუფლება მიზანმიმართულად ერევა ოპოზიციურ პარტიათა მოქმედების პროცესში, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი პოლიტიკური რეალობა - "მომლაპარაკებელი" და "შეურიგებელი" ოპოზიცია, არჩევნებისა და აქციების გზა. დიახ, ჩვენ გვინდა არჩევნები, მაგრამ სააკაშვილის წასვლის შემდეგ", - განაცხადა ბურჯანაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, "სააკაშვილი არ დათმობს მონოპოლიას არჩევნების შედეგებზე, არ შეცვლის საარჩევნო გარემოს, არ დათმობს მონოპოლიას ინფორმაციაზე, არ გაანთავისუფლებს მედიას".

"ამიტომ, ნებისმიერი არჩევნები, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის დროს გაიმართება მხოლოდ გააძლიერებს რეჟიმს. ამიტომ ჩვენი გზა შეურიგებელთა ფრონტზე გადის, რომლის ორგანიზებაც ინტენსიურად გრძელდება. საქართველოში არჩევნები სააკაშვილის გარეშე უნდა ჩატარდეს. ჩვენ ყოველდღიურად ვაგრძელებთ ბრძოლას შეურიგებელთა რიგების გაძლიერებისათვის. საქართველოში სააკაშვილის მიერ ორგანიზებული არჩევნები აღარ უნდა ჩატარდეს", - განმარტა მან.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმი მარტივდება

ნათია მაჭარაშვილი

საქართველომ და ევროკავშირმა შეიმუშავეს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეთა 20 კატეგორიისთვის ევროკავშირის ქვეყნებში შესასვლელი ვიზების მიღება მნიშვნელოვნად მარტივდება. პროექტის მიხედვით, შენგენის მოკლევადიანი ვიზების ღირებულებაც დაიკლებს, ხოლო დიპლომატებს ვიზის აღება აღარ დასჭირდებათ. სავარაუდოდ, დოკუმენტს წლის ბოლოს მოეწერება ხელი, ექვსი თვის შემდეგ კი ძალაში შევა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიას განცხადებით, პროექტის თანახმად, იმ პირების ახლო ნათესავები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში ცხოვრობენ, ვიზის მიღებას მათ მიერ გამოგზავნილი მისაწვევი წერილის მეშვეობითაც შეძლებენ. ასევე უპრობლემოდ აიღებენ ვიზას სპორტსმენები და ჟურნალისტები.

"საქართველოს ყველა მოქალაქისთვის მოკლევადიანი ვიზის ღირებულება შეადგენს 35 ევროს, ნაცვლად 60 ევროსი," - განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

უფასო ვიზებს მიიღებენ სტუდენტები, ქართველი პედაგოგები და პროფესურა.

ბიზნესმენებს უფასო ვიზების გაცემა არ შეეხებათ. გრძელვადიანი ვიზები - 2-დან 5-წლამდე - მხოლოდ "სუფთა" დოსიეს მქონე პირებს მიეცემათ.

სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ოქტომბერში ჩატარებულ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს. იქვე ისაუბრეს ე.წ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებაც. შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად ევროკავშირთან მოლაპარაკებები ამ წლის ბოლოს ან 2010 წლის დასაწყისთვის არის ნავარაუდევი. პროცესის დასრულებას (ხელშეკრულების გაფორმებას) ალბათ 3-4 წელი დასჭირდება. ევროკავშირისა და საქართველოს მხარეებმა იმის შესახებაც იმსჯელეს, რომ ჩვენი ქვეყანა ერთიანი საჰაერო მიმოსვლისა და კონტროლის ევროპული სივრცის ნაწილი გახდეს.ქართული მხარე აღნიშნავს, რომ ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანების პერსპექტივა საქართველოში უცხოელ ინვესტორებს მოიზიდავს.საქართველო და ევროკავშირი მომავალში ასევე დაიწყებენ მუშაობას ხელშეკრულებაზე "საქართველოს მოქალაქეების მობილურობის შესახებ". სოციალური თვალსაზრისით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. აღნიშნული ხელშეკრულება გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე არა უბრალოდ შესვლას, არამედ იქ ლეგალურად მუშაობის დაწყებას, ოღონდ ერთი პირობით - 4-5 წლის მუშაობის შემდეგ სხვადასხვა სამუშაოებზე დასაქმებული პირები აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში.

ხსენებული ხელშეკრულების გაფორმება ჩვენს თანამემამულეებს საშუალებას მისცემს, ლეგალურად იცხოვრონ და იშრომონ ევროკავშირის სივრცეში და თავიანთი შრომის შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ.

აფხაზეთი რუსულ სატელეფონო კოდებზე 15 ნოემბრიდან გადადის

ნათია მსხილაძე

15 ნოემბრიდან აფხაზეთში დარეკვა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისთვის მინიჭებული სატელეფონო კოდით იქნება შესაძლებელი. აფხაზეთში მოქმედი საქართველოს კოდი 31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს გაითიშება.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემდეგი კოდები ამოქმედდება:

სოხუმი და სოხუმის რაიონი + 7 840 22X XX XX

გაგრის რაიონი + 7 840 23X XX XX

გუდაუთის რაიონი +7 840 24X XX XX

გულრიფშის რაიონი +7 840 27X XX XX

ოჩამჩირის რაიონი +7 840 25X XX XX

ტყვარჩელის რაიონი +7 840 26X XX XX

გალის რაიონი +7 840 28X XX XX

სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი მობილური ოპერატორებისთვის:

"აკვაფონი" : +7 940 9XX XX XX

"ა-მობაილი": +7 940 7XX XX XX

ვიდრე რუსეთი სატელეფონო კოდის შესახებ ნოვაციით გამოვიდოდა, მანამდე აფხაზეთში დარეკვა იმ კოდით ხორციელდებოდა, რომელიც 2006 წელს, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ აფხაზეთს საქართველოს გავლით მიანიჭა, ანუ 2006 წელს შეიცვალა საბჭოთა კავშირის დროინდელი სატელეფონო კოდი.

რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტისთვის, სატელეფონო კოდის მინიჭება საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა. თუმცა, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიას კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურის გაფრთხილება ან დაჯარიმება არ შეუძლია. **"კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის ცენტრში გაერთიანებული ყველა ქვეყნის ცეტრალური ოფისი და მაკოორდინებელი ორგანოა "ITU". რუსეთის ქმედების შესახებ კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ უკვე შეატყობინა საგარეო საქმეთა სამინისტროს და ITU-ს,"** - აღნიშნა გაზეთ "24 საათთან" საუბრისას კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრმა ირაკლი მოსეშვილმა.

ამ ფაქტზე რეაგირებისთვის ქართულ მხარეს ერთადერთი სამართლებრივი მექანიზმი გააჩნია - დაიწყოს საქმის წარმოება ნებისმიერი საერთაშორისო კომპანიის (იქნება ეს რუსეთი, გერმანია და ა.შ.) წინააღმდეგ, რომელიც აფხაზეთის სატელეფონო კომპანიებთან ურთიერთობას რუსეთის მიერ მინიჭებული კოდით დაამყარებს. **"საქართველოში არსებობს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. აღნიშნული კანონის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო ეკონომიკური საქმიანობა დასჯადია. შესაბამისად, ჩვენ იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც აფხაზეთის სატელეფონო კომპანიებთან ურთიერთობას აღნიშნული კოდით დაამყარებენ, შეგვიძლია გამოვიყენოთ სანქციები, ეს შეიძლება იყო გაფრთხილება, შემდეგ კი ფინანსური ჯარიმა. ეს ყველა საერთაშორისო კომპანიას ესმის და აქედან გამომდინარე იციან, რომ აფხაზეთთან, როგორც რუსეთთან სატელეფონო კოდით მიერთებულ სუბიექტთან, არ უნდა იქონიონ ურთიერთობა,"** - აღნიშნა ირაკლი მოსეშვილმა.

როგორც კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში განმარტეს, დაჯარიმების პირველი საფეხურია გაფრთხილება. მის უგულვებელყოფას მოჰყვება 50 ათასი ლარის ოდენობის ფულადი ჯარიმა, რომელიც, გადაუხდელობის შემთხვევაში, იზრდება 500 ათას ლარამდე, შემდეგ მილიონ ლარამდე და ა.შ. დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული კომისია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით პროკურატურასაც მიმართავს. თავად პროკურატურაში ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ნაადრევად მიაჩნიათ.

რუსულ სატელეფონო კოდებზე აფხაზეთის გადასვლას საფრანგეთიც გამოეხმაურა და ეს ნაბიჯი კავკასიის კონფლიქტის ფარგლებში სერიოზულ პრობლემად მიიჩნია. **"ეს არის პრობლემა, რომელიც დროულად უნდა გადაიჭრას. ახლაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ჩვენ ორივე მხარეს დიალოგისკენ მოვუწოდებთ - ეს არის არსებულ რეალობაში დიპლომატების მოქმედების საბაზისო პრინციპები, მიუხედავად იმისა, საკითხი ეხება სატელეფონო, ტერიტორიულ თუ ენერგეტიკული თემებს,"** - განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პრესმდივანმა ბერნარ ვალერომ.

საფრანგეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის პოზიცია უცვლელია, პარიზი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

უფასო ეთერი აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატებს

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტობის კანდიდატებს ე.წ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აფხაზური ტელევიზიითა და რადიოთი 4-საათიანი უფასო ეთერი გამოუყო. ამის შესახებ სანფორმაციო სააგენტო "აპსნი პრესი" იუწყება. "ასევე, აფხაზეთის ტელევიზიით დღეში ერთხელ გავა საარეკლამო რგოლები კანდიდატების შესახებ. რგოლების ჩვენება 20 დღის განმავლობაში გაგრძელდება", - განაცხადა ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ბატალ ტაბაღუამ.

ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატები კითხვებს ტელევიზიით 7-11 დეკემბერს უპასუხებენ, მანამდე კი 30 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ტელეეთერით კითხვებზე პასუხს ე.წ. ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატები გასცემენ.

სოხუმის რეჟიმი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას 12 დეკემბრისთვის გეგმავს. კენჭს იყრის ხუთი კანდიდატი - სერგეი ბაღაფში, რაულ ხაჯიმბა, ბესლან ბუთბა, ზაურ არძინბა და ვიტალი ბღანბა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რუსეთი უსაფრთხოების არქიტექტურის წინააღმდეგ

გუშინ ჟენევაში მოლაპარაკებები რვა საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. გაერო-ს, ევროკავშირის და ეუთო-ს ფორმატით გამართულ კონსულტაციებზე, რომლებშიც აშშ, საქართველო და რუსეთი მონაწილეობდნენ, მხარეებმა არსებითი საკითხები განიხილეს. მსჯელობის მთავარი თემები იყო ძალის გამოუყენებლობა და უსაფრთხოება. გარდა ამისა, დღის წესრიგში სოფელ ტირძნისიდან გატაცებული არასრულწლოვნების გათავისუფლების საკითხიც იდგა.

დათო გამისონია

ჟენევის კონსულტაციების მერვე შეხვედრის დაწყებამდე კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები პიერ მორელი (საქართველოს კრიზისების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი), იოჰან ვერბეკე (გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი) და ხარლამპოს ქრისტოპულოსი (ეუთო-ს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი) უსაფრთხოების არქიტექტურის დოკუმენტზე მუშაობდნენ. მათ ეს დოკუმენტი გუშინდელ დისკუსიაზე წარმოადგინეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დელეგაციის წევრებს აღნიშნულ დოკუმენტზე ინფორმაცია ჰქონდათ, კონკრეტულ საკითხებზე შენიშვნების გამოთქმის ნაცვლად განაცხადეს, რომ დოკუმენტს არ იცნობენ და მასზე მსჯელობა ვერ გაიმართა. დოკუმენტის გასაცნობად რუსულმა დელეგაციამ კიდევ ორი თვე მოითხოვა, შემდეგი შეხვედრა 2010 წლის 28 იანვარს არის დაგეგმილი.

საქართველოს დელეგაციის ფარგლებში მყოფმა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ, რომელიც მოლაპარაკებების სამუშაო ჯგუფში ოკუპირებული ტერიტორიის ქართული თემის წარმომადგენელია, აღნიშნა, რომ **"ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად, რუსული მხარის თანამონაწილეობით არის შედგენილი და თავიდან ბოლომდე იცოდნენ მისი ხასიათი და შინაარსი, თუმცა, სამწუხაროდ, მათ შეხვედრა ჩააგდეს."** საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ და დელეგაციის ხელმძღვანელმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ **"რუსეთის მხრიდან ამხელა კამპანიის (როცა ითხოვდნენ ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტს) შემდეგ, როდესაც საქმე რეალურად ახალი არქიტექტურის განხილვამდე მივიდა, მისი კომპონენტი კი ძალის გამოუყენებლობაც იქნება, მაშინვე წავაწყდით ვითარებას, რომ რუსეთს რეალურად არ სურს ეს. ამ დისკუსიის დროს რუსეთი ძალიან გაურკვეველ და სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა."** რაც შეეხება საქართველოს პოზიციას, ბოკერიას თქმით, **"თანათავმჯდომარეების მიერ უსაფრთხოების არქიტექტურაზე წარმოდგენილი დოკუმენტის საბაზისო დოკუმენტად აღებას, რა თქმა უნდა, გარკვეული შენიშვნებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ."**

დოკუმენტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მხარეებს შორის ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა. თუმცა, ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას სწორედ მასზე ხელმომწერი მხარეების განსაზღვრა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლების პოზიციის თანახმად, დოკუმენტი საქართველოს ხელისუფლებამ სოხუმისა და ცხინვალის ფაქტობრივ ხელისუფლებებთან უნდა გააფორმოს. აღნიშნულ პოზიციას ჟენევაში მყოფი ქართული დელეგაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ **"ამგვარი შეთანხმების ხელმოწერა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს შორის და ის ასევე უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციას."**

"24 საათი" ესაუბრა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს. მას სოხუმის და ცხინვალის ხელისუფლებებთან ხელშეკრულების ხელმოწერა მიზანშეუწონლად მიაჩნია. **"მართლაც, ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გაფორმდეს,"** - აცხადებს გეგეშიძე. ოკუპირებული ტერიტორიებზე და მის სიახლოვეს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე საუბრისას გეგეშიძემ განაცხადა: **"ქართული მხარე მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, ორივე მხარეს, უნდა გაიზარდოს საერთაშორისო ორგანიზაციის მანდატი - კერძოდ, ევროკავშირის მისიის ფუნქციები. რუსეთი კი ასე აყენებს საკითხს - სტაბილურობა ბაგაფშისა და კოკოითის ხელისუფლებებთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დადგება."** ექსპერტის აზრით, ამ ორი განსხვავებული პოზიციის დაახლოება ან ურთიერთმორგება უნდა იყოს ჟენევის მიმდინარე მოლაპარაკებების მთავარი დანიშნულება. თუმცა, ამ კუთხით დაბრკოლებებია მოსალოდნელი. გეგეშიძის თქმით, რუსეთს არ სურს ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების გაფორმება.

დე ფაქტო ხელისუფლებებთან შეთანხმების გაფორმება გეგეშიძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაჩნია დასაშვებად, თუ დოკუმენტს რუსეთი და საქართველო ხელს მოაწერენ, ხოლო სოხუმის და ცხინვალის ფაქტობრივ ხელისუფლებებთან ხელმოწერილი შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან ხელმოწერილი ხელშეკრულების პაკეტში მოექცევა. **"უნდა იყოს ქართულ-რუსული დოკუმენტი, რომლის ნაწილი იქნება, პროტოკოლის ან სხვა ფორმით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დოკუმენტი,"** - აღნიშნა გეგეშიძემ.

ხელმოწერასთან ერთად, დღის წესრიგში დგება მისი რეალიზების საკითხი. არჩილ გეგეშიძე მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების შესრულების გარანტორებად საერთაშორისო საზოგადოება მაქსიმალურად უნდა იყოს წარმოდგენილი. ესენი შეიძლება იყვნენ ჟენევის ფორმატით გათვალისწინებული ორგანიზაციები, კერძოდ, გაერო, ეუთო და ევროკავშირი. მას მიაჩნია, რომ საქართველომ ხელშეკრულებას მხოლოდ ასეთი პირობებით უნდა მოეწეროს ხელი. გეგეშიძემ დასძინა, რომ **"ძალიან კარგია, თუ მოხერხდება და შეერთებული შტატებიც იქნება გარანტორი, თუმცა რუსეთი ამას შეეწინააღმდეგება."** მისი აზრით, ხელშეკრულებაში საგარანტიო სქემით, დამატებით უნდა გაითვალისწინონ ხელშეკრულების მონიტორინგი. **"მთავარია, ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებაში ქართულმა და რუსულმა მხარეებმა ურთიერთვალდებულებები აიღონ. შემდეგ კი უნდა დადგეს საკითხი, რა მექანიზმებით იქნება უზრუნველყოფილი ყოველივე ეს,"** - მიაჩნია გეგეშიძეს. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ცალკე თემაა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შეშვება. თუმცა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამ კუთხით გადაწყვეტილების მიღება გაადვილდება.

ვიდრე ჟენევის ფორმატში უსაფრთხოების არქიტექტურის დოკუმენტზე მსჯელობენ, საქართველოში დღესდღეობით შექმნილი ვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანის უფლებები დაცულის იყოს როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე მიმდებარე სოფლებში. მით უმეტეს დღემდე ცხინვალის წინასწარი დაკავების საკნები იმყოფებიან გორის რაიონის სოფელ ტირძნისიდან 4 ნოემბერს გატაცებული არასრულწლოვნები. მათი გათავისუფლების საკითხი ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში განიხილეს. შვეიცარიაში საქართველოს დელეგაციასთან ერთად იმყოფოდა ოკუპირებულ ტერიტორიის ქართული თემის წარმომადგენელი, ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი. მისი თქმით, **"ქართულმა მხარემ მოზარდების გათავისუფლება მოითხოვა, მაგრამ ამ საკითხზე შესაბამისი პასუხი ვერ მივიღეთ."** გიგა ბოკერიამ გატაცებული არასრულწლოვნების საკითხის შესასწავლად მხარეებს ევროპელი დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის შექმნა შესთავაზა. თუმცა, მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

ედუარდ კოკოითის სპეციალური წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ **"მათ, ვისაც თქვენ მოზარდებს უწოდებთ, თან ხელყუმბარები და ასაფეთქებელი ნივთიერებები ჰქონდათ. ისინი უკვე ორჯერ მოინახულეს წითელი "ჯვრის" ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ამის საშუალება ნათესავებსაც ექნებათ. მაგრამ, რა ქნან საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებული ოსების მშობლებმა, რომელთაც თვალით არ უნახავთ საკუთარი შვილები. საქართველოში მოკვლევას ვერ ჩავატარებთ. ჩვენ არ ვენდობით დამოუკიდებელ ექსპერტებს, რადგან ისინი პროქართული ორიენტაციის არიან. ორი თვის წინათ ჰაბერმა გამოგვიცხადა, რომ მათი მისიაა, იმუშაონ და ყველა ქვეყანა დააარწმუნონ, რომ ჩვენი და აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ აღიარონ. სწორედ, ევროკავშირმა არ მისცა ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს ვიზა, ასეთი მითითება ყველა აფხაზ და ოს პოლიტიკოსზე ვრცელდება."**

რაც შეეხება მოლაპარაკებების მოდერატორთა პოზიციას, გატაცებულ არასრულწლოვანთა საკითხზე ჟენევის პროცესის თანათავმჯდომარეებმა შეშფოთება გამოთქვეს და გუშინ მიღებულ კომუნიკეში ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერეს, რომ ოთხი არასრულწლოვანი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მოლაპარაკებების შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე პიერ მორელიმ განაცხადა, რომ **"ეს ინციდენტები უნდა მოგვარდეს პრევენციის მექანიზმების საშუალებით, რომელიც პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტურ გზად რჩება."**

მოზარდების გათავისუფლების მოთხოვნით გუშინ ინიციატივა წამოაყენა ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარემ გია თორთლაძემ. დეპუტატი ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელში ჩავიდა და არასრულწლოვნების გამტაცებლებს ერგნეთის საგუშაგოდან მიმართა. **"შევთავაზე სამი ვარიანტი: ერთი - გაათავისუფლონ ბავშვები, მეორე - გამოუშვან ისინი და მე დავრჩები მათ მაგივრად, სანამ სიტუაცია გაირკვევა და მესამე - მომცენ უფლება, მათთან ერთად ჩავჯდე იზოლატორში, სანამ მათი საქმე არ გაირკვევა და არ გათავისუფლდებიან,"** - განაცხადა თორთლაძემ. დეპუტატი ცხინვალის მოსაზღვრე სოფელში დარჩა და საოკუპაციო ჯარების სარდლობასთან დაკავშირებას ცდილობდა. ის მოგვიანებით ცხინვალის რეგიონში განთავსებული საოკუპაციო ჯარების უფროსის მოადგილეს შეხვდა და საკუთარი მოთხოვნები წერილობით გადასცა.

ამერიკელი კონგრესმენების მიმართვა ეკვადორის ელჩს

ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით აშშ-ი ეკვადორის ელჩს ოფიციალური წერილით მიმართავენ.

წერილი საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელების, ალისონ შვარცისა და ბილ შუსტერის ინიციატივით გავრცელდა.

განცხადებაში მერიკელი კონგრესმენები თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ ეკვადორის გადაწყვეტილებაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარების შესახებ.

წერილში კონგრესმენები აღნიშნავენ, რომ ამერიკის, ევროკავშირის, ნატო-ს და გაერო-ს წევრი ქვეყნების მიერ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარებულია, როგორც სუვერენული საქართველოს განუყოფელი ნაწილები და ეს საერთაშორისო შეთანხმება ოფიციალურად არის დაფიქსირებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს უამრავ რეზოლუციაში.

"არ არსებობს რაიმე კანონიერი საერთაშორისო შეთანხმება ან პრეცედენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვიხილოთ ეს ტერიტორიები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება იქნება უხეში დარღვევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენულობის, ასევე, გაერო-ს ქარტიით განსაზღვრული პრინციპებისა და უფლებების", -აღნიშნავენ წერილის დასასრულს ამრიკელი კონგრესმენები.

ამერიკელი კოგრესმენების წერილის ასლი ქართველმა დეპუტატებმაც მიიღეს.

"ლისაბონის ხელშეკრულება" ძალაში დეკემბრიდან შევა

"ლისაბონის ხელშეკრულება", რომელიც ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთებას ითვალისწინებს, ძალაში 2009 წლის 1-ელი დეკემბრიდან შევა.

ამ ინფორმაციას საქართველოში ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო ავრცელებს. ბიუროს ცნობით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ლუის მარია დე პუჩიმ იმედი გამოთქვა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთება ევროკავშირისთვის პრიორიტეტული გახდება.

"მომავალი თვიდან, 27 წევრი სახელმწიფოს მომცველ ევროკავშირს შეეძლება, გახდეს უფრო დემოკრატიული, გამჭვირვალე და ეფექტური. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ევროკავშირს პირველ რიგში მიეცემა შესაძლებლობა, ევროპის საბჭოს ამ კონვენციასთან მიერთების გზით განამტკიცოს სამართლებრივი სარწმუნობის პრინციპი იმგვარად, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების ქმედებები და გადაწყვეტილებები დაექვემდებაროს იგივე სახის გარეშე კონტროლს, რასაც მისი წევრი სახელმწიფოები ექვემდებარებიან. მიერთებისათვის მზადება ამიერიდან უნდა გახდეს დღის წესრიგის მთავარი პუნქტი ორ ორგანიზაციას შორის დებატებში", - განაცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა.

ცხინვალს ინციდენტების პრევენციის მექანიზმი აღარ ჭირდება

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი ლიდერი ბორის ჩოჩიევი ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ფორმატის გაუქმებას ითხოვს.

მისი განმარტებით, ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ფორმატში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრებს არანაირი კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

ჩოჩიევის აღნიშნული ინიციატივა ქართულმა მხარემ უკვე გააპროტესტა. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას განცხადებით, აღნიშნულ ფორმატში ოთხმხრივი შეხვედრების გამართვა აუცილებელია თუნდაც ბოლო ინციდენტიდან გამომდინარე, რომელიც სოფელ ტირძნისიდან არასრულწლოვნების გატაცებას შეეხება.

"სწორედ ამ ოთხმხრივი შეხვედრების დროს არის შესაძლებელი მსგავსი საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ფორმატის გაუქმება დაუშვებელია", - განაცხადა არამიამ.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დღეს გაიმართება. შეხვედრა დაახლოებით 3 საათში დაიწყება.

იური ლუჟკოვი სოხუმს ეწვევა

13 ნოემბერს სეპარატისტულ აფხაზეთში მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ჩადის. აფხაზური მხარის ინფორმაციით, ლუჟკოვთან ერთად სოხუმს მოსკოვის მერიის წარმომადგენელთა დიდი დელეგაცია ეწვევა. ამ ინფორმაციას სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

"10:30 საათზე მოსკოვის მერის თვითმფრინავი სოხუმის აეროპორტში დაეშვება. გაფორმდება რამდენიმე ხელშეკრულება მოსკოვისა და აფხაზეთის მთავრობებს შორის", - იუწყება აფხაზური მხარე.

მათი ინფორმაციით ხელშეკრულებები სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ჰუმანიტარულ-კულტურულ სფეროებშიც გაფორმდება. ხელს მოაწერენ მემორანდუმსაც სამეწარმეო სფეროში.

ასევე, იგეგმება მოსკოვის მთავრობის დელეგაციის მიერ აფხაზეთში ჩატანილი ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი. ხოლო მოგვიანებით, მოსკოვის მთავრობის დელეგაცია სოხუმის ცენტში "მოსკოვის სახლის" სამშენებლო სამუშაოებს მოინახულებს. ამის შემდეგ კი ფილარმონიაში კონცერტი გაიმართება სახელწოდებით - "რუსეთისა და აფხაზეთის ახალგაზრდობა - ერთად მომავლისკენ".

"მაგთიკომი" უახლოეს პერიოდში საზოგადოებას IP ტელევიზიას - "მაგთი TV"-ის შესთავაზებს

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომი" უახლოეს პერიოდში საზოგადოებას IP ტელევიზიას - "მაგთი TV" -ის შესთავაზებს.

როგორც დღეს "მაგთიკომის" ოფისში გამართულ ბრიფინგზე "მაგთი TV"-ის პროექტის ხელმძღვანელმა გიორგი წიქარიშვილმა განმარტა, IP TV ციფრული, საკაბელო ტელევიზიაა, რომელსაც მაყურებელი IP ქსელის საშუალებით მიიღებს.

"მაგთი TV"-ის საშუალებით მომხმარებელი მსოფლიოში სხვადასხვა სატელევიზიო არხებს მიიღებს. გარდა ამისა, "მაგთი TV" მაყურებელს სხვადასხვა სერვისებსაც შესთავაზებს. კონკრეტულად, შესაძლებლობა ექნება, საჭიროების შემთხვევაში, მიმდინარე ფილმი თუ კონცერტი გააჩეროს და მისი ყურება მაშინ გააგრძელოს, როცა ამის დრო ექნება. ამასთან, მაყურებელს საშუალება ეძლევა, არხი გადაახვიოს და 5 დღით ადრე გასულ პროგრამას თუ პროექტს თავიდან უყუროს.

"გარდა ამისა, გვექნება ვიდეოგაქირავების სერვისი. კატალოგში შევა ცნობილი ფილმები თუ კონცერტები, რასაც მაყურებელი სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს გამოიწერს და უყურებს," - აღნიშნა წიქარიშვილმა.

კომუნიკაციების დარგში "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ გურგენიძის განცხადებით, აღსანიშნავია, რომ "მაგთი TV" არ წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანიას და არ ქმნის პროდუქციას, არამედ მსოფლიოში უკვე არსებული არხების ტრანზიტს მოახდენს - მიიღებს არხებს და შემდეგ გადასცემს მომხმარებელს. გარდა ამისა, მისივე თქმით, "მაგთი TV" მომხმარებელს 100 პროცენტით ლიცენზირებულ პროდუქციას შესთავაზებს; მიიღებს და მომხმარებელს გადასცემს მხოლოდ იმ არხებს, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობის უფლება აქვთ.

მომსახურებას "მაგთი TV" მომხმარებლებს სხვადასხვა პაკეტების სახით შესთავაზებს. ამასთანავე, მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, მისთვის სასურველი სერვისი ინდივიდუალურად შეირჩიოს.

ამ ეტაპზე "მაგთი TV"-ის 4 პაკეტია ჩამოყალიბებული. რაც შეეხება ფასებს, ჯერ არ კონკრეტდება. თუმცა, როგორც "მაგთიკომში" აცხადებენ, ფასი ხელმისაწვდომი იქნება. როგორც ზურაბ გურგენიძე განმარტავს, "მაგთი TV" ტესტირების რეჟიმში უკვე მუშაობს და ამავე რეჟიმში რამდენიმე მომხმარებელიც ჰყავს. ამ ეტაპზე "მაგთი TV" მსოფლიოში არსებულ 80-მდე არხს მოიცავს, რომელთა ოდენობა კიდევ გაიზრდება.

"მაგთი TV"-ის პროექტი "მაგთიკომის" ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის პროექტზეა მიბმული, ყველა ტექნიკური დეტალის მოგვარების შემდეგ აღნიშნული ორივე პროექტი ერთდროულად გაეშვება.

"ჩვენი სურვილია, აღნიშნული პროექტების გაშვება წლის ბოლომდე მოხდეს, თუმცა რამდენიმე ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი. სავარაუდოდ, მომხმარებელს ამ სერვისებს რამდენიმე თვეში შევთავაზებთ," - აღნიშნა ზურაბ გურგენიძემ.

საწყის ეტაპზე "მაგთი TV" ხელმისაწვდომი იქნება თბილისში, შემდეგ კი რეგიონებზეც გავა.

საჯარო მოხელეები ზეგანაკვეთურ გასამრჯელოსაც მიიღებენ

საჯარო მოხელეები ზეგანაკვეთურ გასამრჯელოსაც მიიღებენ. შესაბამისი კომპონენტი კანონმდებლობაში "საჯარო სამსახურის კოდექსის" პროექტის მიხედვით შედის. კერძოდ, ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის საჯარო მოხელე ზეგანაკვეთურ გასამრჯელოს მიიღებს.

პროექტით, ეს ნორმა ვალდებულებითი კატეგორიის არ იქნება - დაწესებულებას საკუთარი ასიგნებების ფარგლებში უფლება ექნება, მოხელეს ზეგანაკვეთური სამუშაო აუნაზღაუროს. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი იმედოვნებს, რომ დროთა განმავლობაში ეს ნორმა სავალდებულო ხასიათს მიიღებს.

"საჯარო სამსახურის კოდექსის" პროექტზე პარლამენტში მიმდინარე სემინარზე მსჯელობენ, რომელშიც უცხოელი ექსპერტებიც მონაწილეობენ. კოდექსს პარლამენტი პირველი მოსმენით მიმდინარე წელს მიიღებს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნათობსადენით ოქტომბერში 3,2 მლნ ტონა აზერბაიჯანული ნავთობი გადაზიდეს

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნათობსადენით ოქტომბერში თურქულ პორტ ჯეიჰანში 3,2 მლნ ტონა აზერბაიჯანული ნავთობი გადაზიდეს. ამის შესახებ სააგენტო აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წერს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით იანვარ-ოქტომბერში გადაზიდული ნავთობის მოცულობამ კი 30,5 მლნ ტონა შეადგინა.

სულ აღნიშნული ნავთობსადენის ექსპლუატაციიდან, ანუ 2006 წლიდან 2009 წლის ოქტომბრამდე, მილსადენით 100,8 მლნ ტონა ნავთობია გადაზიდული.

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები შემცირდა

მსოფლიო ბაზარზე გუშინდელი ვაჭრობის შედეგად, ნავთობის ფასები შემცირდა.

სააგენტო "ასოშეიითედ პრესის" ინფორმაციით, ნიუ-იორკის ბირჟაზე მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 0.38 აშშ დოლარით შემცირდა და 79.05 აშშ დოლარი შეადგინა.

ლონდონის ბირჟაზე კი ნავთობის ფასმა ბარელზე 0.27 აშშ დოლარით მოიკლო და 77.50 აშშ დოლარზე დაფიქსირდა.

მიხეილ სააკაშვილი ახალი ინიციატივებით გამოდის

სალომე ძაძამია

გუშინ კახეთში გამართულ მთავრობის გასვლით სხდომას მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა. პრეზიდენტმა ეკონომიკურ მიმართულებებზე ისაუბრა, ყურადღება საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინიციატივის შესახებაც განაცხადა.

პრეზიდენტის სიტყვებით, საქართველომ ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდი უკვე გადალახა, ეკონომიკა ქვეყანაში დასტაბილურდა და მთელ რიგ სექტორებში აქტიურობა და გამოცოცხლება იგრძნობა.

მიხეილ სააკაშვილი საგადასახადო დავების საბჭოში ბიზნესის წარმომადგენელთა შეყვანის ინიციატივით გამოვიდა. პრეზიდენტი აცხადებს, რომ აღნიშნულ საბჭოში არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ ბიზნესის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ, მაგალითად, ბიზნესმენთა ფედერაციისა და სამრეწველო პალატის წევრები.

"ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა ამა თუ იმ საგადასახადო დავის მიმდინარეობა და შემდეგ გადაწყვეტა ბიზნესის წარმომადგენელთა თანდასწრებით მოხდეს. ეს უნდა მოხდეს საგადასახდო კოდექსის კიდევ უფრო დახვეწის ფონზე, რათა ნაკლები იყოს ინტერპრეტაციისა და ბოროტად გამოყენების ალბათობა, თუნდაც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან," - აღნიშნა პრეზიდენტმა, რომლის შეფასებით, საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საფინანსო სექტორი სრულიად ჯანსაღია, ეროვნული ბანკის რეზერვები ორჯერ მეტია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო; ბანკებში ყველაზე მეტი დეპოზიტებია მობილიზებული, ვიდრე უახლეს ისტორიაში.

"მაგალითად, ჩვენი ევრობონდის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 23 პროცენტზე იყო ასული, თითქმის 7 პროცენტზე ჩამოვიდა. თითქმის ყოველდღე იხსნება ქარხნები, გაზრდილია ავტომობილების გაყიდვა და აქტიურობა უძრავი ქონების ბაზარზე, ფიქსირდება ბინების ფასების ზრდა ბათუმსა და თბილისში," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

"ახლა მთავარია, კერძო სექტორი გამოვიდეს საღათას ძილიდან და დაიწყოს ინტენსიური ინვესტირება. კრიზისის გადალახვას მთავრობის ეფექტურმა მოქმედებამ შეუწყო ხელი, ახლა კი საჭიროა კრიზისის ფსიქოლოგიური ნაწილის გადალახვა. ჩვენ ეკონომიკური კრიზისის შედეგად სერიოზულად დავზარალდით, თუმცა ნაკლებად, ვიდრე მეზობელი ქვეყნები," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ქართულ კომპანიებს სახელმწიფოსთვის დღგ-ს სახით გადახდილი 35 მილიონი ლარი უკან დაუბრუნდება. ამასთან, პრეზიდენტის განცხადებით, გამორიცხული არ არის, წელს კომპანიებს დღგ-ს სახით გადახდილი 180 მილიონი ლარი დაუბრუნდეს.

"ეს არის საგადასახადო შეღავათი, რათა ბიზნესმენებს ინვესტიციების განსახორციელებლად მეტი საშუალება ჰქონდეთ. პრემიერთან ერთად, გადავწყვიტეთ, ბიზნესს დღგ-ს სახით გადახდილი 35 მილიონი ლარი დავუბრუნოთ. საერთო ჯამში წელს შესაძლოა, დაბრუნებულმა თანხამ 180 მილიონ ლარს გადააჭარბოს. ამ სახსრებს სახელმწიფო გადამხდელ კომპანიებს უბრუნებს, რაც მათი ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს," - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის ამ ინიციატივას უკვე გამოეხმაურა "საქართველოს ბიზნესასოციაცია." "საქართველოს ბიზნესასოციაციის" ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ისაკაძე ახალ ინიციატივას კარგ დასაწყისს უწოდებს.

"პრეზიდენტის ინიციატივა მნიშვნელოვანია ყველა იმ ბიზნეს-კომპანიისთვის, რომელიც სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებს. ამიტომ სწორედ ეს ბიზნესმენები დაადასტურებენ ამ უპრეცედენტო ინიციატივის სიკეთეს. აღნიშნული ინიციატივა ჩემთვის, როგორც კომპანია "აგარას" ხელმძღვანელისთვის, 1.5-2 მლნ ლარის მიღებას ნიშნავს, რომელიც ჩვენ დღგ-ს სახით გადავიხადეთ. სასურველია, თუ ეს პროცესი დაუყოვნებლივ განხორციელდება," - აღნიშნა "საქართველოს ბიზნესასოციაციის" ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ისაკაძემ.

მიხეილ სააკაშვილმა ამა თუ იმ კომპანიის დალუქვის საკითხის გადაწყვეტა პირადად ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილს მიანდო. პრეზიდენტის განცხადებით, "ბიზნესის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან ერთად, ბიზნესს ყოველთვის ფაქიზად მოვექცეთ."

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: "ამა თუ იმ კომპანიის ქონების დალუქვის გადაწყვეტილება ქვედა დონეზე არ უნდა მიიღებოდეს. ეს საკითხი ფინანსთა მინისტრის დონეზე უნდა წყდებოდეს. ფინანსთა მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს, სწორია თუ არა ამა თუ იმ ბიზნესის დალუქვა. ასეთი მიდგომა დალუქული კომპანიების რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებს და პასუხისმგებლობის ხარისხს გაზრდის."

გარდა ამისა, მთავრობის სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა ტურიზმის განვითარებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, მომავალ წელს კახეთის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტურისტული ზონა გახდება, რისთვისაც მთავრობამ ახლავე უნდა დაიწყოს მუშაობა.

"კახეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ადგილია, სადაც რამდენიმე კლიმატური ზონაა. რამდენიმე თვეში გომბორზე გზა გამოვა და უკვე მომავალი წლის ზაფხულში თბილისიდან აქ ჩამოსვლა ერთ საათში იქნება შესაძლებელი. აქ წარმოუდგენელი მნიშვნელობის დასასვენებელი ადგილები გაჩნდება, რაც ტურისტების მოზიდვას, ადგილობრივების დასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შეუწყობს ხელს," - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

კომპანია ArcelorMittal-ი საქართველოში საკუთარ მომხმარებელს შეხვდა

სოფო ჩიხლაძე

მსოფლიოში უმსხვილესი, ფოლადის მწარმოებელი ფრანგული კომპანია ArcelorMittal-ი და მისი შვილობილი უკრაინული კომპანია "არსელორმიტალი კრივოი როგი" საქართველოში საკუთარ მომხმარებლებს შეხვდნენ, რის შემდეგაც კომპანიების ხელმძღვანელობამ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" პრესკონფერენცია გამართა.

საქართველოში ArcelorMittal-ის წარმომადგენლობის მენეჯმენტს "არსელორმიტალი კრივოი როგი" ახორციელებს. კომპანია ფოლადის, კოქსის, თუჯის, არმატურისა და სხვა მეტალურგიული პროდუქციის წარმოება-რეალიზაციას ახდენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში "არსელორმიტალი კრივოი როგის" პროდუქციას ბაზრის 65 პროცენტი უკავია. რაც შეეხება ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებს, აზერბაიჯანში მათი ბაზრის წილი 70 პროცენტია, სომხეთში კი - 95 პროცენტი.

"არსელორმიტალი კრივოი როგის" პროდუქციის ექსპორტი ძირითადად სამხრეთ აფრიკის რეგიონში, ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში ხორციელდება. კომპანია პროდუქციის რეალიზებას ასევე ახდენს რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, თურქეთში, ბელორუსში, საქართველოში და ა.შ. **"მომხმარებლის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე არსებულ პროდუქციაზე მუდმივად იზრდება. შესაბამისად, მატულობს მწარმოებლებს შორის კონკურენცია. მაგრამ ხარისხი, რასაც "არსელორმიტალი კრივოი როგი" თავის მომხმარებელს სთავაზობს, მუდმივ ტესტირებას ეფუძნება, რაც მეტალურგიის ბაზარზე მას კონკურენტუნარიანს ხდის,"** - აცხადებს "არსელორმიტალი კრივოი როგის" გენერალური მენეჯერი მარკეტინგის დარგში პასკალ მაკო.

როგორც "არსელორმიტალი კრივოი როგის" წარმომადგენლები აცხადებენ, ამ კომპანიაში მეტალურგიის წარმოება სრულიად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, რაც სხვადასხვა საერთაშორისო სერტიფიკატებით დასტურდება.

კომპანია ArcelorMittal-ი 1986 წელს დაარსდა. მისი სათაო ოფისი ლუქსემბურგში მდებარეობს. ArcelorMittal-ი დღეისათვის მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში ოპერირებს. გარდა მეტალურგიისა, მსოფლიო ბაზრის ლიდერი კომპანიის საქმიანობა მოიცავს: ავტომობილების წარმოებას, მშენებლობას, საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებას და შეფუთვას. 2008 წელს კომპანიის წლიურმა შემოსავალმა 124.9 მილიარდი დოლარი შეადგინა. ფოლადის წარმოებამ 103.3 მილიონი ტონა მოიცვა, რაც მსოფლიო ბაზრის 10 პროცენტია. ArcelorMittal-ის აქციები წარმოდგენილია ნიუ-იორკის, ამსტერდამის, პარიზის, ბრიუსელისა და ესპანეთის საფონდო ბირჟებზე.

საქართველოში ფოლადის ბაზარი, ArcelorMittal-ის მიერ წარმოებული პროდუქციის გარდა, თურქული და სხვა ქვეყნების პროდუქციით მარაგდება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ბაზარზე ArcelorMittal-ს ყველაზე დიდი წილი - 65 პროცენტი უკავია, ამის მიზეზად კი ArcelorMittal-ის მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი სახელდება. როგორც სასტუმრი "ქორთიარდ მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე "არსელორმიტალი კრივოი როგის" გენერალურმა მენეჯერმა მარკეტინგის დარგში პასკალ მაკომ განაცხადა, გასულ წელს ქართულ ბაზარზე მათ მიერ წარმოებული 15 000 ტონა არმატურა გაიყიდა. მიმდინარე წელს "არსელორმიტალი კრივოი როგი" საქართველოში 6 000-7 000 ტონა არმატურის შემოტანას გეგმავს.

"არსელორმიტალი კრივოი როგი" პროდუქციის იმპორტს საქართველოში უკვე 4 წელია ახორციელებს კომპანია "ფერუმ პლუსი". **"ფოლადის მწარმოებელ გიგანტურ კომპანია ArcelorMittal-ს თითქმის მთელს მსოფლიოში აქვს გახსნილი წარმომადგენლობები. "არსელორმიტალი კრივოი როგი", რომელიც ამ კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელია, უკრაინაში, ქალაქ კრივოი როგში უზარმაზარ ქარხანას ფლობს. ჩვენ უკვე ოთხი წელია, მათთან ვთანამშრომლობთ. ყველაზე მთავარი, რითაც ამ კომპანიის პროდუქცია გამოირჩევა, არის ხარისხი. ArcelorMittal-ი მარკეტინგსა და მენეჯმენტს დიდ ყურადღებას უთმობს, ითვალისწინებს იმას, თუ რა მდგომარეობაა ბაზარზე. ფინანსური კრიზისის ფონზე მათ შეამცირეს ფასები,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას კომპანია "ფერუმ პლუსის" დირექტორმა ზურაბ ჩიკვილაძემ.

„ჯი-თი-აი"-ს საქართველოში წარმატება „ელიზი-ჯგუფთან" პარტნიორულმა ურთიერთობებმა განაპირობა

უკანასკნელ პერიოდში საზოგადოების ინტერესი გამოიწვია ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ადგილობრივი და უცხოური წარმობის თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გადასახადების გათანაბრებასთან დაკავშირებით. "24 საათი" დაუკავშირდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი თამბაქოს მწარმოებელი კომპანიის "ჯი-თი-აი"-ს საექსპორტო ბაზრის გენერალურ დირექტორს ბატონ კონსტანტინე ფიოდოროვს:

- ბატონო კონსტანტინე, კომპანია "ჯი-თი-აი" უკვე 10 წელია, წარმატებით არის წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი თქვენი ბიზნესის განვითარებას საქართველოში?

- ჩვენი კომპანია ქართულ ბაზარზე წარმოდგენილია ისეთი ცნობილი მსოფლიო ბრენდებით, როგორიცაა "ვინსტონი" და "ქემელი" და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ამ კომპანიის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, ",ჯი-თი-აი"-ს პროდუქციის მაღალმა ხარისხმა განაპირობა. ამას გარდა, ჩვენი კომპანია მუდმივად ითვალისწინებს მომხმარებლის მოთხოვნებს, სტაბილურად აბანდებს ინვესტიციებს მარკეტინგის და ვაჭრობის განვითარებაში და კომპანიას აქვს შესანიშნავი პარტნიორული ურთიერთობები დისტრიბუტორთან. საბოლოო ჯამში, ჩვენი ბიზნესის წარმატების ამ ყველა აუცილებელი კომპონენტის თავმოყრა და წარმატებით რეალიზება შესაძლებელი გახდა "ჯი-თი-აი"-ს ქართველ პარტნიორთან, სადისტრიბუციო კომპანია "ელიზი-ჯგუფის" პროფესიონალებით დაკომპლექტებულ კოლექტივთან ურთიერთობით. რაღა თქმა უნდა, ჩვენი შემდგომი ზრდა საქართველოში პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობასთან და რეგულირებად გარემოსთან, რაც გულისხმობს საქართველოში საკანონმდებლო ბაზის მუდმივად დახვეწის პროცესს. ამას გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებების და ხელშეკრულებების განუხრელად დაცვას, ასევე - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში უკრაინასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დადებული შეთანხმებასადმი ერთგულებას.

- რა საშიშროებას წარმოადგენს თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის არალეგალური გზით ბაზარზე შემოსული თამბაქოს ნაწარმი?

- მე შემიძლია გავიხსენო დრო, როდესაც საქართველოში ლეგალური ბიზნესის განვითარებას სერიოზულ პრობლემას უქმნიდა ქართულ ბაზარზე კონტრაბანდული პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობა: 2001-2005 წლების ოფიციალური მონაცემების თანახმად, არალეგალური ბიზნესი მოიცავდა ბაზრის 60 პროცენტს და, შესაბამისად, სახელმწიფო გადაუხდელი გადასახადების სახით ათობით მილიონ ლარს კარგავდა. ამ სიტუაციიდან ლოგიკური გამოსავალის მოძებნა, ბუნებრივია, რთული პროცესი იყო და ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული კომპანია "ჯი-თი-აი" მის პარტნიორთან საქართველოში "ელიზი-ჯგუფთან" ასევე - თამბაქოს პროდუქციის ქართულ ბაზარზე მომუშავე სხვა კომპანიებთან ერთად. თანამშრომლობდნენ რა ხელისუფლებასთან, თამბაქოს მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიები გამოსავალს გადასახადების შემცირებაში ხედავდნენ და ხელისუფლებას შესაბამის არგუმენტირებულ რეკომენდაციებს სთავაზობდნენ. ხელისუფლების და ბიზნესმენების მონდომებამ და თანამშრომლობამ სასურველი შედეგები გამოიღო და დღეისათვის სიტუაცია კარდინალურად არის შეცვლილი. საქართველოში ლეგალური ბაზარის მოცულობა უკვე 97-98 პროცენტს შეადგენს. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება გაგებით მოეკიდა ბიზნესმენების არგუმენტირებულ რეკომენდაციებს, გატარდა შესაბამისი ღონისძიებები და, შედეგად, დღეს მიღწეულია ის დონე, რომელიც ევროკავშირის ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა.

- არალეგალური ბიზნესის მოცულობის შემცირება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას იწვევს, როგორია სტატისტიკა თქვენს შემთხვევაში?

- სიამაყით მინდა ვთქვა, რომ დღეს საქართველოს ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით ირიცხება იმ რაოდენობის თანხები, რომლებიც 4-5 წლის წინ, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, ასევე - "ჯი-თი-აი"-ს და "ელიზი-ჯგუფის" შიდა გათვლებში მხოლოდ თეორიული შესაძლებლობების სახით ფიგურირებდა. ამ საქმეში, ისევე, როგორც წინა წლებში, განსაკუთრებული როლი მიუძღვის "ჯი-თი-აი"-ს პროდუქციის იმპორტიორს საქართველოში "ელიზი-ჯგუფს" მაგალითად, 2006 წლიდან დღემდე, ჩვენმა პარტიორმა საქართველოში "ელიზი-ჯგუფმა" ქვეყნის ბიუჯეტს სხვადასხვა გადასახადების სახით შემატა 210 მლნ. ლარზე მეტი, სადანაც მხოლოდ 2008 წელს გადახდილია 78 მლნ. ლარზე მეტი. რაც შეეხება მიმდინარე წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, რომელიც საქართველოსაც შეეხო, ჩვენი პარტნიორის საბიუჯეტო გადასახადებმა 59 მლნ. ლარს უკვე გადააჭარბა და წლის ბოლომდე, თავდაუზოგავი მუშაობის კიდევ 2 თვე წინაა.

- უკანასკნელ პერიოდში საზოგადოების აქტიური ინტერესი გამოიწვია ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ადგილობრივი და უცხოური წარმოების თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გადასახადების გათანაბრებასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ რას გვეტყვით?

- ჩვენ ვემხრობით ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას, რადგან მიგვაჩნია, რომ აქციზის გადასახადის გათანაბრება გამოიწვევს ჯანსაღ კონკურენციას, რომელიც ქართულ ბაზარზე მოღვაწე ყველა კომპანიას შეუქმნის განვითარების თანაბარ პირობებს, ეს კი დადებითად აისახება როგორც თამბაქოს ბაზრის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო შენატანების გაზრდის საქმეში. ჩვენი კომპანია როგორც უკრაინის, ასევე - საქართველოს ხელისუფლებას, არაერთგზის შეახსენებდა, რომ უკრაინიდან იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმი საქართველოში, შეიძლება ითქვას, დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რადგან ჩვენს კომპანიას და ჩვენს პარტნიორებს საქართველოში მრავალი წლის მანძილზე უხდებოდათ ადგილობრივ მწარმოებლებთან არათანაბარ პირობებში მუშაობა იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს უკრაინასთან აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლისას აღებული აქვს ვალდებულებები, რომლებიც უნდა სრულდებოდეს.

- შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ აისახება მსოფლიო ფინანსური კრიზისი თქვენი კომპანიის მუშაობაზე საქართველოში?

- რა თქმა უნდა, ამ კრიზისისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ჩვენი კომპანია ამ კრიზისისადმი საკმარისად მდგრადი აღმოჩნდა. უპირველესად, ეს მდგრადობა განაპირობა იმან, რომ ჩვენს კომპანიას ბაზარზე წარმოდგენილი აქვს ორი ძლიერი ბრენდი - "ვინსტონი" და "ქემელი". პოტენციურად ჩვენი ქართველი პარტნიორების მუშაობაზე კრიზისმა შეიძლება მოახდინოს გავლენა იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ლარის საგრძნობი დევალვაცია. ეს მართალია, მაღელვებს, მაგრამ არ მაშინებს, რადგან ვიცი, რომ კრიზისი დროებითი მოვლენაა და ჩვენ მის დასაძლევად გვაქვს საკმარისი ძალები.

- რთული ეკონომიკური სიტუაციის გავლენით, ხომ არ გეგმავთ თანამშრომლებისა და ხელფასების შემცირებას?

- არც "ჯი-თი-აი" და არც - "ელიზი-ჯგუფი" ამას არ აპირებს, რადგან ჩვენ თანამშრომელებს ვეპყრობით და შრომას ვუნაზღაურებთ არა ეკონომიკური სიტუაციის, არამედ - მათი ეფექტური მუშაობის ადექვატურად. პირიქით - ჩვენ ვაგრძელებთ ახალი, ნიჭიერი თანამშრომელების მიღებას კომპანიის სხვადასხვა განყოფილებაში. გასულ წელს "ჯი-თი-აი"-ს საშტატო მოცულობა 20 პროცენტით გაიზარდა და სხვადასხვა ვაკანსიები დღესაც გვაქვს. ასევე, სრულად შევინარჩუნეთ ჩვენი საკომპანსაციო პაკეტი. დარწმუნებული ვარ, რომ პროფესიონალი და რეზულტატზე მოტივირებული თანამშრომელების ყოლა კომპანიაში ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიოში ეკონომიური სიტუაცია არც თუ სახარბიელოა და სამუშაოს შესრულების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. ამ ცოტა ხნის წინ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართველი ბიზნესმენები და მწარმოებლები ჩვენი დროის ნამდვილი გმირები არიან, რადგან მათზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ჩვენი ეკონომიკა, გაუძლოს სიძნელეებს, შეძლებენ თუ არა ადამიანები მოძებნონ სამუშაო. მე ბოლომდე ვეთანხმები ბატონი პრეზიდენტის ამ გამონათქვამს და ჩვენს ქართველ პარტნიორებთან "ელიზი-ჯგუფთან" მიმართებაში უფრო მეტსაც ვიტყვი - ჩვენ ძალიან გაგვახარა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესმენები ის ადამიანები არიან, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიან, ამიტომ პრემიერ-მინისტრი მზად არის, ყოფელთვიურად შეხვდეს და აწარმოოს დიალოგი ბიზნესმენებთან. ასეთ ღია დიალოგს ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ჩვენს ქართველ პარტნიორებთან ერთად, მივესალმებით.

- როგორია თქვენი პოზიცია კორპორატიულ-სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და რა გეგმები გაქვთ ამ თვალსაზრისით საქართველოში?

- გმადლობთ ამ შეკითხვისთვის: მოგეხსენებათ, ჩვენი კომპანია არის ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო კომპანია, რომელიც საქართველოში მოღვაწეობს. სპონსორული და საქველმოქმედო საქმიანობა ჩვენი კომპანიის კორპორატიული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. ჩვენი ინტერესია, შევიტანოთ საკუთარი წვლილი იმ საზოგადოების კეთილდღეობაში, სადაც ვმუშაობთ, რადგან კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მის ინტერესებთან და საზრუნავთან. ამ თვალსაზრისით, ჩვენი პოზიცია სრულად ემთხვევა ჩვენი ქართველი პარტნიორის, კომპანია "ელიზი-ჯგუფის" პოზიციას და მომავალ წელს საქართველოში ჩვენ ვგეგმავთ რამდენიმე ერთობლივი პროგრამის განხორციელებას.

ესაუბრა თინა შავაძე

მუნიციპალური განვითარების ფონდი კახეთის რეგიონში დაახლოებით 23 მლნ ლარის ღირებულების 19 პროექტს ახორციელებს

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მიმდინარე ეტაპზე კახეთის რეგიონში დაახლოებით 23 მლნ ლარის ღირებულების 19 პროექტს ახორციელებს.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ყვარელში შიდა გზების, წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემის რეკონსტრუქციის პროექტები ხორციელდება.

ყვარლის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებს 1 273 285 ლარი მოხმარდება, ხოლო წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემის რეკონსტრუქციას - 1 054 788 ლარი. სარეაბილიტაციაო სამუშაოები ივნის-ივლისში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

"ყვარელში განხორციელებული, გზის საფარის რეაბილიტაციის პროექტის საბოლოო მიზანია ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრა და სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. წყალსადენის სისტემების რეაბილიტაციის შედეგად კი გაუმჯობესდება მოსახლეობის წყალმომარაგება, რაც მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას გამოიწვევს," - აცხადებენ მუნიციპალური განვითარების ფონდში.

სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე დღეს 10 000 000 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N19 აუქციონზე დღეს 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ვადიანობა 182 დღით განისაზღვრება.

აუქციონში 5 კომერციულმა ბანკი მონაწილეობდა. მოთხოვნამ 34 700 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.800 პროცენტით, მაქსიმალური 4.910 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 4.893 პროცენტით განისაზღვრა.

"კავკასუს ონლაინმა" გათიშული აბონენტებისთვის ინტერნეტმომსახურების მიწოდება განაახლა

"კავკასუს ონლაინმა", დაახლოებით ორთვიანი შეფერხების შემდეგ, გათიშული აბონენტებისთვის ინტერნეტმომსახურების მიწოდება განაახლა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" კომპანიაში განუცხადეს.

პროვაიდერის ტექნიკური ბრიგადები ინტერნეტსადგურებში გუშინ შევიდნენ. ინტერნეტი უკვე მიეწოდება 5, 6, 7-იანით დაწყებული სატელეფონო ინდექსის მქონე აბონენტებს. დღეს ინტერნეტმომსახურებას საბურთალოს რაიონის გათიშული აბონენტებიც მიიღებენ.

"გაერთიანებულ ტელეკომთან" დავის გამო მიყენებული ზარალი "კავკასუსს" ამ დროისთვის დათვლილი არ აქვს. "ზარალის დათვლა მას შემდეგ მოხდება, რაც ყველა აბონენტი ჩაირთვება, ამის შემდეგ გამოჩნდება, რამდენი აბონენტი დავკარგეთ ამ დროის განმავლობაში," - აცხადებენ კომპანიაში.

"გაერთიანებულმა ტელეკომმა" "კავკასუს ონლაინის" აპარატურის დენის მუდმივი წყაროთი უზრუნველყოფაზე უარი განაცხადა, რის გამოც თბილისის 6 000-ზე მეტი აბონენტი ინტერნეტის გარეშე დარჩა. კომპანიებს შორის დავა თითქმის ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში აქტიური კონსულტაციების შედეგად "გაერთიანებულ ტელეკომსა" და "კავკასუს ონლაინს" შორის ხელი მოეწერა 3 ხელშეკრულებას, რითაც საბოლოოდ დარეგულირდება ტექნიკური და ანგარიშსწორების მექანიზმები.

ორმხრივად შეთანხმებულია პროცედურები და ვადები, რომლის მიხედვითაც, "გაერთიანებული ტელეკომი" ანაზღაურების სანაცვლოდ საკუთარ ინფრასტრუქტურას გასცემს და საშუალებას აძლევს "კავკასუს ონლაინს", გამოიყენოს მის კუთვნილებაში არსებული ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხები, სახაზო-საკაბელო (სატელეფონო) წყვილები და თანალოკაციის ფართები (სატელეფონო სადგურები). ასევე შეთანხმების შესაბამისად, "კავკასუს ონლაინის" სპეციალისტები 24 საათის განმავლობაში ყოველდღიურად შეძლებენ სამუშაოების წარმოებას შეუზღუდავად იჯარით აღებულ ყველა და ნებისმიერ თანალოკაციის ფართზე, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

აღნიშნულ ხელშეკრულებებში ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საფუძველს 500 000-ლარიანი საბანკო გარანტია წარმოადგენს.

"გაერთიანებული ტელეკომი" უფლებამოსილია, საბანკო გარანტია გაანაღდოს მთლიანად, საბანკო ლიმიტის გათვალისწინებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "კავკასუსი" საერთოდ არ განახორციელებს მიღებულ მომსახურებაზე დარიცხული საფასურის გადახდას ან არასრულად მოახდენს ანგარიშსწორებას.

ასევე, გაფორმდა ხელშეკრულება "კავკასუს ონლაინის" ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის (ჯელინკის) "გაერთიანებული ტელეკომის" კუთვნილ კანალიზაციის არხებში განთავსებაზე, რითაც "კავკასუსი" მოახდენს ჯელინკის პროექტის ლეგალიზებას და კანონის ჩარჩოებში მოქცევას.

"კავკასუს ონლაინი" საკუთარი ძალებით განახორციელებს ამ ქსელის დემონტაჟს თბილისის უბნებში (ვაკე-საბურთალო; დიდუბე-ჩუღურეთი; გლდანი-ნაძალადევი; ისანი-სამგორი; ძველი თბილისი), ხოლო "გაერთიანებული ტელეკომის" საკანალიზაციო არხებში განთავსება მოხდება ორივე კომპანიის სპეციალისტების მიერ.

პატიმართა შეწყალება 23 ნოემბრისთვის შესაძლოა არ განხორციელდეს

23 ნოემბრისთვის შესაძლოა, პატიმართა შეწყალება არ განხორციელდეს. როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე განმარტავს, გიორგობის დღესასწაულისა და "ვარდების რევოლუციის" 6 წლისთავისთვის ამნისტია იგეგმება, რომელიც ნარკომომხმარებლებს შეეხება.

"აქედან გამომდინარე, შესაძლოა, 23 ნოემბერს შეწყალება აღარ განხორციელდეს. შეწყალების კომისიის სხდომას პრეზიდენტი ნიშნავს. მიხეილ სააკაშვილს სხდომა არ დაუნიშნავს. კომისიაში ბევრი განაცხადია შემოსული, თუმცა ჯერ ჩვენამდე არ მოსულა, მასალებს ამუშავებენ. უცნობია, როდის შედგება კომისიის სხდომა," -აცხადებს ელენე თევდორაძე.

რაც შეეხება ამნისტიას. ამნისტია 260-ე მუხლის I ნაწილით და 237-ე მუხლით მსჯავრდებულებს და ბრალდებულებს შეეხებათ. მათი რიცხვი 2000-მდეა. ნაწილს სასჯელი გაუნახევრდება, ნაწილი კი - საპყრობილეებს დატოვებს. **ინტერპრესნიუსი**

საერთაშორისო პასპორტების აღება 2010 წლიდან იქნება შესაძლებელი

საერთაშორისო პასპორტების აღება თბილისში 2010 წლის 1 მარტიდან იქნება შესაძლებელი. როგორც იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი მეურმიშვილმა განაცხადა, საერთაშორისო პასპორტების გაკეთება თბილისში 2010 წლის 1 მარტიდან გახდება შესაძლებელი.

"ახალი პასპორტების მოქმედების ვადა 10 წლით განისაზღვრება. ვიზუალური და პირადი მონაცემების მხრივ ძველსა და ახალ პასპორტებს შორის განსხვავება არ არის. ერთადერთი უპირატესობა, რაც ახალ პასპორტს ძველთან შედარებით გააჩნია, საზღვრის გადაკვეთის გამარტივებაა. საზღვარზე მოქალაქეთა მონაცემების გატარება ელექტრონულად მოხდება, რაც გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს," - აღნიშნა მეურმიშვილმა.

საერთაშორისო პასპორტების ღირებულების საკითხს ჯერჯერობით პარლამენტში განიხილავენ. **პირველი**

ცრუ განგაშის გამო 38-ე და 171-ე სკოლებში სასწავლო პროცესი ჩაიშალა

38-ე და 171-ე სკოლებში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. მიზეზი 38-ე სკოლის დირექტორის კაბინეტში განხორციელებული ზარი გახდა იმის თაობაზე, რომ სკოლაში ნაღმი იყო დამონტაჟებულ შენობებიდან ბავშვებისა და მასწავლებლების ევაკუაცია სწრაფად მოხერხდა, თუმცა ადგილზე მისულ სამართალდამცველებმა და ექსპერტ-კრიმინალისტთა ჯგუფმა ნაღმი ვერ აღმოაჩინეს.

წინასწარი ინფორმაციით, განგაში ცრუ იყო, რომელიც სავარაუდოდ, ერთ-ერთმა მოსწავლემ სკოლაში სასწავლო პროცესის ჩაშლის მიზნით ატეხა.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. სამართალდამცველები ცრუ განგაშის ავტორის ვინაობის დადგენას ცდილობენ. 38-ე და 171-ე სკოლები ერთ შენობაში მდებარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

სარეზერვო სერვერული ცენტრი საჯარო რეესტრში

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ქონებაზე მონაცემთა ბაზის სარეზერვო ცენტრი გაიხსნა. როგორც საჯარო რეესტრის სააგენტოში განმარტავენ, ცენტრის შექმნის მიზანი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მონაცემთა ბაზის დაცვა და უსაფრთხოდ შენახვაა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე სოსო ნიქარიშვილის განცხადებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში თავმოყრილია ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით უძრავ ქონებაზე განხორციელებული რეგისტრაციების შესახებ.

"ამ ინფორმაციის დაზიანებამ ან დაკარგვამ შესაძლოა, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. მისი დაცვისთვის აუცილებელი გახდა მაღალმდგრადი და სწრაფად აღდგენადი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას აძლევს სააგენტოს, კრიზისულ პერიოდშიც უზრუნველყოს მონაცემთა მთლიანობა და სერვისის უწყვეტობა. სარეზერვო ცენტრის ჩამოყალიბება სწორედ ამ მიზანს ემსახურება," - განაცხადა ნიქარიშვილმა. სარეზერვო სერვერული ცენტრის შექმნა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "ორგანიზაციული განვითარებისა და მომხმარებელთა გაუმჯობესებული მომსახურების" პროექტის ფარგლებში განხორციელდა. **საკუთარი ინფორმაცია**

საჯარო მოხელეები ზეგანაკვეთურ გასამრჯელოსაც მიიღებენ

უახლოეს პერიოდში პარლამენტი "საჯარო სამსახურის კოდექსს" დაამტკიცებს, რომლის თანახმადაც, საჯარო მოხელეები ზეგანაკვეთურ გასამრჯელოსაც მიიღებენ.

პროექტით, ეს ნორმა ვალდებულებითი კატეგორიის არ იქნება - დაწესებულებას საკუთარი ასიგნებების ფარგლებში, უფლება ექნება, მოხელეს ზეგანაკვეთური სამუშაო აუნაზღაუროს. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი იმედოვნებს, რომ დროთა განმავლობაში ეს ნორმა სავალდებულო ხასიათს მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

მუხროვანის ამბოხის საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება

უკვე მეხუთე თვეა თბილისის საქალაქო სასამართლო მუხროვანის ამბოხის საქმეს განიხილავს. სასამართლო პროცესი, კიდევ თვეების განმავლობაში გაგრძელდებოდა, სახელმწიფო ბრალმდებლების გადაწყვეტილებით, გუშინ სიტუაცია რომ არ შეცვლილიყო. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო ბრალდებას დასაკითხთა სიაში სულ 120 მოწმე ჰყავდა. სასამართლოში ჯერ კიდევ გამოსაძახებელი და დასაკითხი იყო 50-მდე მოწმე. ყველასთვის მოულოდნელად, პროკურორებმა ეს მოწმეები დასაკითხთა სიიდან მოხსნა. სახელმწიფო ბრალმდებლებმა ყველა მოწმის დაკითხვა საჭიროდ აღარ ჩათვალეს.



ანეკა უთურგაიძის ნახატი

მომდევნო სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვა დაიწყება, რასაც მტკიცებულებების გამოქვეყნების ეტაპი მოჰყვება და სავარაუდოდ, ეს პროცედურაც დიდ ხანს გაგრძელდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განსასჯელთა უმრავლესობის ჩვენება სასამართლოს ჯერ არ მოუსმენია (28 განსასჯელმა მოწმეთა დაკითხვამდე და მტკიცებულებების გამოქვეყნებამდე თავი შეიკავა ჩვენების მიცემისგან და დუმილის უფლება გამოიყენა), შესაძლოა, მუხრობვანის ამბოხის საქმის განხილვა ახალ წლამდე გაგრძელდეს. განსასჯელებისა და მათი დამცველების სიმრავლიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდ დროს წაიღებს ადვოკატების დაცვითი სიტყვა და მხარეთა შორის კამათიც.

სასამართლო პროცესს უკვე კარგა ხანია აღარ ესწრება 13 განსასჯელი, რომლებმაც სასამართლოს თავიდანვე მისცეს ჩვენებები და წარდგენილი ბრალდებები მთლიანად თუ ნაწილობრივ მაინც აღიარეს. პროკურატურის შუამდგომლობით, მათთან სასამართლომ საპროცესო შეთანხმება გააფორმა. კიდევ გაფორმდება თუ არა რომელიმე განსასჯელთან საპროცესო გარიგება, ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც განსასჯელები დუმილის უფლებას დაარღვევენ და ჩვენების მიცემის სურვილს გამოთქვამენ.

ბრალდების მხარის იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც აქამდე დაიკითხნენ სასამართლო პროცესზე, თითქმის ერთნაირია. თითქმის ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ

2009 წლის 5 მაისს, მუხროვანის სატანკო ბატალიონში ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას.

"მუხროვანის სატანკო ბატალიონის ხელმძღვანელმა შოთა გორგიაშვილმა ჯარს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა, რადგან მისთვის 26 მაისს დაგეგმილი აღლუმი მიუღებელი იყო," - ასეთი შინაარსის ჩვენებები მისცეს სასამართლოს დაკითხვისას ბრალდების მხარის მოწმეებმა.

პროცესზე მოწმედ მიწვეულმა სამხედრო სამმართველოს უფროსმა განაცხადა, რომ 5 მაისის დილას შემოვლაზე იმყოფებოდა და მუხროვანის ბაზაზე შესვლის პრობლემა შეექმნა, შემდეგ კი მუხროვანის ბატალიონის ხელმძღვანელმა განუმარტა, რომ დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ.

რაც შეეხება ოპოზიციის ლიდერების კავშირს ამბოხებასთან და დაუმორჩილებლობასთან, მოწმეები, როგორც თავად განმარტეს, ამის თაობაზე არანაირ ინფორმაციას არ ფლობდნენ.

მუხროვანის სამხედრო ბატალიონის ყოფილმა თანამშრომლებმა და რეინჯერებმა დაკითხვისას სამხედრო ამბოხი არ დაადასტურეს, თუმცა, აღიარეს დაუმორჩილებლობის ფაქტი. მათი ჩვენებებით, ბატალიონის უფროსმა შოთა გორგიაშვილმა სამხედროებს მოუწოდა, არ მიეღოთ მონაწილეობა 26 მაისის აღლუმში.

რაც შეეხება თავად მუხროვანის სატანკო ბატალიონიოს უფროსს შოთა გორგიაშვილს. ის ჯერჯერობით კვლავ დუმილის უფლებით სარგებლობს. თუმცა, მან სასამართლოს თავიდანვე განუცხადა, რომ თავს დამანაშავედ ცნობს მხოლოდ დაუმორჩილებლობაში და არა ამბოხში.

ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობა, ამბოხების მომზადება-განხორციელება, სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანების დაუმორჩილებლობა, დანაშაულის დაფარვა, დანაშაულის შეუტყობინებლობა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, იარაღის უკანაონოდ ტარება - ასეთია განსასჯელებისთვის წარდგენილი ბრალდებები.

საკუთარი ინფორმაცია

გატაცებული მეთევზეები და თავდასხმები ქართულ მოსახლეობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საოკუპაციო ჯარების ქმედებების გამო მკაცრ პროტესტს გამოთქვამს და ანაკლიიდან გატაცებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

"გრძელდება რუსეთის უკიდურესად სახიფათო და ბინძური პროვოკაციების ჯაჭვი, რომელმაც ადამიანებზე ნადირობის გამოკვეთილი ფორმა მიიღო. კრემლი არ ერიდება ამგვარი მეთოდების გამოყენებას, რათა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე უკიდურესად დაძაბოს სიტუაცია და კონფლიქტის ცხელ ფაზაში გადაყვანის ყველა წინაპირობა შექმნას," - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების მიერ სპეციალურად გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას **"მისცეს ადეკვატური შეფასება და მიიღოს სათანადო ზომები რუსეთის იმ დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად, რომლებიც კრემლის აგრესიული გეგმების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ".**

გუშინწინ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კერძოდ, ანაკლიის მიდამოებში, თევზის რეწვის დროს, რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს მოქალაქეები გაიტაცეს. მათ უკანონო თევზჭერასა და საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დასდეს ბრალი.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე მეთევზე - აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, ტყვეობიდან გაათავისუფლეს. თუმცა, ტყვეობაში იმყოფებიან ის მეთევზეები, რომლებიც ანაკლიაში ცხოვრობენ. არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ისინი სოხუმის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთოების სასაზღვრო სამმართველო კატეგორიულად უარყოფს ქართველი მეთევზეების დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას და აცხადებს, რომ რუს მესაზღვრეებს ანაკლიის რაიონში ქართველი მეთევზეები არ დაუკავებიათ. განცხადება რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთოების სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვასილი მალაევმა გააკეთა.

"ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. რუსეთის სასაზღვრო გემებს, მათ რომლებიც აფხაზეთის საზღვაო საზღვარს იცავენ, აფხაზეთის საზღვრები არ დაუტოვებიათ. ისინი არც ანაკლიის რაიონში გადასულან, რომელზეც ქართული მედია საუბრობს," - აცხადებს ვასილ მალაევი.

რაც შეეხება რამდენიმე დღის წინ ენგურის ხიდიდან გატაცებულ ჯამბულ ბაძაგუას. არსებული ინფორმაციით, მისი ბედიც გაურკვეველია, ცნობილია, მხოლოდ ის, რომ მის ოჯახს გამტაცებლები 8 ათას დოლარს სთხოვენ.

გუშინ საღამოს ზუგდიდის რაიონის სოფელ საბერიოსა და სიდაში მშვიდობიან მოსახლეობას რუსი ოკუპანტები დაესხნენ თავს. დაყაჩაღებულია თორდიების, ციკოლიებისა და შონიების ოჯახები. ოკუპანტები მათ სახლებს ერთი საათის განმავლობაში ძარცვავდნენ. ნაწამებია სამივე ოჯახის თითქმის ყველა წევრი, მათ შორის მოხუცები და მცირეწლოვანი ბავშვები. რუსმა ოკუპანტებმა სახლებიდან წაიღეს ძვირფასეულობა და საოჯახო ტექნიკა.

შეიარაღებულმა პირებმა სერგო ციკოლიას ოჯახზე თავდასხმისას უმისამართო სროლა ატეხეს, რის შედეგადაც, გამვლელ მანქანაში მყოფი ჯულიეტა მორგოშია დაიჭრა, რომელიც ზუგდიდის საავადმყოფოშია გადაყვანილი. დაჭრილს ოპერაცია ჩაუტარდა და მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

"აღნიშნული ინციდენტი გალის რაიონში შეიარაღებული ბანდფორმირების მიერ ჩადენილი უკვე მეხუთე დანაშაულია. შესაძლოა, რუსი ოკუპანტები და აფხაზი სეპარატისტები ყაჩაღობებში თავად არ მონაწილეობენ, მაგრამ შეიარაღებული ბანდფორმირებები მათი მხარდაჭერით მოქმედებენ," - განუცხადა სააგენტო "პირველს" აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსმა თორნიკე კილანავამ.

"მოლოტოვ-რიბენტროპის მილსადენი"

რიუგენი ცნობილია, როგორც გერმანელი ტურისტების საყვარელი ადგილი. თუმცა დღეს ბალტიის ზღვის ეს კუნძული იძენს ახალ, "შუალედური პუნქტის" როლს ენერგეტიკულ პროექტში, რომელიც ისევე ამბიციურია, რამდენადაც სადავო. ეს არის მილსადენი "ჩრდილოეთი ნაკადი" რუსეთსა და გერმანიას შორის. სავარაუდოდ, გაისად გაზაფხულზე გაზსადენის პირველი სეგმენტები უკვე ზღვის ფსკერზე იქნება ჩაშვებული. ის გაივლის რუსეთის, ფინეთის, შვედეთის, დანიის და გერმანიის ტერიტორიულ წყლებს და დემონსტრაციულად აუვლის გვერდს ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთს.

ამის მიზეზი ის არის, რომ პროექტი "ჩრდილოეთი ნაკადი" წარმოადგენს გერმანია-რუსეთის შეთანხმების ნაწილს, რომელიც სხვა სახელმწიფოების ინტერესთა გაუთვალისწინებლად დაიდო. ამ შეთანხმებას თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებულ პოლონეთში "მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი" უწოდეს - 1939 წელს საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ გერმანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ანალოგიით, რომლის შედეგადაც ამ ორმა ქვეყანამ (მათ შორის) პოლონეთი გაიყო. აღმოსავლეთ ევროპის გავლით მილსადენის გაყვანა ბევრად უფრო იაფი დაჯდებოდა, თუმცა თავიდანვე "ჩრდილოეთ ნაკადის" მშენებლობის მიზანი იმ ქვეყნების გვერდის ავლა იყო, რომლებსაც რუსეთი კვლავ საკუთარი გავლენის სფეროებად მიიჩნევს.

რუსეთის ამ ქმედების გეოპოლიტიკური ქვეტექსტი ნათელია: იგი არ ენდობა ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოებს - არც როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნებს და არც როგორც მომხმარებლებს და მზად არის გაცილებით მეტი გადაიხადოს, რათა მათ გვერდი აუაროს. კიდევ ერთი განცხადება ან შეიძლება მუქარის შემცველი გაფრთხილება, რომლის გაკეთებასაც რუსეთი ცდილობს, არის ის, რომ "ჩრდილოეთ ნაკადი" კრემლს საშუალებას მისცემს, აღმოსავლეთ ევროპას უკვე არსებული მილსადენებით გაზის მიწოდება შეუწყვიტოს, თანაც გერმანიისთვის მიწოდების შეუმცირებლად. მაგრამ რისი თქმა უნდა გერმანიას თავისი მეზობელი, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის?

"ჩრდილოეთ ნაკადს" აქტიურად უჭერდა მხარს გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი, რომელიც ამჟამად ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. თავისი წინა კოალიციური მთავრობის ხელმძღვანელობის დროს ახლანდელი კანცლერი ანგელა მერკელიც ევროკავშირის ქვეყნებში წარმატებით ლობირებდა პროექტს და მიაღწია კიდეც მათგან თანხმობას, მიუხედავად იმისა, რომ მილსადენის კონსორციუმი შვეიცარიაშია რეგისტრირებული და მას რუსული "გაზპრომი" აკონტროლებს. მილსადენის მშენებლობაში მონაწილე უამრავ კომპანიას შორის არც ერთი არ არის ბალტიის, ცენტრალური ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელი.

გერმანიაში ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა არჩევნებმა რუსეთის მეზობელ ქვეყნებს გარკვეული იმედი მისცა - რადგან ტრადიციულად პრო-მოსკოვური პოზიციის მქონე "სოციალ-დემოკრატიული პარტია" მმართველ კოალიციაში აღარ არის, მერკელს შესაძლოა პოზიციის შეცვლის სურვილი გასჩენოდა და "ჩრდილოეთ ნაკადის" მშენებლობის პირობების გადახედვა ეცადა: კერძოდ, რუსეთი დაერწმუნებინა, რომ მილსადენს მიმართულება შეეცვალა და ევროკავშირის წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიულ წყლები გაევლო, კონსორციუმ "ჩრდილოეთ ნაკადის" შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპული კომპანიები შეეყვანათ. ამასთან, არსებობდა იმედი, რომ ბერლინი მხარს დაუჭერდა პროექტ "ნაბუკოს" განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიული უსაფრთხოების გაუმჯობესება კასპიის და ახლო აღმოსავლეთის გაზის დახმარებით. ბოლოს და ბოლოს, "ნაბუკოს" პროექტში გერმანული კომპანია "ერ-ვე-ე" (RWE) მონაწილეობს და შრიოდერის კაბინეტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი, რომელიც ევროკავშირის მხარდამჭერია, ამ პროექტს ლობირებს.

თუმცა "ჩრდილოეთ ნაკადის" განხორციელების საქმეში ბოლო დროს მიღწეულმა პროგრესმა ეს იმედები მოსპო. აქამდე ჩრდილოეთის სახელმწიფოები აჭიანურებდნენ პროექტის მხარდაჭერას, შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აღნიშნული პროექტი გარემოს დაბინძურების საფრთხეს შეიცავდა. ამას უმრავლესობა ისეთ ინტერპრეტაციას აძლევდა, რომ ეს ქვეყნები აღნიშნული პროექტის გეოპოლიტიკური შედეგების გამოც იყვნენ შეშფოთებულნი. მიუხედავად ამისა, ფინეთი და შვედეთი, რომლის პრეზიდენტობა ევროკავშირში წლის ბოლომდე გასტანს, დანიას შეუერთდნენ და მშენებლობაზე თანხმობა განაცხადეს. სწორედ ამ პოლიტიკურმა იმპულსმა დააჩქარა გაზსადენის სეგმენტების ჩატანა რიუგენსა და სხვა "შუალედურ პუნქტებში". მოსალოდნელია, რომ მოსკოვის საყვარელი პროექტის განხორციელება უკვე მომავალი წლის პირველივე თვეებში დაიწყოს, რაც დიდი დარტყმა იქნება მათთვის, ვინც ცდილობს, ევროპა რუსეთის გაზზე ნაკლებად დამოკიდებული გახადოს. ეს ყველაზე მეტად ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხში ევროკავშირის თუნდ მოჩვენებითი ერთიანობას დაარტყამს.

რუსეთის მეზობლები, როგორც ევროკავშირის წევრები, ასევე არაწევრები, უკვე შეშფოთებულები არიან და ისეთი შეგრძნება აქვთ, რომ მათ ევროატლანტიკამაც ზურგი შეაქცია. ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა ვაშინგტონის გადაწყვეტილება მოსკოვთან ურთიერთობების "გადატვირთის" შესახებ, ასევე ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ მეზობლების დახმარების პროგრამის განხორციელების ნელი ტემპი.

არარეალურია იმის მოლოდინი, რომ ბერლინი "ჩრდილოეთ ნაკადთან" მიმართებაში თავის კურსს შეიცვლის მაშინ, როდესაც გზის მნიშვნელოვანი ნაწილი გავლილია. თუმცა, გერმანიის ხელახლა არჩეულმა კანცლერმა ანგელა მერკელმა კარგად უნდა აწონ-დაწონოს ყველა საგარეოპოლიტიკური ნიუანსი, რომლებიც თან ახლავს აღნიშნული პროექტის განხორციელებას.

თავისი პარტნიორი ქვეყნებისა და მთლიანად ევროკავშირის დასამშვიდებლად ბერლინმა მხარი უნდა დაუჭიროს იმას, რაც ევროკომისიას "სტრატეგიულ პრიორიტეტად" მიაჩნია. ეს არის ე.წ. "სამხრეთ დერეფანი", რომელიც "ნაბუკოსა" და სხვა ნაკლებ მნიშვნელოვან მილსადენებს შეიცავს. მხოლოდ დიპლომატიურმა და სიტყვიერმა მხარდაჭერამაც კი ევროპის ისეთი მნიშვნელოვანი მოთამაშის მხრიდან, როგორიც გერმანიაა, ძალიან დიდი როლის თამაში შეუძლია ევროკავშირის ერთიანობისთვის ენერგეტიკულ საკითხებში. და რაც ყველაზე მიშვნელოვანია - ეს რუსეთს შეაგნებინებს, რომ მის ენერგეტიკულ პოლიტიკას, რომლის პრინციპია "დაყავი და იბატონე", საზღვარი აქვს.

"უოლ სტრიტ ჯორნალის" მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ

"ვაშინგტონელი სნაიპერი" სასიკვდილო ინექციით დასჯეს

"ვაშინგტონელი სნაიპერი" ჯონ ალენ მუჰამედი, რომელმაც 10 ადამიანი მოკლა სასიკვდილო ინექციით დასაჯეს. ამის შესახებ ვირჯინიის შტატის სასჯელაღსრულების სამმართველოს წარმომადგენელმა ლევი ტეილორმა განაცხადა. მისი თქმით, ჯონ ალენ მუჰამედს სიკვდილის წინ არაფერი უთქვამს.

10 ნოემბერს ვირჯინიის შტატის გუბერნატორმა უარი თქვა მუჰამედის შეწყალებაზე. თხოვნითაც მას ნოემბრის პირველ რიცხვებში დამნაშავის ადვოკატმა მიმართა.

ვირჯინიის შტატის კანონის მიხედვით, სკვდილმისჯილს განაჩენის აღსრულებამდე 15 დღით ადრე შესაძლებლობა ჰქონდა გაეკეთებინა არჩევანი ინექციასა და ელექტროსკამს შორის. თუმცა ტეილორის განცხადებით, მას ასეთი უფლებით არ უსარგებლია. ასეთ შემთხვევაში კი სასჯელის აღსრულება ინექციის გზით ხდება.

ვაშინგტონელი სნაიპერის საქმეზე ორი ეჭვმიტანილი დააკავეს. ერთი -- 42 წლის ჯონ ალენ უილიამსი, რომელმაც მაჰმადიანობის მიღების შემდეგ გვარი შეიცვალა და მუჰამედად იწოდებოდა და მისი 17 წლის შვილობილი ჯონ ლი მალვო. მათ მანქანაში ნაპოვნი იარაღისთვის ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ვაშინგტონის სიახლოვეს ორი კვირის მანძილზე დახოცილ 10 ადამიანს სწორედ ამ იარაღიდან ესროლეს.

აშშ-ს დედაქალაქის შემოგარენში მოთარეშე მკვლელებმა თავიანთ მსხვერპლთა უმეტესობა მერილენდის შტატში დახოცეს.

ჯონ ალენ მუჰამედს თანამზრახველთან, 17 წლის ლი ბოიდონ მალვოსთან ერთად რამდენიმე კვირის განმავლობაში შიშის ქვეშ ჰყავდა აშშ-ს დედაქალაქისა და მიმდებარე რაიონების მოსახლეობა. იგი პერიოდულად აწყობდა სროლას ავტოგასამართ სადგურებსა და სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. მისი მსხვერპლთა რაოდენობა სულ 10 ადამიანს შეადგენს. 4 ადამიანი დაიჭრა, თუმცა ისინი გადარჩნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობები ხდებოდა ჯონ ალენ მუჰამედის მითითებით, ხოლო ლი ბოიდონ მალვო მისი გავლენით მოქმედებდა.

მალვოს განცხადებით, მათ განზრახული ჰქონდათ აშშ-ს ხელისუფლებისგან მოეთხოვათ რამდენიმე მილონი დოლარი მკვლელობების შეწყვეტის სანაცვლოდ. მალვოს ჩადენილი დანაშაულისათვის სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

იამადაევის მკვლელობაში ბრალდებულები შესაძლოა გაათავისუფლონ

გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, რუსეთის გმირის, ჩეჩნური სპეც-ბატალიონის "ვოსტოკის" ყოფილი ხელმღვანელის სულიმ იამადაევის მკვლელობისთვის ბრალდებული მაჰსუჯონ ისტამოვი და მაჰდი ლორნი, რომლებიც მიმდინარე წლის მარტში, დუბაიში დააკავეს, შესაძლოა, გაუსვლელობის პირობით გაათავისუფლონ.

მოსამართლემ უკვე აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები, მათი ბრალეულობის დასამტკიცებლად საკმარისი არაა. ბრალდებულების ადვოკატი, მომდევნო სასამართლო პროცესზე, დაკავებულების გათავისუფლების მოთხოვნით, შუამდგომლობის დაყენებას აპირებს.

როგორც ადვოკატებმა "კომერსანტს" განუცხადეს, იამადაევის მკვლელობის საქმე 5 ათასი ფურცლისგან შედგება. პროცესის მონაწილეებმა, ცოტა ხნის წინ შეძლეს, საქმის თავიდან ბოლომდე გაცნობა და გაანალიზება.

ბრალდების მხარის მოწმეები პოლიციელები აღმოჩნდნენ, რომელთა უმეტესობაც მკვლელობის გახსნაში მონაწილეობდა, რის გამოც, მოსამართლემ მათ მოწმის სტატუსი მოუხსნა და მხოლოდ ერთ მათგანს დართო ნება სასამართლოზე მოწმედ გამოსულიყო.

ისტამოვისა და ლორნის ბრალეულობის შესახებ წარდგენილი მტკიცებულებების შესახებ მოსამართლემ განაცხადა, რომ მტკიცებულებების გასამყარებლად ჩვენებების მოსმენა სამოქალაქო პირებისგანაც სურს, რომლებიც პოლიციის ვერსიას დაამოწმებენ. იმ შემთხვევაში, თუ მისი მოთხოვნა არ შესრულდება, მოსამართლე ჰამად აბდულ ლატიფ ჯავადის განცხადებით, შესაძლოა დაეთანხმოს დაცვის მხარის შუამდგომლობას ბრალდებულების პირობით გათავისუფლების თაობაზე. როგორც ადვოკატები აცხადებენ, ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ მოსამართლეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გარკვეული შეხედულება უკვე ჩამოუყალიბდა.

სულიმ იამადაევის ძმა, ისა იამადაევი თვლის, რომ ბრალდებულების გათავისუფლება არაფრით არ შეიძლება: **"თუ მათ გაათავისუფლებენ, ისინი სასწრაფოდ დატოვებენ დუბაის,"** - აცხადებს იგი.

ანდრე გლუქსმანი: "რუსეთში ცვლილებები მხოლოდ რუსების ძალისხმევით მოხდება"

პირველი გვერდიდან

სწორედ იმ დღეს ინსტიტუტს ანასტასია ბაბუროვას სახელი მიენიჭა. გამოსვლის შემდეგ ფრანგული პრესა ბერნარ კუშნერის "რუსულ თავსატეხზე" ალაპარაკდა.

ჟურნალი "ექსპრესი" თავის ინტერნეტ-ვერსიაში წერს: "ბერნარ კუშნერი ყოველთვის ლაპარაკობდა ადამიანის უფლებათა უნივერსალურობაზე (მათ გავრცელებაზე ყველა ქვეყანაში). მაგრამ მას შემდეგ, რაც ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩაუდგა სათავეში, როგორც ჩანს, იძულებული გახდა, უფრო რეალისტური პოზიციებით შემოიფარგლოს. შედეგად, ფრანგული დიპლომატიისთვის ადამიანის უფლებათა დაცვა არცთუ მარტივ ამოცანად იქცა. ხოლო რუსეთის შემთხვევა "ნამდვილი თავსატეხია." 28 აგვისტოს ფრანგმა მინისტრმა თავის გამოსვლაში ფრანგულ-რუსულ ურთიერთობებზე მაქსიმალურად დადებითი კუთხით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობები არასდროს ყოფილა ასეთი მჭიდრო. ამავე დროს მან რუსეთის ხელისუფლებას მეტი "გამჭვირვალობისკენ" მოუწოდა. კუშნერმა ისიც დაამატა, რომ "ადამიანის უფლებათა საკითხი მეგობრებს შორის აკრძალული სალაპარაკო თემა არ უნდა იყოს."

პრესისთვის გამართულ ბირიფინგებზე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მუდმივად აცხადებენ, რომ მეგობრულად განწყობილი რუსეთის მიმართ მენტორულ და ზნეობის მასწავლებლის პოზიციას ვერ დაიკავებენ. არსებული ვითარების შეფასების თხოვნით საფრანგეთის საერთაშორისო რადიომ ცნობლ ფრანგ ფილოსოფოს ანდრე გლიუქსმანს მიმართა:

- რით შეიძლება აიხსნას ასეთი ცვლილება საფრანგეთის პოზიციაში? და შეიძლება თუ არა იმედი გვქონდეს, რომ საფრანგეთის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის პირველი კურსისთვის 25 წლის მოკლული ჟურნალისტის სახელის მინიჭება რუსეთზე რაიმე ზეგავლენას მოახდენს?

- არ მგონია, საფრანგეთს პრეტენზია ჰქონდეს, რომ რუსეთში რამეს შეცვლის. ცვლილებები მხოლოდ რუსი ხალხის ძალისხმევით არის შესაძლებელი. მათ გარდა ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. სხვაგვარად არის საქმე მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც გადაწყვიტა, რომ მათმა კურსმა ანასტასიას სახელი უნდა ატაროს. პირადად მათთვის ყველაფერი შეიცვლება იქიდან გამომდინარე, თუ როგორ ჩამოყალიბდება მათი პროფესიის კონცეფცია. ეს შეიძლება ეგოისტურიც მოგეჩვენოთ, რადგან ანასტასიას ისტორია ფრანგებისთვის მაგალითად იქცევა. მაგრამ ნებისმიერ დროში რუსული კულტურა მთელი მსოფლიოსთვის იყო განკუთვნილი.

ანასტასია პირველი არ არის. მან, გარკვეულწილად, პუშკინის ხაზი გააგრძელა იმაში, რაც უდიდესი რუსული კულტურის სათავეებს ეხება. პუშკინი სამეფო კარის ინტრიგების მიერ პროვოცირებულ დუელში დაიღუპა. მაგრამ რუსული კულტურის არსი მთლიანად თავისუფლების მხარეს, ავტოკრატიასთან ოპოზიციაში დგომაა. და ანასტასიამ პირდაპირი მნიშვნელობით იგივე არჩევანი გააკეთა თავის დონეზე, თუმცა გასაოცარი სიმამაცით, რადგან მისი დუელი დაქირავებულ მკვლელებთან შედგა. ჩემი აზრით, ეს პუშკინის დუელის განმეორებაა.

თქვენ ამბობთ, რომ პოზიცია შეიცვალა. ჩემი აზრით, სამწუხაროდ, დიდი ცვლილებები არ მომხდარა. შირაკმა ვლადიმირ პუტინი საპატიო ლეგიონის - უმაღლესი რანგის ორდენით დააჯილდოვა! და ეს პოლიტკოვსკაიას მკვლელობის მომენტში მოხდა (ჩვენ მეგობრები ვიყავით). რაც შეეხება ცვლილებებს საფრანგეთის მხრიდან... არა მგონია, რომ ისინი მნიშვნელოვანი იყოს. რასაც მნიშვნელობა აქვს, ეს პროტესტებია. რასაკვირველია, საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია, მუდმივად აცხადებდეს პროტესტს. თუმცა ის საკმარისად ხშირად არ აპროტესტებს, მე არ შემიძლია, ამას არ დავეთანხმო. ამიტომ, როდესაც საფრანგეთის მთვარობა აპროტესტებს, მე მას მხარს ვუჭერ. როდესაც ის არ აპროტესტებს, მე მთავრობის წინააღმდეგ გამოვთქვამ პროტესტს!

- როგორ ავხსნათ საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ოფიციალურ მიმართვებში რუსეთის მიმართ ტონის საგრძნობლად შერბილება? რა არის ეს - დიპლომატიის მოთხოვნა ობიექტური ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით (რუსეთის ენერგეტიკულ არგუმენტს ვგულისხმობ) თუ რუსეთის ამ პრობლემის მიმართ ინტერესის დაკარგვა?

- არ მგონია, რომ ინტერესი მართლა დაიკარგა. მე ჩეჩნეთის ომის წინააღმდეგ ჯერ ელცინის დროს გამოვდიოდი, შემდეგ კი პუტინის პერიოდში. თუკი ვილაპარაკებთ დაღლილობაზე, იმ რწმენის დაკრგვაზე, რომ რაღაც შეიცვლება, ასეთი რამ ძირითადად დასაწყისში უფრო იგრძნობოდა. სირთულე უფრო ის არის, რომ ფრანგების ყურადღება რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე გამახვილდეს. მათ უჭირთ იმის წარმოდგენა, რაც სინამდვილეში ხდება.

ჩვენ საფრანგეთში მიჩვეულები ვართ ფიქრს, რომ ქვეყანა მოდერნიზებას განიცდის და მალე უფრო დემოკრატიული გახდება, რადგან ოფიციალურად "კომუნისტური" რეჟიმი აღარ არსებობს და მარქსიზმის იდეოლოგია აქტუალური აღარ არის.

რუსეთი კომუნისტური აღარ არის. ამიტომ ვფიქრობდით, რომ ახლა ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდოდა, მაგრამ ეს არ არის სწორი. ასეთი ლაპარაკი ისტორიის არცოდნას ნიშნავს - მთლიანად რუსეთის ისტორიისა და არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდის. მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსეთის მოდერნიზაციამ მისი დემოკრატიზაცია არ გამოიწვია. გავიხსენოთ, რომ რუსეთში ბატონყობა სწორედ ეკატერინე დიდმა დაამძიმა, რომელსაც რუსეთის მოდერნიზაცია სურდა. ამიტომ იმის გაგება, რაც რუსეთში ხდება, ადვილი არ არის. ადვილი არ არის არც წარსულის და არც აწმყოს გაგება.

ამავე დროს, ჩვენ ახლა ნაკლებად ვენდობით რუსეთს, ვიდრე ვენდობოდით. თქვენ იცით, რომ საფრანგეთს ძალზე მიამიტური დამოკიდებულება ჰქონდა ეკატერინე მეორესადმი. გიხსენეთ თუნდაც მისი მიმოწერა ვოლტერთან. ფრანგული წვრილი ბურჟუაზია გულუბრყვილოდ მოიხიბლა "რუსული სესხით." წარმოიდგინეთ, რამხელა თანხა ანდეს მათ მეფე ნიკოლოზ მეორეს! ახლა მე ვლაპარაკობ ეგოისტ ფრანგებზე. დაბოლოს, საფრანგეთის პროლეტარიატი და ინტელიგენცია სტალინიზმს მნიშვნელოვანწილად უჭერდნენ მხარს. ამიტომ, თუკი შეიძლება ასე ითქვას, დღეს საქმე ბევრად უკეთაა, რადგან ძველი "თანხმობა" აღარ არსებობს. ჩვენ აღარ ვართ ისეთი მიმნდობები, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

- ვინ უნდა გაამახვილოს ყურადღება ასეთ პრობლემებზე? ეს არის ინტელიგენციის როლი საზოგადოებაში? და ღირს თუ არა, რომ ეს პრობლემები რუსეთს გარეშე ძალამ შეახსენოს?

- ნებისმიერი რიგითი მოქალაქის როლია, ყურადღება გაამახვილოს ყველაფერზე, რაც ხდება, განსაკუთრებით კი სახიფათო ტენდენციებზე, მოვლენებზე, რომლებსაც ცუდი შედეგები მოჰყვება. პოლიტეკონომიის თვალსაზრისით, თქვენ შენიშნავდით, რომ ამჟამინდელი ფართომასშტაბანი კრიზისი იმან განაპირობა, რომ პოტენციური საფრთხის შესახებ არსებული ინფორმაციის იგნორირება მოხდა. როგორც ეკონომიკაში, ასევე შიდა და საერთაშორისო პოლიტიკაში ერთი და იგივე პრინციპები მოქმედებს.

რუსეთი მაინც პლანეტის მეორე ეკონომიკური ზესახელმწიფოა. ის მსოფლიოში იარაღის მეორე მიმწოდებელია. და მოსკოვი იარაღით ყოველთვის საიმედო ქვეყნებს არ ამარაგებს. მესამე პარამეტრია რუსეთის დომინანტი პოზიცია გაზისა და ნავთობის ბაზარზე. ეს უშველებელი სახელმწიფო შიგნიდან საზოგადოებრივი აზრით არ კონტროლდება (ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ რუსეთში ბოლოს ჩატარებული ყველა არჩევნების ეპიზოდები და პრობლემები, როდესაც თავისუფალი არჩევანის პრინციპები დაირღვა). ამგვარად, რუსეთი არ კონტროლდება არც ჟურნალისტების, არც დეპუტატების და არც რიგითი მოქალაქეების (საზოგადოებრივი აზრის) მიერ.

და საშინელება ის არის, რომ რუსეთს არანაირად არ "ამუხრუჭებს" თუნდაც საერთაშორისო საზოგადოების აზრი. მე არ ვარ საომარი მოქმედებების მომხრე, მაგრამ როდესაც ქვეყნის შიგნით არანაირი შემაკავებელი ბერკეტი არ არსებობს, აუცლებელია, ასეთი ზეგავლენა გარედან მოხდეს. ინგლისურად ეს გამოიხატება ტერმინით "შეკავება" (containment). ასეთი შეკავება აუცლებელია ყველა ავტორიტარულ ქვეყანასთან მიმართებაში. საჭიროა, მათ გავაგებინოთ, რომ ზეწოლა უნდა შეასუსტონ და უნდა დამშვიდდნენ.

და მე ვფიქრობ, რომ დასავლეთის სისუსტე სწორედ ეს არის: ის ვერ აცნობიერებს იმ საფრთხეს, რასაც შეიძლება წარმოადგენდეს არა იმდენად ესა თუ ის ლიდერი, რამდენადაც მთლიანად თვითმპყრობელობა (ზესახელმწიფო), რომელიც დემოკრატიული კონტროლის ფარგლებიდან გამოდის.

"Radio France Internationale"-ს
მიხედვით მოამზადა
მარიკა იაშვილმა

ბერლუსკონიმ სასამართლოსგან თავის დაღწევის გზა მოძებნა

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი პარლამენტში ახალი კანონპროექტის შეტანას გეგმავს, რომელიც გულისხმობს კორუფციულ დანაშაულზე ხანდაზმულობის ვადის შემცირებას ათიდან ექვს წლამდე.

ბერლუსკონი თავის მთავარ ოპონენტს, პარლამენტის სპიკერ ჯანფრანკო ფინის კანონის მხარდაჭერაზე უკვე მოელაპარაკა. ფინის განცხადებით, პროექტი პალრამენტში რამდენიმე დღეში შევა.

2009 წლის სექტემბერში იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ პრემიერს ხელშეუხებლობა მოუხსნა, რაც იმით ახსნა, რომ ეს ეწინააღმდეგება კანონის წინაშე ქვეყნის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ბერლუსკონის წინააღმდეგ ადრე შეჩერებული ორი საქმე ნოემბერში კვლავ განახლდება.

პრემიერის წინააღმდეგ აღძრული ერთ-ერთი საქმე ბერლუსკონის კუთვნილ კომპანია "მედიასეტს" ეხება. ამ კომპანიას ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვის დროს საგადასახადო კანონის დარღვევას ედავებიან. აღნიშნული საქმის ხანდაზმულობის ვადა 2012 წელს იწურება. მეორე საქმე, რომლის ხანდაზმულობის ვადაც 2011 წელს იწურება, ეხება პრემიერის მიერ 600 ათასი დოლარის ოდენობის ქრთამის მიცემას თავის ყოფილ მრჩეველ დევიდ მილსისთვის, რათა ამ უკანასკნელს სასამართლოზე ყალბი ჩვენება მიეცა.

იმ შემთხვევეაში, თუ კორუფციის გამო აღძრულ საქმეებზე სასამართლო დევნის პერიოდი შემცირდება, მაშინ ორივე ამ საქმის ხანდაზმულობის ვადა ამოწურულად ჩაითვლება. ბერლუსკონის ადვოკატმა ნიკოლო გედინიმ არ დააზუსტა, როდის შევა კანონი ძალაში და შეეხება თუ არა იმ საქმეებს, რომლებიც ამ კანონის შემოღებამდე იყო დაწყებული.

AFP © 2009

იტალიის პრემიერ-მინიტრის რეპუტაცია ბოლო პერიოდში სერიოზულად შეირყა - მას როგორც კორუფციულ, ასევე სექსუალურ სკანდალებში ადანაშაულებენ. ოპოზიციამ არაერთხელ მოითხოვა პრემიერის გადაყენება და ვადამდელი არჩევნების ჩატარება. თუმცა, ბერლუსკონიმაც არაერთხელ განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

აფეთქებას პაკისტანში 20 კაცი შეეწირა

მარიკა იაშვილი

20-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და კიდევ უფრო მეტი დაიჭრა პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ჩარსადაში დანაღმული ავტომობილის აფეთქების შედეგად. პაკისტანის პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, აფეთქება ქალაქის ცენტრში, ხალხმრავალ გზაჯვარედინზე მოხდა. ეს პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო ზოლში ბოლო სამი დღის განმავლობაში მომხდარი უკვე მესამე მსგავსი შემთხვევაა.

სამხრეთ ვაზირისტანში თალიბების წინააღმდეგ პაკისტანის არმიის შეტევითი ოპერაციების პარალელურად ბოევიკები საპასუხო ქმედებებს ახორციელებენ, რის შედეგადაც უკვე 300-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მომხდარის გამო პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია. დასკვნების გაკეთებას პოლიციაც არ ჩქარობს და არ ადასტურებს ვარაუდს, რომ აფეთქება თვითმკვლელი ტერორისტის ჩადენილი იყო. **"ეს იყო ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომობილი,** - აცხადებს ოლქის პოლიციის უფროსი მოჰამად რიაზი, **- მაგრამ მე არ ვიცი, ამ გაჩერებულ მანქანაში თვითმკვლელი მძღოლიც თუ იჯდა."**

აფეთქების ხმა ჩარსადის ცენტრალურ ბაზარში იმ დროს გაისმა, როდესაც ტერიტორია ხალხით იყო სავსე. თვითმხილველთა ჩვენებების თანახმად, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ბაზრის ირგვლივ მდებარე სახლები მნიშვნელოვნად დააზიანა, ბევრ მაღაზიას სახურავი აეხადა, ირგვლივ კი ადამიანის სხეულის ნაწილები, ფეხსაცმელები და ურიკების ნამსხვრევები იყო მიმოფანტული. სასწრაფო დახმარების მანქანებმა ჩარსადისა და მისგან 40 კილომეტრის დაშორებით მდებარე ფეშავარის საავადმყოფოებში ათობით დაჭრილი მიიყვანეს.

ორშაბათს კიდევ ერთი აფეთქება მოხდა ფეშავარის პოლიციის შენობასთან. შემთხვევას, სულ მცირე, სამი ადამიანი ემსხვერპლა. ერთი დღით ადრე ფეშავარში კიდევ ერთმა თვითმკვლელმა აიფეთქა თავი. მისი მსხვერპლი 12 ადამიანი გახდა.

ოქტომბერში იმავე ფეშავარის ბაზარში მომხდარმა ძლიერმა აფეთქებამ 118 ადამიანი შეიწირა. ხელისუფლებამ მომხდარში პაკისტანელი თალიბები დაადანაშაულა, თუმცა მათი ხელმძღვანელობა აქციაში მონაწილეობას უარყოფს.

რევიუ

საწყისებისკენ

უძველესი თბილისის ძიებისთვის

პირველი გვერდიდან

"უძველესი თბილისი" ქალაქის ისტორიის ყველაზე ადრეულ ეტაპებს მოიცავს. სავარაუდოდ მისი წარმოჩენა უდიდეს პოპულარობას მოუტანს ჩვენს დედაქალაქს, როგორც ეკონომიკური, ტურისტული, ასევე სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო კუთხით.

დღეისათვის თბილისის ტერიტორიაზე ცნობილია 250-მდე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რაც ქალაქისა და მისი შემოგარენის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობით იხსნება. ყოველივე ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი პოტენციალი გააჩნია თბილისს, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ძეგლს.

პროექტ "უძველესი თბილისის" კურატორი, მიხო აბრამიშვილი აღნიშნავს: "თბილისი ერთ-ერთი უძველესი დასახლების ისტორიის მქონე დედაქალაქია. ადამიანთა უწყვეტი ცხოვრების ნაშთები თბილისის ტერიტორიაზე 6000-ზე მეტ წელს ითვლის. დღეისათვის თბილისიდან 250-მდე არქეოლოგიური ძეგლია ცნობილი და ძეგლთა ასეთი სიმრავლე თბილისის და მისი შემოგარენის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული. უძველესი დროიდან სწორედ აქ იკვეთებოდა როგორც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ასევე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალი ევრაზიის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები.

აღმოჩენებს შორის აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე. თავდაპირველად კი აღმოჩენა დიღმის მასივის ტერიტორიაზე. საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში, მდებარეობს თრელიგორების ნასახლარი, რომელიც მთელს კავკასიაში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველაზე დიდი დასახლებაა. იგი სამ ბუნებრივ ბორცვზეა განლაგებული და ამ ბორცვებზე ადამიანთა უწყვეტად ცხოვრების ნაშთებს თვალი ედევნება ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან მოყოლებული ადრეშუასაუკუნეების ხანის ჩათვლით.

თრელიგორებთან ახლოს მდებარეობს ამავე ნასახლარის სამაროვანი, რომელმაც უაღრესად საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა თბილისში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და წესჩვეულებების შესახებ. ღრმაღელეში და ლილოში აღმოჩენილია საბრძოლო იარაღების უნიკალური ნიმუშები.

მეცნიერული თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა დიდი დიღმის მე-4 მ/რ-ს მიმდებარე 20-25 ჰექტარზე გადაჭიმული ტერიტორია...

ასევე საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს შემთხვევით მიკვლეული გვიანკლასიკური ხანის (I-III საუკუნეების) სამაროვანი. აქ აღმოჩენილი მაღალმხატვრული ნაკეთობანი მიუთითებს ერთის მხრივ ურთიერთობაზე ირანულ, ხოლო მეორეს მხრივ რომაულ სამყაროსთან და თბილისის ტერიტორიაზე არისტოკრატიის არსებობას ადასტურებს.

ქალაქისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი 10 000-ზე მეტი არქეოლოგიური ექსპონატი და მათ შორის ისტორიული თვალსაზრისით მსოფლიო ღირებულების მქონე არაერთი არტეფაქტი 1988 წელს დაარსებულ თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმ-საცავში გახლავთ დაცული.

პროექტი "უძველესი თბილისი" არის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, რომელიც სხვადასხვა მიმართულების სამუშაოებს მოუყრის თავს. პროექტის დირექტორი თავად ეროვნული მუზეუმის დირექტორია. დავით ლორთქიფანიძე "უძველესი თბილისის" მიზნებს განმარტავს: "პროექტი ითვალისწინებს დედაქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების აღნუსხვას, მონაცემთა ბაზის შექმნასა და არქეოლოგიური მუზეუმ-საცავის ინფრასტრუქტურის გამართვას. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიდი ხნის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და თბილისის საკრებულოს მიზანმიმართული პოლიტიკა დედაქალაქის განვითარების საკითხში პროექტის წარმატების განმსაზღვრელი იქნება.

დღესდღეობით არსებობს ორი თბილისი: ძველი და ახალი თბილისი. თუმცა რეალურად არსებობს მესამე, უძველესი თბილისი, იგივე მიწისქვეშა თბილისი. ანუ ქალაქის ის ნაწილი, რომელიც მისი ისტორიის ყველაზე ადრეულ ეტაპებს მოიცავს და რომლის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის ისტორიისათვის."



პროექტის კოორდინატორი, თეონა ჯაყელი გვიხსნის, რომ ურბანიზაციის დაჩქარებული პროცესი, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბურობა საშიშროების ქვეშ აყენებს ქალაქის არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთა დიდი ნაწილი წლების განმავლობაში სამწუხაროდ განადგურდა ან განადგურების წინაშე დგას. გამოდის რომ ახალი პროექტი წინ უნდა აღუდგეს ამ ნეგატიურ პროცესებს... შეძლებს თუ არა უძველესი თბილისი გაუმკლავდეს თანამედროვე თბილისის ამბიციურ და ხშირად ალოგიკურ ტენდენციებს, ამას დროს აჩვენებს, თუმცა დრო ამ შემთხვევაში არ ითმენს.

ვფიქრობ, აღსანიშნავია, რომ პროექტს ჰყავს კონსულტანტი თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორის ნიკა ჩხეიძის სახით. ის დღეს საკრებულოს დეპუტატია და ურბანული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე. ჩვენ გვაინტერესებდა პროექტის კონსულტანტი კონკრეტულად რომელ საკითხებზე მუშაობს:

"ძირითადად ვმუშაობ პროექტის ზოგად კონცეფციაზე. ჯერ მხოლოდ პროექტის დასაწყისია, მაგრამ უკვე გამოკვეთილია რამდენიმე საკითხი, რომელთა მიმართებაშიც ვხედავ ჩემს ფუნქციებსაც. მაგალითისთვის, უძველესი თბილისის არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილები ტერიტორიულად ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებით არის. ამიტომ გასააზრებელია მათი ქსელი, თუ როგორ უნდა დავაკავშიროთ ეს პუნქტები. როგორ უნდა მოხდეს მათი ინტეგრირება ტურისტულ ქსელში. ასევე მნიშვნელოვანი იქნება კანონმდებლობის საკითხი. დღეს ბიზნესმენი დიდ დაბრკოლებად აღიქვამს, თუკი მის ტერიტორიაზე უძველესი ქალაქის ნაშთებს პოულობენ. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი კანონპროექტი, რომელიც კერძო მესაკუთრეს აგრძნობინებს, რომ ნებისმიერი ამ ტიპის აღმოჩენა მის მიწას ღირებულებას მატებს, რომ ეს პრივილეგიაა და არა პრობლემა..."

რაც შეეხება გამოფენას, რომელმაც უძველესი თბილისის მნიშვნელობას ამ საღამოდან "ქარვასლაში" უნდა მოჰფინოს ნათელი. გამოფენა თბილისის საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. უძველესი თბილისი აღმოჩენად იქცა თავად საკრებულოს თავმჯდომარესთვის.

ზაალ სამადაშვილი: "თბილისი ჩვენთვისაც აღმოჩენაა, იმაზე ძველი აღმოჩნდა ვიდრე გვეგონა. ძველი თბილისი - ეს სიტყვათა წყობა ვიცოდით, მაგრამ "უძველესი თბილისი" - ამ სიტყვათა წყობას აქამდე არ ვიცნობდით. ამ სიტყვებთან ერთად აღმოვაჩინეთ, რომ თბილისი არა 3000 წლის, არამედ 6000 წლის ყოფილა და ეს ფაქტი და მისი ამსახველი გამოფენა არა მხოლოდ თბილისელებს, არამედ ძალიან ბევრ უცხოელსაც დააინტერესებს. ამ ეტაპზე საკრებულო მხოლოდ გამოფენის პარტნიორია, თუმცა სამომავლოდ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, მთლიანად პროექტის მხარდაჭერასაც გავაგრძელებთ."

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება არაერთი უნიკალური ნივთი. მათ შორის აღსანიშნავია ვერცხლით ინკრუსტირებული ბრინჯაოს აბზინდა ცხენზე ამხედრებული მამაკაცის გამოსახულებით. ეს ნივთი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, როგორც მისი მაღალმხატვრული ღირებულებით, ასევე იმითაც, რომ კავკასიაში მხედრის უადრეს გამოსახულებას წარმოადგენს და მიუთითებს კავალერიის არსებობაზე უკვე ჩ.წ-მდე XIII საუკუნეში. ცხენის ფიგურაზე ვხვდებით საქართველოში უადრეს მინანქრის ფრაგმენტს.

უმნიშვნელოვანესია თრელის სამაროვანის სამარხში აღმოჩენილი ფოლადის დანა, რომელიც მანიშნებელია იმ ფაქტის, რომ თბილისის ტერიტორიაზე რკინის მეტალურგია და ფოლადის წრთობა უკვე ესოდენ ადრეულ ხანაში იყო ცნობილი.

მონსტრი დელ ტორო

სულ უფრო მეტი ხდება ცნობილი პროექტზე, რომელსაც აქვს პრეტენზია "ბეჭდების მბრძანებლის" წარმატება გაიმეოროს. მექსიკელი გილერმო დელ ტორო "ჰობიტის" გადაღებას 2010 წლის დადგომისთანავე დაიწყებს, თუმცა ყოველდღიურად მაინც ახრეხებს სიურპრიზების შემოთავაზებას. მაგალითად ცნობილი გახდა, რომ რეჟისორმა საკუთარ თავს ეპიზოდური როლი მიაკუთვნა - იგი პატარა მონსტრის როლს შეასრულებს.

"ამ არსების შექმნაში უშუალოდ ვმონაწილეობდი, პირადად დავამზადე პლასტიკატის დეტალები, რომლებსაც სახეზე და ხელებზე მომარგებენ. მსგავსი ნიღაბის დამზადების გამოცდილება უკვე მაქვს, "ჰელბოის" ორივე ნაწილის პერსონაჟების გრიმის დამზადებას პირადად ვხელმძღვანელობდი. რაც შეეხება ჩემს როლს, ის ძალიან პატარაა. ერთ-ორ სცენაში გამოვჩნდები და მაშინვე "მოვკვდები", - ამბობს რეჟისორი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება დელ ტორომ მეგობრისა და "ჰობიტის" პროდიუსერის, პიტერ ჯეკსონის მაგალითზე მიიღო. ჯეკსონი "ბეჭდების მბრძანებლის" რამდენიმე ეპიზოდში ჩნდება, სადაც ასევე გრიმით შენიღბულ მონსტრებს თამაშობს. ერთ-ერთ სცენაში კი მას ლეგოლასიც კი "კლავს".

შეგახსენებთ, რომ "ჰობიტის" ავტორიც ჯ.რ.რ. ტოკლინია, რომელმაც ეს ნაწარმოები "ბეჭდების მბრძანებლის" ტრილოგიამდე დაწერა, თუმცა მოგვიანებით ეს ფრანჩიზა თავის საკულტო ნაწარმოებშიც გამოიყენა. ნაწარმოების ეკრანიზაცია ჯერ კიდევ "ბეჭდების მბრძანებლამდე" იყო დაგეგმილი, მაგრამ მაშინ პიტერ ჯეკსონმა უპირატესობა მას მიანიჭა, "ჰობიტის" გადაღების უფლება კი კოლეგა გილერმო დელ ტოროს გადაულოცა, თავად კი პროდიუსერის როლს დასჯერდა.

ამჟამად პრაქტიკულად შედგენილია სამსახიობო ანსამბლი, თუმცა რამდენიმე დეტალი ამ მხრივ მაინც დასაზუსტებელია. მაგალითად, არაა ცნობილი ვინ ითამაშებს ახალგაზრდა ბილბო ბეგინსს. ასევე ბოლომდე არაა დადასტურებული, დათანხმდება თუ არა იან მაკკელენი გენდალფის როლის კიდევ ერთხელ შესრულებას (შეგახსენებთ, რომ იგი "ბეჭდების მბრძანებლის" სამივე სერიაში ამ როლს თამაშობს). მაკელენი გენდალფისთვის იმდენად კარგი ტიპაჟია, რომ ნამდვილად გულდასაწყვეტი იქნება, თუ "ჰობიტის" ბორტს მიღმა აღმოჩნდება. დელ ტოროს ფილმში პიტერ ჯეკსონის ტრილოგიის კიდევ ერთ მსახიობს და შესაბამისად პერსონაჟსაც ვიხილავთ - ელფების მეფის, ელრონდის როლის შემსრულებელი ჰიუგო უივინგს. ასევე ფილმში გამოჩნდება ენდი სერკისი, რომელმაც სახელი გოლუმის პერსონაჟის შექმნით გაითქვა. ერთ-ერთი მათავარი როლი გილერმო დელ ტორომ თავის საყვარელ მსახიობს, "ჰელბოის" როლის შემსრულებელ რონ პერლმანს მიანდო. ერთი სიტყვით გუნდი მზადაა სამუშაოდ, რის შედეგსაც 2011 წლისთვის უნდა ველოდოთ, "ჰობიტის" მეორე ნაწილის გამოსვლა კი 2012 წლესაა დაგეგმილი.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ

ქართული მეცნიერება ცივილიზაციათა დიალოგის რთული გზის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. საუკუნეთა მანძილზე იგი ემყარებოდა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას და პოლიტიკური ანტაგონიზმის მიუხედავად შემოქმედებითად ითვისებდა ელინურ-ბიზანტიურ და აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს.

კულტურათა შერწყმისა და ურთიერთგამდიდრების შედეგები ნათლად აისახება ქართულ სიძველეთსაცავებში დაცულ წერილობით ძეგლებში, სამეცნიერო თხზულებათა შემცველ ხელნაწერებში, რომელთა მნიშვნელობა, როგორც პირველწყაროებისა, უაღრესად დიდია. ქართველ მთარგმნელთა და "გარდამთქმელთა" მიერ შესრულებული სამეცნიერო თხზულებები ასახავს ახლო აღმოსავლეთის ერთიანი კულტურული არეალის მეცნიერული აზრის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს.

ერთ-ერთი ასეთი მრავალმხრივ საყურადღებო ნუსხაა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი კრებული, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სახის სასულიერო თხზულებებს (ანასტასი სინელის "წინამძღვარს", ცნობილი სასულიერო ავტორიტეტების ნიკიტა სტითატისა და თომა იერუსალიმელის თხზულებებს, ბიბლიიდან გამოკრებილ ქრონოლოგიურ ცნობებს და სხვ.), აგრეთვე ასტროლოგიური შინაარსის თხზულებას "ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის". იგი აღმოსავლურენოვანი (არაბულ-სპარსული) წყაროდანაა გადმოკეთებული და ეხება ციურ ეტლთა დახასიათებას, მთვარის მოძრაობას, მოძღვრებას შვიდი მნათობის შესახებ. ძეგლი 1188-1210 წლებს განეკუთვნება და წარმოადგენს ამ ტიპის ყველაზე ძველ დათარიღებულ თხზულებას თვით აღმოსავლურ ტრადიციაშიც (ა.შანიძე).

ხელნაწერი უაღრესად საყურადღებოა მოხატულობის თვალსაზრისითაც და დიდ მსგავსებას იჩენს სპარსულ სამინიატურო ხელოვნებასთან (გ.ალიბეგაშვილი). ხელნაწერის დასაწყისში ქუფური წარწერაა, როგორც ბევრი მოხატული სპარსული ხელნაწერის დასათაურებაში. აქვეა მთვარის სხვადასხვა ფაზის, ამოსვლისა და ჩასვლის გამოხატულება და დიაგრამა. შემდეგ წარმოდგენილია ზოდიაქოს ნიშანთა დახასიათება; თითოეულ ნიშანს ერთვის დახვეწილი, გრაფიკულად მკაფიო, მოქნილი და ფაქიზი კონტურით, ბეწვის კალმით შესრულებული მინიატურა, რომელიც დიდ მსგავსებას იჩენს სპარსული სამინიატურო ხელოვნების ნიმუშებთან, უშუალოდ ზოდიაქოს ნიშანთა გამოსახვის ტრადიციასთან ასტროლოგიური შინაარსის სპარსულ ხელნაწერებში. ამასთან, ქართული მინიატურა უფრო მშვიდი, განწონასწორებული დინამიკით ხასიათდება. ზოგიერთ დეტალს მოეძებნება ანალოგი ამავე ეპოქის ქართულ მხატვრობაში.

აღორძინების ხანაში (XVII-XVIII სს.). იგი ქართველ განმანათლებელთა - ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის და მეფე არჩილის ყურადღების საგანიც იყო.

თამარ აბულაძე
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები, გამოფენები, ტრადიციულად, საინტერესოა და ორგანიზების კულტურითაც გამოირჩევა. ამ შემთხვევაში რას გვთავაზობს ორგანიზაცია, რომლის ინიციატივით მომზადებულ პროექტებში ქართველებიც აქტიურად მონაწილეობენ? ნოემბრის თვეში შედგება ოთხი ღონისძიება, რომლებიც საქართველოსა და გერმანიაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს ასახავენ. მათ შორის ერთ-ერთი - გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში გუშინ გაიხსნა.

"ცვალებადი სამყარო - დროის ანარეკლი" - ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, ქართულ, ყაზახურ, ყირგიზულ, უზბეკურ და გერმანულ თანამედროვე ფოტოგრაფიასა და ვიდეოხელოვნებას აერთიანებს. რა არის მისი თემა? როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკანასკნელი ორი ათეულის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, უფრო კონკრეტულად კი, როგორ აღიქვეს 1989 წელს კედლის დანგრევის შედეგად გამოწვეული დინამიური პროცესები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და გერმანიის ხელოვანებმა.

გამოფენაში, რომლის მთავარი კურატორია ბერლინელი იულე როიტერი (Jule Reuter), მონაწილეობენ: ირინა აბჟანდაძე, კოკა რამიშვილი, ვიქტორ ანი, ტალგატ აზირანკილოვი, თინა ბარა, ალბა დ`ურლბანო, ქრისტიან ბორხერტი, ოლგა ჩერნიშევა, შაილო ჯეკშენბაევი, ალევტინა კახიზე, ვლადიმირ კუპრიანოვი, ვიქტორ მარუშჩენკო, ერბოსინ მელდიბეკოვი, ნურბოსინ ორისი, იგორ სავჩენკო, ოკსანა შატალოვა.

"გამოფენის ყურადღების ცენტრშია ხელოვანების მიერ გადმოცემული "ცვალებადი დრო" და კომპლექსურ თემატიკასთან მათი ემპირიულად მიახლოვების მცდელობა. ხელოვანთა მიერ გადმოცემული, ხშირად ულმობელი, მაგრამ ამავდროულად ირონიული სინამდვილე, დამთვალიერებელს რეალობის აღქმისკენ, შიშსა და პრობლემებზე მსჯელობისკენ უბიძგებს. გამოფენის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ესაა", - აღნიშნულია საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ გამოცემაში.

ექსპონირებულ ნამუშევრებს თემა აერთიანებთ, მაგრამ საექსპოზიციო დარბაზში კარგად არის წარმოჩენილი განსხვავება და შემოთავაზებულისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულება, რაც თითოეულ ნამუშევარში ნათლად იკითხება. როგორ განიხილავენ თემას უცხოელები, მაგალითად ბელორუსელი იგორ სავჩენკო? ის გვთავაზობს ფოტოსერიას, რომლებზეც სხვადასხვა ასაკის ადამიანები განსხვავებულ გარემოში არიან გამოსახულნი ისე, რომ მათ შორის უმრავლესობას სახე წაშლილი აქვს. მათ სახეებს ავტორი, უმრავლეს შემთხვევაში, თეთრი, იშვიათად კი - მოყვითალო, მოთეთრო-მოცისფრო ლაქებით ფარავს. კომპოზიციებიდან რამდენიმე წითელი ხაზებითაა "გამდიდრებული"... ასეთი განზოგადება ავტორის მიდგომას გამოხატავს და ხაზს უსვამს სათქმელს, რომელიც ტოტალიტარიზმის ეპოქის საბჭოთა ადამიანების ოჯახურ ტრაგედიას წარმოაჩენს.

რას ფიქრობენ სხვები? იგორ სავჩენკოს მსგავსად, ოჯახური ტრაგიზმის თემა ქრისტიან ბორხერტისთვისაც მტკივნეულია. თუმცა, ამ უკანასკნელის "ოჯახური პორტრეტები" მეტად რეალისტურია და შესაბამისად, თითქოსდა ნაკლებად განზოგადოებული, მაგრამ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს თემას. "ის დიდი სიფრთხილით იკვლევს 1989 წლის გდრ-ის მოქალაქეთა ცხოვრებაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს - საუბარია იმ ცვლილებებზე, რომელიც შინაგან, პირად მდგომარეობას ეხება. პატარა სოციალისტური ოჯახების პორტრეტები ტიპიურია: დედა, მამა, პატარა ბავშვი. მშობლები, როგორც წესი, დაქორწინებულნი არიან და მუშაობენ", - წერია ტექსტში, რომელიც ორენოვანია და თითოეულ ნამუშევარს ახლავს. ეს ავტორი არც მარტოხელა მშობლებს იღებს და ალტერნატიულ ფონსაც კი არ გვთავაზობს.

როგორ გააცნობიერეს ეს თემა ქართველებმა? ირინა აბჟანდაძის ფოტოსერია, სახელწოდებით "მსხვერპლი", 2003 წელს შეიქმნა. კონცეფციას საფუძვლად რეალური ამბავი უდევს - მას ახლო მეგობარი მოუკლეს, რამაც იმდენად დიდი გავლენა იქონია მასზე, რომ ისეთი ოჯახების ძებნა დაიწყო, რომლებსაც თავს მსგავსი უბედურება გადახდათ. აი, ასე შეიქმნა მისი 25 ფოტო, რომლებზეც ასახულია ბინის ინტერიერის ის სივრცე, რომელიც მიცვალებულის ხსოვნას უკავშირდება. ერთი ზომის შავთეთრი ფოტოები სევდიანია. იქვე აღნიშნულია, რომ მათ შორის არც ერთი არ ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და მკვლელობის საქმეც არ გამოუძიებიათ...

"ეს არის რეგიონალური პროექტი, რომელიც ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, მათ შორის, საქართველოში... აქ წარმოდგენილია 8 ქვეყნის ხელოვანი, რომლებმაც დაამუშავეს თემა, სახელწოდებით Change. საქართველოდან მონაწილეობენ ირინა აბჟანდაძე და კოკა რამიშვილი. ეს ორი ადამიანია ასევე ჩაერთვება დისკუსიაში, რომელიც გოეთეს ინსტიტუტში, ამავე თემასთან დაკავშირებით, 24 ნოემბერს, 16 საათზე გაიმართება. მას წარუძღვებიან: იულე როიტერი და ოლესია ოსტროვსკა-ლიუტას (კურატორი-კიევი). ამით ღონისძიებათა რიგი არ მთავრდება. 18 ნოემბერს გაიმართება ჩვენება ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების, სალომე ჯაშისა და რუსუდან პირველის მოკლემეტრიაჟიანი ფილმების - "ლიდერი ყოველთვის მართალია" და "სტალბერგი", რომლებიც მათ საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით გადაიღეს. ამის გარდა, 20 ნოემბერს, ვფიქრობ, ყველას დააინტერესებს ლიტერატურული სიმპოზიუმი - "1989-2009 ტექსტებში ასახული დრო", რომელიც კვლავაც გოეთეს ინსტიტუტში ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებს ბერლინიდან მოწვეული მწერალი კლაუდია რუში, ასევე, ხუთი ქართველი ავტორი: კოტე ჯანდიერი, ლაშა ბუღაძე, შოთა იათაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, ლევან ბერიძე. ისინი თავიანთ ნაწერებში ცვალებად და მშფოთვარე მოვლენებით აღსავსე უკანასკნელ 20 წელიწადს ასახავენ. ღონისძიების მთავარი მიზანია არა ავტორების მიერ საკუთარი ტექსტების კითხვა, კლასიკური გაგებით, არამედ მათთან საუბარი", - გვითხრა გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა ვერნერ ვიოლმა. მისგანვე შევიტყვეთ, რომ გამოფენა, რომელიც გუშინ "ქარვასლაში" გაიხსნა, პარალელურად, კიევშიც მიმდინარეობს, აქამდე კი ბერლინსა და მოსკოვშიც აჩვენეს. გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა ამავე ინსტიტუტის ინიციატივით გამოცემული ორენოვანი ალბომიც დაათვალიეროს და თავადაც გასცეს პასუხი შეკითხვას: რა შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში?

ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐ ᲢᲣᲢᲐᲜᲮᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲨᲘ

ეგვიპტის სიძველეთა დაცვის უზენაესმა საბჭომ და კალიფორნიის კონსერვაციის ინსტიტუტმა "გეტი" (Getty Conservation Institute) 10 ნოემბერს განაცხადეს რომ ხუთწლიანი მზადების შემდეგ ფარაონ ტუტანხამონის სამარხის რესტავრაციის პროექტს იწყებენ.

სპეციალისტებმა დიდი ხნის წინ შენიშნეს, რომ სამარხის კედლებზე გაჩნდა უჩვეულო ყავისფერი ლაქები. ლაქები, რომლებიც ამახინჯებენ კედლის მოხატულობას. ზაჰი ჰავასი, ეგვიპტის სიძველეთა დაცვის საბჭოს ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ჯერ მეცნიერთა შორის ვერავინ ხსნის ამ ლაქების გაჩენის მიზეზს, თუმცა ის მოხარულია რომ სამარხის კედლებზე ლაქების გაჩენა სულ მალე დაიწყება.

გეტის ინსტიტუტს უკვე უმუშავია იმ სამარხების რესტავრაციაზე, რომლებიც ტუტანჰამონის განსასვენებელთან ახლოს მდებარეობს. ასევე მათი პროექციერებულია ვიტრინები, რომლებშიც წარმოდგენილია ეგვიპტური მუმიები.

ტუტანჰამონის სამარხი არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა მეფეთა ველზე 1922 წელს აღმოაჩინა. ეს არის ერთადერთი სამეფო განსასვენებელი, რომელმაც ჩვენამდე პრაქტიკულად დანაკარგების გარეშე მოაღწია. 2007 წლის ბოლოს განაცხადეს, რომ 2008 წლიდან სამარხში შესვლას შეზღუდავდნენ, რადგანაც სივრცე რესტავრაციას საჭიროებდა.

საქმე №3/53-09
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

10 ოქტომბერი 2009 წ. ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის რაიონული სასამართლო
მოსამართლე ირაკლი აბშილავა

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: ჯაბა ბერიშვილი

სასარჩელო მოთხოვნა:
ზიანის ანაზღაურება

განიხილა პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ჯაბა ბერიშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელის მიერ მოპასუხის მისამართად სარჩელში მითითებულია ქ. ზუგდიდი, ყურწუას ქ. №37. ამ მისამართზე ადრესატი ვერ მოიძებნა. მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია. შესაბამისად, გზავნილისა და სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ ხერხდება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის უზრუნველსაყოფად იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს სასამართლოს გზავნილები ვერ ბარდება, მისთვის უნდა განხორციელდეს შეტყობინების საჯარო პუბლიკაცია და საამისოდ საჭირო ხარჯები ამ ეტაპზე უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოპასუხის საცოვრებელ ადგილას გავრცელებული მასობრივი ინფორმაციის - გაზეთის საშუალებით გამოქვეყნდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საჯარო შეტყობინება შემდეგი შინაარსით:

"მოპასუხე ჯაბა ბერიშვილს (მცხ. ქ.ზუგდიდი, ყურწუას ქ. №37)

გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ჯაბა ბერიშვილის მიმართ - ჯარიმის 21982,11 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის 1123,18 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების, პირგასამტეხლოს - 21982,11 ლარის 0,2%-ის ოდენობით /ყოველდღიურად 2006 წლის 7 ოქტომბრიდან თანხის გადახდამდე/ დაკისრების შესახებ მთავარ სხდომაზე განიხილება 2009 წლის 26 ნოემბერს, 14.00 საათზე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12, სხდომის დარბაზი №2).

მოპასუხეს შეუძლია სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები მიიღოს სასამართლოში მისამართზე: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12, საკონტაქტო პირი ნინო ჩემინავა.

პუბლიკაცია ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ეცნობოს მოპასუხეს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი არ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ წინასწარ აცნობოს სასამართლოს.

მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ასკ-ის 26-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.

პირველი ინსტანციის სასამრთლოში ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს".

2. სასამართლოს საჯარო შეტყობინების გაზეთის საშუალებით გავრცელება და სათანადო მტკიცებულების სასამართლოსთვის წარმოდგენა დაევალოს მოსარჩელეს - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

3. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე: ირაკლი აბშილავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი", საქართველოს კანონის "მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" შესაბამისად

ა ც ხ ა დ ე ბ ს

ღია კონკურსს ქვემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

№	სამეცნიერო მიმართულების პროფილი	მთავარი მეც. თანამშრომელი	უფროსი მეც. თანამშრომელი	მეც. თანამშრომელი
1	2	3	4	5
1	მიწისზედა და კოსმოსური საინჟინრო კომპლექსები, მათი კონსტრუირების და გაანგარიშების საფუძვლები და ექსპერიმენტალური კვლევები	1X0,5	4X1 5X0,5	3X1
2	საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ხელოვნება		1X1	
3	სამხედრო ხელოვნება			2X0,5
4	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა საომარ და საგანგებო მდგომარეობებში, საბრძოლო მოქმედებებში		2X0,5	
5	ტრანსფორმირებადი სისტემების მექანიზმების და მანქანების თეორია		1X1 1X0,5	

კონკურსანტს მოეთხოვება:

- დასაკავებელი სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი დიპლომი;
- არჩეული პროფილის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გამოცდილება;
- გამოცემული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
- არჩეული პროფილის შესაბამისი შრომების ასლი;
- საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ და სხვა სახის ჟურნალებში და კრებულებში პროფილით გამოცემული სამეცნიერო სტატიების სია;
- დანერგილი სამუშაოები სახელმწიფო პროგრამებით (მათ შორის აღნიშნული პროფილით, საზღვარგარეთის შეკვეთები, საზღვარგარეთთან ერთობლივი სამუშაოები, საქართველოში შეკვეთილი დეპონირებული საინიციატივო სამუშაოები);
- პროფილის მიხედვით ჩატარებული ექსპერიმენტალური კვლევები და საწარმოო-ტექნოლოგიური სამუშაოები, ასევე კონსტრუქციების საშტატო გამოცდები, რომლებიც ასახულია პუბლიკაციებში და დამტკიცებულ სამეცნიერო ანგარიშებში;
- შრომების, კონსტრუქციული სისტემების და სხვა სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების ციტირება, ასახვა და აღიარება;
- საავტორო უფლებები: აღმოჩენაზე (დიპლომი); გამოგონებაზე (საავტორო მოწმობა ან პატენტი);
- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო და სხვა პროექტებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საქმიანობით მიღებული შედეგები, რომლებმაც მოიპოვა აღიარება;
- მონოგრაფია;
- მოპოვებული პრემიები: სახელმწიფო სამეცნიერო პრემია, დარგობრივი სამეცნიერო პრემია;
- ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საინჟინრო დარგების მიხედვით ეროვნული ნორმების შემუშავება, სახელმწიფო დაკვეთებსა და პროექტებში მონაწილეობა;
- სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობა;
- აკადემიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა;
- სახელმწიფო ჯილდოები;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, თანამედროვე საინფორმაციო-ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (ფორმას გასცემს ინსტიტუტი);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია;
- სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი;
- ბოლო 15 წლის განმავლობაში, შერჩეული პროფილით, სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია; სამეცნიერო პუბლიკაციები; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; გამოქვეყნებული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს.

განცხადებების მიღება განხორციელდება პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68ბ, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი. ტელ. 33-08-36, 36-52-39.

დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. ქობულეთი 11 ნოემბერი 2009 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №395

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №279-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე პირობებიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის №1-1/1417 ბრძანებით დამტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცებული იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიის 2009 წლის 10 ნოემბრის ოქმი №15
2. დამტკიცებული იქნას ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი №279-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1428,0 კვ.მ.) პირობებიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ განცხადება თანახმად დანართისა.
3. აუქციონი გამოცხადებული იქნას გაზეთში „ 24 საათი “.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისა და პრივატიზების მიზნით შექმნილი მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიის მდივანს (თ. გეგიძეს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გ ა მ გ ე ბ ე ლ ი: ვ. თავართქილაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობის 2009 წლის 11 ნოემბრის
№395 ბრძანების
დანართი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პრივატიზების მიზნით პირობებიან აუქციონს

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №279-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1428,0 კვ.მეტრ მიწის ნაკვეთზე.

2009 წლის 14 დეკემბერს აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ობიექტი

საწყისი გასაყიდი ფასი:	78540 (სამოცდათვრამეტიათასხუთასორმოცი) ლარი.
„ბე“	7854 (შვიდიათასრვაასორმოცდათოთხმეტი) ლარი.
“ბიჯი“	1600 (ათასექვსასი) ლარი.
მონაწილის ბილეთის ფასი:	50 (ორმაცდაათი) ლარი.
იურიდიული მისამართი:	ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №279-ის მიმდებარედ
ობიექტის დასახელება:	ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №279-ის მიმდებარედ 1428,0 (ათასოთხასოცდარვა) კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
განცხადების მიღების ადგილი:	ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 მეორე სართული (იურიდიული განყოფილება).
განცხადების მიღების ვადა:	2009 წლის 12 ნოემბრიდან – 2009 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით, 11:00 სთ-დან --- 16:00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა).
აუქციონის ჩატარების თარიღი:	2009 წლის 14 დეკემბერს 16:00 საათზე.
საბანკო რეკვიზიტები:	ერთიანი არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიში (ცენტრალიზებული შემოსავლების) №200122900, მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი: 300713390, შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებიდან.
“ბე”-ს გადახდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტზე:	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ანგ. №181589000 სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
	დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ. №141, მეორე სართული, ტელ: 6-72-64,
შენიშვნა:	გამყიდველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის სანქციები:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

საუქციონო პირობა:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა განხორციელდეს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
ბ) გასასხვისებელ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი წლის ვადაში განხორციელდეს სასტუმროს მშენებლობა.
გ) აუქციონში გამოვლენილმა გამარჯვებულმა განახორციელოს ინვესტიცია არანაკლებ 3 000 000 (სამიმილიონი) აშშ დოლარის ოდენობით, საკუთრების უფლების გადაცემიდან 3 (სამი) წლის ვადაში.
დ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებული პროექტების შესაბამისად, არსებული ტერიტორიის მიმდებარე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა.
ე) ქ. ქობულეთის განაშენიანებისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე, 20 (ოცი) წლის განმავლობაში იზღუდება აუქციონზე გამოტანილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1428,0 კვ/მეტრის დანაწევრება და მისი ნაწილებად განსხვისება საკუთრების ან/და სარგებლობის უფლებით კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით.
ვ) ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №279-ის მიმდებარედ არსებული 1428,0 კვ/მეტრი მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ჩატარებულ აუქციონზე გამოვლენილი გამარჯვებულ მონაწილეზე კანონის შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, თუ განხორციელდა მის მიერ მიწის ნაკვეთის განსხვისება სხვა იურიდიული ან/და ფიზიკური პირზე კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით, ზემოთ აღნიშნული აუქციონის პირობები უნდა აისახოს შესაბამის ხელშეკრულებაში.
ზ) აღნიშნული მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობითი სამუშაოების შესრულებისას დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა.
თ) საუქციონო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი (ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა) განახორციელებს პროცედურას, აუქციონში გამარჯვებულის დამადასტურებელი ოქმისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმი:

ვალდებულებების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;
მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);
ბ) „ბე“ - ს შეტანის და აუქციონში მონაწილის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს, ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და ვალდებულებების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

გამყიდველი; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სპორტი

შეხვედრა "იაგუარებთან"

"ბორჯღალოსნებმა" გუშინ "ლოკომოტივზე" ივარჯიშეს

დიდი რაგბი გვეწვია თბილისში. "ბარბაროსების", სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის A ნაკრებების შემდეგ ასეთი რანგის მეტოქე ჩვენს დედაქალაქში არ ჩამოსულა. არგენტინის "იაგუარები" მსოფლიო ელიტის ნაწილია. მართალია, ის მოიაზრება, როგორც არგენტინის მეორე, ანუ A ნაკრები, მაგრამ გუნდში თავმოყრილი არიან მორაგბეები, რომლებიც სხვადასხვა დროს არგენტინის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ და ახლაც იცავენ. საკმარისია არგენტინელთა შემადგენლობას გადავავლოთ თვალი და მივხვდებით, რომ უკლებლივ ყველა მოთამაშეს აქვს "პუმების" (არგენტინის ეროვნული ნაკრები) შემადგენლობაში ნათამაშები. ერთადერთი გამონაკლისია არგენტინული რაგბის ამომავალი ვარსკვლავი უგო შიერანო, რომელიც მხოლოდ 19 წლისაა და ჯერ ვერ მოასწრო "პუმების" ღირსების დაცვა. არგენტინელებმა იმდენს მიაღწიეს, რომ 2012 წლიდან სამი ერის პირველობაზე ითამაშებენ და ამ ტურნირს ოთხი ერის პირველობა დაერქმევა. "იაგუარები" უკვე თბილისში არიან და დღეში ორჯერ ვარჯიშობენ, დილით - მინდორზე, საღამოს - ტრენაჟორებზე.

მოკლედ, შაბათს ეროვნულ სტადიონზე თვალსასერო დაპირისპირება გველის, მით უფრო, რომ ჩვენი გუნდის ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა საქართველოს ყველა უძლიერეს მორაგბეს უხმო და "ბორჯღალოსნებისთვისაც" არგენტინასთან მატჩი კარგი სპარინგი იქნება მომავალი ოფიციალური შეხვედრების წინ. ერთადერთი გამონაკლისი ჩვენი ქვეყნის ნაკრებში დავით ზირაქაშვილია, რომელიც ტრავმის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა. მცირე ტრავმები აქვთ მალხაზ ურჯუკაშვილს (ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული) და ირაკლი მაჩხანელს, რომლისთვისაც "ბეზიესთან" საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში ვიღაც დაუდევარს ფეხის თითზე დაუბიჯებია და სამშაბათს მინიოპერაცია გაუკეთდა. ორივე ტრავმირებულმა გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა, თუმცა, ექიმების ვარაუდით, "იაგუარების" წინააღმდეგ ორივე მორაგბე ითამაშებს.

ტიმ ლეინის გუნდმა გუშინ საღამოს "ლოკომოტივის" სტადიონზე ივარჯიშა. პარალელურად, სათადარიგო მინდორზე ვარჯიში გამართა საქართველოს A ნაკრებმაც, რომელიც ხვალ უკრაინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. მცირე მოთელვისა და ფიზიკური დატვირთვის შემდეგ გუნდები გაერთიანდნენ და ორმხრივი, მოთელვითი თამაში გამართეს.

მალხაზ ურჯუკაშვილი: "კუნთი მაქვს დაჭიმული და მეშინია, არ გამიწყდეს. ამიტომ, ექიმების რჩევით, არ ვვარჯიშობ, მაგრამ იმედი მაქვს, გამაყუჩებლების დახმარებით შაბათს თამაშს შევძლებ. არგენტინის ნაკრებზე იმის თქმა შემიძლია, რომ უაღრესად სერიოზული გუნდია. თითქმის ყველა მორაგბეს ეროვნულ გუნდში უთამაშია და გამოცდილებაც დიდი აქვთ. ვფიქრობ, დაძაბული მატჩი იქნება. ჩვენ ახლაც ღირსეულად ვითამაშებთ".

შეგახსენებთ, რომ ხვალ ჩვენი ქვეყნის A ნაკრები უკრაინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. თამაში თბილისის დროით 18:00 საათზე დაიწყება, ხოლო შაბათს "ბორჯღალოსნებისა" და "იაგუარების" მატჩი 16:15 საათზე გაიმართება. ამ შეხვედრის შემდეგ, 16 ნოემბერს, "ბორჯღალოსნები" იტალიაში გაემგზავრებიან, სადაც იტალიის A ნაკრებთან გამართავენ ტესტ-მატჩს.

14 ნოემბერი. თბილისი. "ბორის პაიჭაძე"
საქართველო - არგენტინა A
საქართველო

შერკინება: დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი, 23 კეპი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი, 54), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი, 9), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული, რუმინეთი, 20), გოდერძი შველიძე (მონტობანი, საფრანგეთი, 51), ილია ზედგინიძე (კარკერენ იერი, საფრანგეთი, 53), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი, 29), გიორგი ნემსაძე (მასი, საფრანგეთი, 10), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი, 34), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი, 34), გია ლაბაძე (მარსეი-ვიტროლი, საფრანგეთი, 55) რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი, 39)

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი, 59), ბიძინა სამხარაძე (ფარული, რუმინეთი, 40), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი, 19), ირაკლი მაჩხანელი (სენტ-ეტიენი, საფრანგეთი, 34), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი, 29), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი, 41), მალხაზ ურჯუკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი, 58), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი, 36), რევაზ გიგაური (სენაკი, საფრანგეთი, 24), ალექსანდრე თოდუა (ლელო, საქართველო, 12).

არგენტინა

შერკინება: როდრიგო ბაესი (ლისეო, არგენტინა, 3), როდრიგო ბრუნო (ხოკეი დე ვილია მარია, არგენტინა, 6), უგო შიერანო (ტალა, არგენტინა), მატიას კორტესე (ლისეო, არგენტინა, 2), გასტონ დე რობერტისი (რეგატას დე ბილია ვისტა, არგენტინა, 8), მარიანო გალარსა (უნივერსიტარიო დე ლა პლატა, არგენტინა, 7), ხუან გომესი (ლიდს კარნეგი, ინგლისი, 13), აგუსტინ გუსმანი (ტუკუმანი, არგენტინა, 7), პაბლო ენი (ბრივი, საფრანგეთი, 10), ბენხამინ მაკომე (ტუკუმანი, არგენტინა, 5), იგნასიო პასმანი (ჩამპანიატი, არგენტინა, 2), ტომას როანი (ლა პლატა, არგენტინა, 5), ლეონარდო სენატორე (G.E.R, არგენტინა, 10), ალვარო ტეხედა (ოვერმახ პარმა, იტალია, 3), ფრანსისკო ნაუელ ტეტას ჩაპარო (ლა პლატა, არგენტინა),

უკანა ხაზი: ბელისარიო აგულია (ინდუ, არგენტინა, 5), ფრანსისკო ალბარასინი (ლა პლატა, არგენტინა, 5), მიგელ აბრამოვიჩი (ასოსიასიონ ალუმნი, არგენტინა, 15), ტომას დე ვედია (s.l.c, არგენტინა, 9), ხუან პაბლო ესტელიესი (ატლეტიკო დე როსარიო, არგენტინა, 2), მარტინ ლანდახო (c.a.s.l., არგენტინა, 6), ფრანსისკო ხოსე მერელიო (რეგატას დე ბელია ვისტა, არგენტინა, 112), იგნასიო მიერესი (სტად ფრანსე, საფრანგეთი, 7), ორასიო ალბერტო სან მარტინი (ტალა, არგენტინა, 10), ხოაკინ ტუკულეტი (ლოს ტილოს, არგენტინა, 1), მატიას ვიასო (ბურგუენი, საფრანგეთი, 3), მარტინ ბუსტოს მოიანო (კორდობა ატლეტიკი, არგენტინა, 5), სანტიაგო გონსალეს იგლესიასი (ასოსიასიონ ალუმნი, არგენტინა, 2).

რუსებმა კიდევ ერთი ინგლისელი დაიმატეს

რაგბის გულშემატკივარმა იცის, რომ "ერთა თასზე" და 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მთავარი კონკურენტი რუსეთის გუნდია.

ისიც იცით, რომ შესარჩევი ციკლის პირველი წრის შემდეგ "ბორჯღალოსნები" რუსებს ერთი ქულით უსწრებენ, მეორე წრის მატჩები კი 2010 წელს გაიმართება. რუსეთის ნაკრებს საქართველოს ეროვნული გუნდი 20 მარტს თურქეთის ქალაქ ტრაბზონში უმასპინძლებს.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა ყველაფერი, რაც რუსეთის ნაკრებში ხდება. აქ კი ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა.

რუსეთის რაგბის კავშირის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ რუსეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს კიდევ ერთი ინგლისელი სპეციალისტი დაემატება.

გუნდში დასაქმდა ჯოშუა ბაკსენდეილი, რომელსაც რეკომენდაცია გაუწია რუსეთის ნაკრების ასევე ინგლისელმა მწვრთნელ-კონსულტანტმა სტივ დაიმონდმა. ბაკსენდეილი მცველებთან იმუშავებს, თავად დაიმონდი კი თავდამსხმელებს ავარჯიშებს.

"ბარსელონა" რობინიოში ფულის გადახდას არ აპირებს

როგორც ჩანს, რობინიო "ბარსელონაში" არ გადავა. არადა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში უცხოური მედია ყოველდღიურად აახლოებდა ამ ტრანსფერს. საქმე ის არის, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კატალონიური კლუბის მესვეურები ტრანსფერებზე დიდი ფულის დახარჯვას არ აპირებენ. "ბარსას" სურდა, რობინიო იჯარით აეყვანა სეზონის ბოლომდე, ზაფხულში კი ბრაზილიელის ტრანსფერს გამოისყიდდა. თუმცა ეს "სიტის" ხელმძღვანელობის გეგმებში არ შედის, რომლებიც ბრაზილიელის გაყიდვას ცდილობენ. კლუბებს შორის შეთანხმება არ მოხერხდა.

"ბარსელონამ" რობინიოს წაყვანა მხოლოდ იჯარით ისურვა. ეს კი "სიტისთვის" მიუღებელია", - ამბობს "ქალაქელთა" წარმომადგენელი.

ხავი ფაბრეგასს შინ დაბრუნებას ურჩევს

"ბარსელონას" პლეიმეიკერი ხავი "არსენალის" კაპიტანს სესკ ფაბრეგასს ურჩევს, "ნოუ კამპზე" დაბრუნდეს. ხავის თქმით, ფაბრეგასის ძარღვებში კატალონიური სისხლი ჩქეფს.

"ჩემს შემცვლელად სწორედ ფაბრეგასი წარმომიდგენია. თუმცა, რატომ შემცვლელად? მე მასთან ერთადაც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. მოკლედ, ვურჩევ, დროზე დაბრუნდეს მშობლიურ კლუბში. საბოლოოდ მაინც "ბარსელონაში" აღმოჩნდება - მის ძარღვებში ხომ კატალონიური სისხლი ჩქეფს," - აცხადებს ხავი.

სამი კვირა ტორესის გარეშე

"ლივერპულის" ქომაგთათვის არც ისე სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა უცხოურმა მედიამ. მერსისაიდული კლუბის ექიმების თქმით, ფერნანდო ტორესი ოპერაციას ვერ გადაურჩება - ფეხბურთელი, სულ მცირე, სამი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს.

"უკვე ცხადია, რომ სამი კვირის განმავლობაში ფერნანდო ვერ დაგვეხმარება", - ამბობს "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფა ბენიტესი.

"მანჩესტერის" აგენტები ჰამსიკს და იოვეტიჩს აკვირდებიან

იტალიური სააგენტოების ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" სკაუტები შაბათს დაესწრნენ "ნაპოლის" მატჩს "უდინეზეს" წინააღმდეგ, რომელიც ნულოვანი ფრით დასრულდა. მათი ინფორმაციით, ამ თამაშში მათი დაკვირვების ობიექტი იყო 22 წლის სლოვაკი ნახევარმცველი მარეკ ჰამსიკი, რომელსაც მთხოვნელების რიგი უდგას. თუ "მანიუს" ამ ფეხბურთელის შეძენა უნდა, მას მოუწევს ისეთი კონკურენტების ჩამოშორება, როგორიცაა "ინტერი" და "იუვენტუსი", რომელთაც ასევე სურთ სლოვაკი საკუთარ გუნდში იხილონ.

რაც შეეხება მეორე ინფორმაციას, ის 19 წლის სტეფან იოვეტიჩს უკავშირდება. მანკუნიანელები ასევე აქტიურად აკვირდებიან ამ ჩერნოგორიელ ფეხბურთელს, რომელმაც რომასთან 1:3 წაგებულ შეხვედრაში ბოლო 30 წუთი ითამაშა. მისი კონტრაქტი "იებთან" 2013 წლამდე ძალაშია, თუმცა, ჰამსიკის მსგავსად, მასზეც ბევრ გუნდს უჭირავს თვალი. მათ შორისაა "ჩელსი", "ბაიერნი" და "ლიონი".

ჰიდინკის სამწვრთნელო აკადემია

თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა, რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა ამსტერდამში გახსნა აკადემია, რომელშიც მწვრთნელებს მოამზადებენ.

"დამწყებ მწვრთნელებს უნდა დავეხმაროთ, გამოცდილება გავუზიაროთ. აუცილებელია, თეორიულ კურსთან ერთად, პრაქტიკული მეცადინეობაც ჩავატაროთ. მოხარული ვარ, რომ ფეხბურთის განვითარებით დაინტერესებული ხალხი არსებობს," - ამბობს ჰოლანდიელი სპეციალისტი.

ცხადია, ამ აკადემიაში მოხვედრა ახალგაზრდა და დამწყები სპეციალისტისთვის დიდად სასარგებლო იქნება.

"სკუადრა აძურას" მონტოლივო დააკლდება

14 ნომებერს იტალიის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს ჰოლანდიის ეროვნულ გუნდთან. ამ თამაშისთვის ლიპის "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში გამოძახებული ჰყავდა რიკარდო მონტოლივო, რომელიც, სავარაუდოდ, თამაშს გამოტოვებს.

მონტოლივო ერთ-ერთ ვარჯიშზე კუნთის ტკივილმა შეაწუხა და მზადების გაგრძელება ვეღარ შეძლო. თუ ის ჰოლანდიელებთან მატჩამდე აღდგენას ვერ მოასწრებს, ეროვნულ გუნდში მის ადგილს, სავარაუდოდ, "კალიარის" ნახევარმცველი დავიდე ბონდინი დაიკავებს.

საინტერესოა, რომ თავად მონტოლივოც დე როსის არყოფნის გამო მოხვდა ნაკრებში - დე როსიმ სერია A-ს ბოლო ტურში მიიღო ტრავმა.

"ქალბატონმა" კისლინგს დაადგა თვალი

ტურინის "იუვენტუსის" მესვეურები ლევერკუზენის "ბაიერის" ახალგაზრდა ფორვარდის შტეფან კისლინგის გადაბირებას ცდილობენ.

ტურინელები მზად არიან, კისლინგში 6 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუმცა, მათივე სიტყვებით, "ლევერკუზენს" ეს თანხა არ დააკმაყოფილებს.

"იუვეს" მწვრთნელმა ჩირო ფერარამ რამდენჯერმე დაიჩივლა გოლზე დაგეშილი ფორვარდების დეფიციტზე, კისლინგს კი სწორედ ასეთად თვლის.

სწორედ 25 წლის ფეხბურთელის ბრწყინვალე თამაშის წყალობითაა, რომ "ასპირინელები" ბუნდესლიგის გათამაშებას უდგანან სათავეში.

ზე რობერტო დაშავდა

ამ სეზონში მიუნხენის "ბაიერნიდან" "ჰაიბურგში" გადაბარგებული 35 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო, სულ მცირე, ათი დღის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს. მან ბუნდესლიგის გათამაშების ბოლო ტურში მიიღო კოჭის ტრავმა.

მისი ტრავმა გათამაშების ცხრილში პირველიდან მესამე ადგილამდე დაქვეითებული "ჰამბურგისთვის" კიდევ ერთი დიდი უსიამოვნებაა. ზე რობერტოს გარდა, ახლა ჰანზელთა ლაზარეთში, ამა თუ იმ მიზეზით, ექვსი ძლიერი მოთამაშეა - ალექს სილვა, ბასტიან რაინჰარდტი, რომეო კასტელენი, კოლინ ბენჯამინი, პაოლო გერერო და მლადენ პეტრიჩი.

დედე წლის ბოლომდე იუქმებს

დორტმუნდის "ბორუსიას" 31 წლის ლიდერი დედე ამ წელს ფეხბურთს ვეღარ ითამაშებს. დედემ ბრემენის "ვერდერთან" კვირას გამართულ საგარეო მატჩში მიიღო ტრავმა.

კლუბის ინფორმაციით, მას უკვე ოპერაცია ჩაუტარდა. ვარჯიშს ის, სავარაუდოდ, იანვარში განაახლებს.

აზერბაიჯანმა ფოგთსი შეინარჩუნა

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი გერმანელ ბერტი ფოგთსთან.

ბერტი ფოგთსი აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებს 2008 წლიდან წვრთნის. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მისმა გუნდმა 5 ქულა მოიპოვა და 6-გუნდიან ჯგუფში მე-5 ადგილი დაიკავა.

იბრაჰიმოვიჩს ნაკრებში თამაში აღარ უნდა

"ბარსელონას" შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, შესაძლოა, შვედეთის ნაკრებში აღარ ითამაშოს.

თავად ზლატანს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს, შვედური მედია ამ ინფორმაციას შვედეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელზე დაყრდნობით ავრცელებს.

"იბრაჰიმოვიჩს ვესაუბრე და მან შემატყობინა, რომ ნაკრებში თავისი მომავლის თაობაზე ფიქრობს. სანამ ფეხბურთელს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, ის გუნდში არ იქნება. არავის გადარწმუნებას არ ვაპირებ. შედეგს შეიძლება მიაღწიო მხოლოდ მოტივირებული ფეხბურთელებით, რომლებიც თამაშში ყველაფერს დებენ," - აცხადებს ჰამრენი.

კალათბურთის ძველი ახალი პრეზიდენტი

ბესიკ ლიპარტელიანი მესამე ვადით გაუძღვება ქართულ კალათბურთს

გიგა გურასაშვილი

კალათბურთის ფედერაციაში ძველი ახალი პრეზიდენტია. საპრეზიდენტო კანდიდატი მხოლოდ ერთი იყო. ფედერაციის ძველი პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი მესამე ვადით გაუძღვება საკალათბურთო სამყაროს. გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მისულმა 58 დელეგატმა (მიწვეული 75 დელეგატიდან გუშინდელ ყრილობას 58 დაესწრო) ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ბესიკ ლიპარტელიანი.

საპრეზიდენტო კენჭისყრის პროცედურას წინ უძღოდა კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მერაბ რატიშვილის მიერ განვლილ ოთხ წელიწადში შესრულებული საქმიანობის მიმოხილვა: "შეიქმნა სუპერლიგა, რომლის მატჩების ტრანსლაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით მიმდინარეობს. მატჩებს ემსახურება თანამედროვე ტექნიკა და ხდება სტატისტიკის აღრიცხვა, რომელსაც ფედერაციის ვებგვერდზე ვათავსებთ.

ვატარებთ ასაკობრივ ჩემპიონატებს, აგრეთვე ქალთა პირველობებს. ყოველ წელიწადს იმართება საქართველოს თასის გათამაშება და დუდუ დადიანის, ზურაბ საკანდელიძისა და ოთარ ქორქიას მემორიალები. ტარდება სემინარები. ჩვენი სამი მსაჯი კი ფიბას ეგიდით გამართულ მატჩებს ემსახურებიან. ახლახან ვმასპინძლობდით ფიბას გენერალურ მდივანს ნარ ზანოლინს, რომელმაც 2011 წელს ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის საქართველოში ჩატარდება აღგვითქვა.

ამისთვის საჭიროა, სპორტის სასახლის გარდა, სკა-ს დარბაზის და სპორტის დეპარტამენტის დარბაზის შეკეთება, რაშიც დახმარებას გვპირდება სპორტის დეპარტამენტი, რომელიც განვლილი წლების განმავლობაში მხარში გვედგა და გვეხმარებოდა".

საანგარიშო მოსმენას სხვადასხვა საკითხებზე საუბარი და ამა თუ იმ თემის განხილვა მოჰყვა. მერე კი კენჭისყრის დროც დადგა - 58 დელეგატმა ხმა მისცა ბესიკ ლიპარტელიანს.

"თქვენი მხარდაჭერა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. საარჩევნო პროგრამით თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ, გეტყვით, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებმა A დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა, გაცილებით მეტი ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარდეს, რასაც, ცხადია, მეტი დაფინანსება სჭირდება, - თქვა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა. - ამის თაობაზე უკვე ვესაუბრეთ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, რომლებმაც მხარდაჭერა აღგვითქვეს. დიდი მხარდაჭერა გვაქვს მოედნების რეაბილიტაციის საკითხშიც. როგორც იცით, გვინდა, რომ 2011 წელს ევროპის რომელიმე ასაკობრივ ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ. სახელმწიფო მხარში გვიდგას. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება".

"საქართველოს ნაკრების A დივიზიონში ასვლის მერე კალათბურთის ფედერაციას უფრო მეტი შრომა მოუწევს, - განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ნამგალაურმა. - გვსურს, რომ 2011 წელს ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ. ახლო მომავალში იგეგმება რამდენიმე შენობის რეაბილიტაცია იმისთვის, რომ დარბაზებმა საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილოს".

კახა კალაძე: "თამაშის საშუალება სხვა დროს მექნება"

კალაძე სათამაშოდ მზადაა

სეზონში აღებული კატასტროფული სტარტის შემდეგ "მილანმა" ვითარება გამოასწორა და უკანასკნელი 5 ტურის განმავლობაში მე-13-დან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

გასულ უქმეებზე "მილანმა" რომში, "ოლიმპიკოს" სტადიონზე, "ლაციო" დაამარცხა. ამ თამაშს საქართველოს ნაკრების კაპიტანი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ლეონარდო კახას ძირითადში არ ათამაშებს, თუმცა, თავად კალაძისთვის მთავარი გუნდის წარმატებაა.

"ლაციოს" დამარცხების შემდეგ კახამ საკუთარი ვებგვერდის ჟურნალისტს მცირე ინტერვიუ მისცა.

- კახა, კიდევ ერთი გამარჯვება და თანაც სტუმრად...

- დიახ, ეს მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია. ყოველთვის ვამბობ და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩემპიონატი ხანგრძლივია. ახლა შეფასებები ნაადრევია, თუმცა, რა თქმა უნდა, საქმე ისე აღარ მიდის, როგორც სეზონის დასაწყისში. რომში გამარჯვება ადვილი არ იყო. მართალია, ისინი კარგ მდგომარეობაში არ არიან, მაგრამ ისიც მართალია, რომ ასეთ გუნდებთან ხშირად შეხვედრა გარკვეული რისკია. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მათ კი უმეტესად საჯარიმოს გარედან ურტყეს კარში. ეს კი, ძლიერი წვიმის მიუხედავად, ჩვენთვის ნაკლებ საფრთხეს შეიცავდა.

- სადამდე გსურთ მისვლა?

- ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მატჩია სათამაშო. თუმცა, რა თქმა უნდა, რაც შეიძლება, მაღლა გვსურს ასვლა. ამ გუნდს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს და ვფიქრობ, ამ დროისთვის ის, გარკვეული თვალსაზრისით, გამოვლენილიც არ არის. ჩვენ წინ მივიწევთ და ეს შედეგები გვეხმარება.

- შენ ემზადებოდი მოედანზე შესასვლელად...

- დიახ, გავხურდი კიდეც, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა სხვა არჩევანი გააკეთა. საწყენია, რადგან თამაში მესიამოვნებოდა. "ოლიმპიკოზე" ყოველთვის ლამაზი ატმოსფეროა, თუმცა, სხვა დროს მექნება თამაშის საშუალება. ახლა საჭიროა გუნდისთვის ყურადღების მიქცევა და სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მოთამაშეთა როტაცია ცუდი არ არის.

- ახლა შესვენება იქნება: თქვენთვის უკეთესია თუ უარესი?

- ვფიქრობ, ცოტაოდენი დასვენება მატჩების ხანგრძლივი სერიის შემდეგ მხოლოდ წაგვადგება. ეს მოახდენს ჩვენს რეგენერაციას და მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო კარგად ვიმუშაოთ და მონდომებით შევხვდეთ მატჩების მომდევნო სერიას, რომელიც მორიგ შესვენებამდე - შობამდე გასტანს.

კრიშტიანუ რონალდუ: "ყველას, ვისაც უყვარს ფეხბურთი, მეც ვუყვარვარ"

სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულმა ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ მონაწილეობა მიიღო Castrol Rankings-ის პრეზენტაციაში. ეს არის ფეხბურთელთა მსოფლიო რეიტინგი, რომელიც მხოლოდ სტატისტიკურ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. ცნობისთვის: თავად რონალდუ ამ რეიტინგში მესამე ადგილზეა, პირველზე ტიერი ანრი გაბატონდა, მეორე პოზიციას კი ლეო მესი იკავებს.

პრეზენტაციის შემდეგ პორტუგალიელმა ჯერ პრესკონფერენცია გამართა, მერე კი ინტერვიუები მისცა. "სპორტ ექსპრესის" ჟურნალისტმა პორტუგალიელ ვარსკვლავს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით.

რონალდუ პირად ცხოვრებას მოკლებული ყოფილა

- ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ "რეალს" მწვრთნელის შეცვლა სჭირდება.

- ნებისმიერი პოლემიკა ცალკე აღებული ადამიანების აზრია. არა მგონია, რომ ღირდეს ამ დავაში ჩართვა. მით უმეტეს, ფეხბურთელისთვის. ჩვენი საქმე ფეხბურთის თამაშია და არა მწვრთნელებზე საუბარი.

- ნახევარდაცვის ფლანგზე თამაში არ გენატრებათ?

- ამ პოზიციაზე არაერთი წელი ვითამაშე და მართლაც, ცოტა არ იყოს, მომენატრა. ჩემთვის ცენტრში თამაში უჩვეულოა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში ამ პოზიციასაც მოვერგები.

- ამბობენ, თითქოს გუტი ყველაზე კარგად გიგებთ და ყველაზე უკეთ გამარაგებთ გადაცემებით.

- გუტი ძლიერი ფეხბურთელია. სულ რამდენიმე თვეა, რაც მას ვიცნობ. საერთოდ, "რეალთან" ერთად ჯერ ბევრი არ მითამაშია და ამ გუნდში, გუტის გარდა, სხვა ბევრი კარგი ფეხბურთელია.

- ინგლისში თამაშისას გითქვამთ, რომ შეგიძლიათ დაასახელოთ იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც ფორვარდებს სპეციალურად ურტყამენ ფეხებში. ახლა თუ დაასახელებთ რამდენიმე გვარს?

- ასე არ მითქვამს. თუმცა, შესაძლოა, სწორედ ასე ეწერა გაზეთებში. პასუხის გაცემა კი შემიძლია: რეალურად ასეთი ფეხბურთელი ყველა თამაშში მხვდება.

- ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდათ ინგლისში თამაში?

- ეშლი კოულთან. სწრაფი და ხისტი ფეხბურთელია. ინგლისში მუდამ ახლო კონტაქტში თამაშობენ. ამიტომაც ხშირია ტრავმები.

- მშვიდი მანჩესტერის შემდეგ სიცოცხლით სავსე მადრიდში აღმოჩნდით. მეტისმეტად ხმაურიანი ქალაქი ხომ არ არის?

- ჩემთვის არა, რადგან მშვიდ უბანში ვცხოვრობ, სადაც თითქმის არაფერი არ ხდება...

- თუ არ ჩავთვლით ფეხბურთს...

- ფეხბურთი ყველგან ერთნაირია. ისევე როგორც გულშემატკივართა და მედიის ყურადღება.

- ფიზიკური თვალსაზრისით სად უფრო ძნელია თამაში?

- ინგლისში. როგორც გითხარით, იქ ხისტ ფეხბურთს თამაშობენ და ტრავმებიც მეტია.

- რა განსხვავებაა მანკუნიანელ კრიშტიანუ რონალდუსა და მადრიდელ რონალდუს შორის?

- ის, რომ სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. "მანჩესტერი" ჩემს გარეშეც დიდ გუნდად რჩება. "იუნაიტედი" კი იმ კლუბთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ერთ ფეხბურთელზე არ არიან დამოკიდებულნი.

- შეადარეთ "მანჩესტერისა" და "რეალის" გულშემატკივარი.

- ამ მხრივ განსხვავება ნამდვილად არის. აქ ფეხბურთელებზე გაცილებით დიდი ზეწოლაა. პირადად მე ეს მომწონს კიდეც. გულშემატკივართა ასეთი დამოკიდებულება გაიძულებს მუდამ უმაღლეს დონეზე იყო მომზადებული.

- რით განსხვავდება მადრიდი და მანჩესტერი?

- ამინდით და სამზარეულოთი.

- "რეალში" არის თუ არა ისეთი ადამიანი, ვისაც მეგობარს უწოდებდით?

- ბევრი მეხმარება. ცხოვრებაშიც და ვარჯიშზეც. რომელიმე ერთის გამოყოფა მიჭირს. კაკა, პეპე, დიარა, კასილიასი... აქ ძალიან კარგი ხალხია შეკრებილი.

- ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ თქვენ და კაკა ერთმანეთს ჰგავხართ. მართლა ასეა?

- ჟურნალისტებმა ჩვენს შესახებ არაფერი იცით. განსაკუთრებით თუ საქმე პირად ცხოვრებას ეხება. კაკა ბრწყინვალე ადამიანი და მეგობარია, მაგრამ ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებულები ვართ.

- თქვენ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი ხართ. საკუთარ თავში რამდენს გადაიხდიდით?

- კიდევ უფრო მეტს. თუმცა, ფულს არც ჩემი ხასიათი და არც თამაშის სტილი არ შეუცვლია.

- თანამედროვე ფეხბურთში ფული ბევრს ნიშნავს. მაგალითად, შეიძლება თუ არა ისე მოხდეს, რომ ფულის წყალობით "მანჩესტერ სიტიმ" "იუნაიტედიც" კი ჩამოიტოვოს უკან?

- არა მგონია. შესაძლოა ოდესმე ეს მოხდეს, მაგრამ არა უახლოეს მომავალში. "მანჩესტერ იუნაიტედს" უდიდესი ტრადიციები აქვს, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და ამის ყიდვა შეუძლებელია.

- თქვენი ყიდვა არ უნდოდა "სიტის"?

- არა. ამის შესახებ არაფერი გამიგია.

- მაგალითად, კაკა მათ სიაში იყო.

- დიახ, ამის თაობაზე მეც გავიგე, მაგრამ ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია.

- შეგიძლიათ თუ არა, თავი "სიტის" ფეხბურთელად წარმოიდგინოთ?

- თუ არ ვცდები, ახლა მადრიდში ვართ. რა იქნება მომავალში, არავინ იცის. ერთს გეტყვით: "რეალი" ჩემი ოცნების გუნდია.

- ინგლისელ ჟურნალისტებს დღემდე არ დავიწყებიათ ინციდენტი თქვენსა და რუნის შორის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა.

- ისევ ჟურნალისტები... როგორ გიყვართ ყველაფრის გაბუქვა. მაშინ არაფერი მომხდარა.

- ახლა თუ გაქვთ რუნისთან ურთიერთობა?

- რა თქმა უნდა. დროდადრო ტელეფონით ვსაუბრობთ.

- ენატრებით?

- რა ვიცი. ჩემთვის ეს არ უთქვამს.

- როგორ ფიქრობთ, რუნი შეძლებდა ესპანეთში თამაშს?

- ის უდიდესი ფეხბურთელია და, ცხადია, შეძლებდა.

- არც გაუჭირდებოდა?

- რატომ უნდა გაუჭირდეს? ესპანეთში რუნი ვარსკვლავი იქნებოდა.

- "რეალშიც"?

- ამის თაობაზე მასთან არ მისაუბრია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, "რეალსაც" გამოადგებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ უეინისთვის "მანჩესტერში" ჯობს დარჩენა. ის ინგლისელია და უყვარს მანჩესტერი.

- თქვენ თუ ისურვებდით, რომ "რეალში" თქვენი პარტნიორი იყოს?

- ამას რა კითხვა უნდა! თუმცა, გავიმეორებ: ჩემი აზრით, მისთვის "მანჩესტერში" დარჩენა ჯობს.

- არაერთი ტიტული გაქვთ, მაგრამ არც ერთი - ნაკრებთან ერთად. რატომ?

- სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. ბევრს ვცდილობ, მაგრამ ზოგიერთი რამ შეუძლებელია. ჩვენ კარგი ნაკრები გვყავს, მაგრამ არა ფანტასტიკური. ტიტულის მოგებას კი უნიკალური გუნდი სჭირდება. რა თქმა უნდა, მუნდიალის მოგება ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ ამას მარტო ვერ შევძლებ.

- მით უმეტეს, რომ ჯერ მუნდიალის საგზური არ მოგიპოვებიათ?

- ამ თვალსაზრისით, მარტონი არ ვართ. საფრანგეთსა და არგენტინასაც გაუჭირდა. ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მუნდიალზე მოხვედრაც კი ძნელია. რაღა უნდა ვთქვა ჩემპიონობაზე?!

- შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიის ნაკრების გარეშე?

- არა და ამას არც ვაპირებ. მე სამხრეთ აფრიკაში ჩავალ სათამაშოდ.

- და მაინც, თუ მოხდა ისე, რომ... მუნდიალს ტელევიზიით ადევნებთ თვალყურს?

- ამის არ მჯერა და ტელევიზორის წინ სახლში ჯდომას არ ვაპირებ. ვიმეორებ: სამხრეთ აფრიკაში მივდივარ.

- იმისთვის, რომ თამაშებს ტრიბუნიდან ადევნოთ თვალყური?

- არა, მინდვრიდან. ტრიბუნიდან თქვენ დამაკვირდებით.

- რომელი გუნდი შემოგვთავაზებს მთავარ სიურპრიზს მუნდიალზე?

- ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკა.

- თქვენთვის რომ ეკითხათ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდით?

- Castrol Rankings-ის პირველ საფეხურზე ტიერი ანრია. საუკეთესოც ის არის.

- პირველი ყოველთვის საუკეთესოს არ ნიშნავს...

- ჯერჯერობით ანრია პირველი.

- არის თუ არა ისეთი რამ, რაც ამ რეიტინგში არ მოგწონთ?

- პირველ ექვსეულში "ბარსელონას" ხუთი ფეხბურთელია და ერთი "რეალიდან". ჩემი მეგობარი კაკა კი დაბალ საფეხურს იკავებს.

- რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთი?

- პირველ რიგში, ეს ჩემი ცხოვრებაა. მეორე პროფესია, რომელიც მიყვარს. ფეხბურთის გარეშე ჩემი ცხოვრება არფერია. იმედი მაქვს, მთელი კარიერის განმავლობაში ასე გაგრძელდება. მინდა, მუდამ კარგად ვითამაშო და ტიტულები მოვიგო.

- ამ სამყაროში პირადი ცხოვრება თუ არსებობს?

- თითქმის არა. რა ხანია ასე ვცხოვრობ და უკვე შევეჩვიე. ხანდახან ძნელია, თუმცა არჩევანი მე გავაკეთე და არ ვნანობ.

- სპორტსმენებიდან ვის გინდათ, რომ ჰგავდეთ?

- ჩემი კერპი ყოველთვის ეუსებიო იყო.

- ზოგიერთს მიაჩნია, რომ მამაკაცურობა გაკლიათ. მათ რას ეტყოდით?

- ყველას, ვისაც უყვარს ფეხბურთი, მეც ვუყვარვარ.

"სოშოს" ფორვარდმა კლინიკა დატოვა

დაახლოებით ერთი თვის წინ ავტოკატასტროფაში მოყვა აშშ-ის ნაკრებისა და ფრანგული "სოშოს" ფორვარდი ჩარლი დევისი. დაზიანებები იმდენად მძიმე იყო, რომ ფეხბურთელის კარიერას საფრთხე დაემუქრა. ის, რომ დევისი მუნდიალს და სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს, გადაწყვეტილი ამბავია.

ამ დღეებში გავრცელებული ინოფრმაციის თანახმად, ჩარლი დევისის გამოჯანმრთელების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

ამერიკელი ფეხბურთელი უკვე გაწერეს საავადმყოფოდან. 23 წლის თავდამსხმელის აღდგენითი პროცესი აშშ-ის ნაკრების მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ გაგრძელდება. ჩარლის ფიზიოთერაპიის კურსის გავლა მოუწევს, რათა ძვლების შეხორცების პროცესი დაჩქარდეს. სრული რეაბილიტაციისთვის მას 6-12 თვე დასჭირდება.

შმიცერი ნაკრებში იმუშავებს

ჩეხეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ვლადიმირ შმიცერი, რომელმაც ორშაბათს კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მენეჯერად დაინიშნა.

36 წლის შმიცერი საკუთარი მოვალეობის შესრულებას მიმდინარე კვირიდან შეუდგება და ნაკრებთან ერთად გაემგზავრება არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, სადაც ჩეხებს ოთხი ამხანაგური მატჩის ჩატარება მოუწევთ.

ბუფონი ავადაა

იტალიის ნაკრებისა და "იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი გრიპის ვირუსით დაავადდა. ეს ამბავი საგანგაშო არ იქნებოდა, მაგრამ ექიმებს ჯერ ვერ დაუდგენიათ, ეს ჩვეულებრივი გრიპია თუ "ღორის გრიპი".

სანამ ფეხბურთელისთვის ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის პასუხი გახდება ცნობილი, იტალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ბუფონს რამდენიმე დღით დასვენების საშუალება მისცა. სავარაუდოდ, ეროვნულ გუნდში მომავალი ამხანაგური მატჩებისთვის "ჯენოას" მეკარეს მარკო ამელიას უხმობენ.

ბენდტნერი საუკეთესოდ დაასახელეს

მოახლოვდა წლის დასასრული და, ჩვეულებისამებრ, სხვადასხვა ქვეყნებში წლის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებენ.

დანიელებმა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად "არსენალის" ახალგაზრდა ფორვარდი ნიკლას ბენდტნერი დაასახელეს. ბენდტნერმა დანიის ნაკრების მიერ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და 21 წლის ფეხბურთელს დამსახურება დაუფასდა კიდეც - ინტერნეტისა და სატელეფონო ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით ჩატარებულ გამოკითხვაში გულშემატკივრებმა ის წლის ფეხბურთელად დაასახელეს. სექტემბერში პორტუგალიასთან მატჩში ბენდტნერის მიერ გატანილმა გოლმა კი საუკეთესო გოლის ნომინაციაში გაიმარჯვა.

ჯონ ტერის მამა ჰყოლია...

ლონდონის ჩელსისა და ინგლისის ნაკრების მოთამაშის ჯონ ტერის 55 წლის მამა უსიამოვნებაში გაეხვა. ტედ ტერი გამოცემა News of the world-ის რეპორტიორმა მაშინ გამოიჭირა, როდესაც ეს უკანაკსნელი ესექსში, თავის საყვარელ ბარში, unit 4-ში, კოკაინს 60 დოლარად ყიდდა. მეტი დამაჯერებლობისთვის პაპარაცმა ჯონ ტერის მამისგან თავადაც შეიძინა კოკაინი და ეს ყველაფერი ვიდეოკამერაზე ჩაიწერა. თურმე ფეხბურთელის მამა თავის ეგრეთ წოდებულ კლიენტებს ყოველი გაყიდული გრამის მერე ასეთი წინადადებით მიმართავდა: ეს მხოლოდ ჩვენს შორის უნდა დარჩეს. არავის ვეტყვი, რომ შენ ჩემგან შეიძინე კოკაინი, შენ კი ბარის მეპატრონეს არ უთხრა, რომ კოკაინი ჯონ ტერის მამისგან იყიდე.

ასეთი სამხილის გამომზეურებამ ფეხბურთელი და მისი ოჯახი შოკში ჩააგდო. თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ტედ ტერი მსგავს ხათაბალაში გაეხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ტერი მამას ფინანსურად უზრუნველყოფს, ტედი ხშირად მაღაზიებიდან იპარავს ტანსაცმელს. მას არაერთხელ გაუქურდავს საკუთარი შვილი - ჯონ ტერიც.

"აინტრახტს" ამანატიდისის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა

ფრანკფურტის "აინტრახტის" ბერძენი ფორვარდი იოანის ამანატიდისი სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. ფრანკფურტელთა ბერძენ მეგოლეს ორშაბათს მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თქმით, ამ სეზონში მისი თამაში გამორიცხულია.

"ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკარგია," - აღნიშნა "აინტრახტის" მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ.

ამავე პრობლემის გამო ამანატიდისმა გასულ სეზონშიც რამდენიმე თვე გამოტოვა.

თითქმის მეფეები

ზურაბ თალაკვაძე

ერთი მატჩით გამეფებაც საქმეა. აბა, სხვა მხრივ "საკრამენტო" ისეთივე მეფეა, როგორც დიმა ბილანი - ელის კუპერი. საინტერესო მწვრთნელ-მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც ჰყავს ერთი გამორჩეული ვარსკვლავი (კევინ მარტინი), ერთი ძალიან მაგარი მებრძოლი ტიპი (ანდრეს ნოჩიონი), რომელიც შაკსაც და ვინმე ახალბედასაც ერთნაირად უსპობს თამაშის ხალისს და ერთიც წლევანდელი დრაფტის აღმოჩენა, გამთამაშებელი ტაირეკ ევანსი. ხანდახან ეს გუნდიც მაგრად იომებს, იქნებ "დალასის" დონის ფავორიტიც გაამწაროს, მაგრამ, ძირითადად, ასე იქნება - იფაფხურებს, წააგებს და კომპლიმენტებსაც დაიმსახურებს. ამჯერად "კინგზზე" წერა ამ გუნდის მოგებამ გადამაწყვეტინა და თან, სულ "ლეიკერსებსა" და "სპურს"-"სელტიქსებზე" ხომ არ უნდა ვისაუბროთ...

"საკრამენტოს" ასე კარგად რეგულარული მას მერე არ დაუწყია, რაც გუნდის ლოგოს ფორმაზე ატარებდნენ კრის უებერი, ვლადე დივაცი, მაიკ ბიბი და პეჟა სტოიაკოვიჩი.

ჩემპიონატის მორიგ შეხვედრაში კალიფორნიელები კევინ დიურანისა და (უკვე) რასელ უესტბრუკის "ოკლაჰომას" მასპინძლობდნენ. თანაც, ამჯერადაც ტრავმირებული მარტინის გარეშე, რომელიც როდის დაბრუნდება მოედანზე, არავინ იცის.

მოგება-წაგების გრაფაში "საკრამენტოს" 50-პროცენტიანი მაჩვენებელი ბოლოს 2006 წლის 4 დეკემბერს ჰქონდა, ზედიზედ სამი გამარჯვება კი გუნდმა უკანასკნელად ერთი წლის წინ გამოჭედა. ჰოდა, ახლა ორივე შედეგი გაიმეორა და ფანებიც გაახარა.

ტაირეკ ევანსმა მორიგი დომინანტური შეხვედრა ჩაატარა, სამმაგ დუბლამდე მხოლოდ 2-2 მოხსნა-პასი დააკლდა და, როგორც ხშირად ხდება, ამჯერადაც რამდენიმე სუპერეფექტური ფინტით გაალამაზა მისი გუნდისთვის პრინციპული დაპირისპირება.

"სხვა გუნდში რომ ვიყო, ან საერთოდ კალათბურთს არ ვთამაშობდე, ევანსის სანახავად ნებისმიერ თანხას გადავიხდიდი. ძალიან მაგარი ვინმეა. თან ხალისობს და თან, სულ მცირე, 20 ქულას აგროვებს", - ახასიათებს თანაგუნდელს ნოჩიონი და ასი პროცენტით მართალია.

დიურანმა არაჩვეულებრივად ითამაშა, 37 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდიც დაამყარა, მაგრამ, წინა მატჩებისა არ იყოს, ამჯერადაც საშინლად ისროლა სამიანები (6-დან 5 გააფუჭა), ბოლო შორეული ტყორცნის გამოუყენებლობით კი გუნდს ოვერტაიმი და ხალისი დააკარგვინა.

"დარწმუნებული ვიყავი, რომ ბურთი კალათში უნდა ჩასულიყო, მაგრამ არ გაგვიმართლა", - იტყვის მოგვიანებით კევინი, რომელსაც ამ ჩემპიონატში 32 სამიანიდან მხოლოდ ექვსი აქვს ჩაგდებული. სხვათა შორის, "თანდერის" სუპერვარსკვლავმა თვრამეტივე საჯარიმო გამოიყენა, რითაც ამდენი თავისუფალი სროლის უნაკლოდ შესრულებით გუნდის ახალი რეკორდი დაამყარა.

სტუმრებს შეეძლოთ შეხვედრის არა მარტო გადარჩენა, არამედ მოგებაც. როდესაც ძირითადის დასრულებამდე 5 წამით ადრე დიურანმა იშვიათი ზუსტი სამიანით ჰანდიკაპი მინიმუმამდე (98:99) დაიყვანა, მასპინძლებმა თამაშში ბურთის შეტანისას შეცდომა დაუშვეს, მაგრამ სათადარიგო ცენტრმა ნიკ კოლისონმა ვერ შეიმაგრა ბურთი და "თანდერიც" ევანსზე განგებ დაჯარიმდა.



"კინგზის" ლიდერმა ორივე საჯარიმო უშეცდომოდ შეასრულა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, დიურანმა კი საფინალო სირენასთან ერთად სროლით ბურთი რკინის რკალსაც ვერ გაარტყა.

დიურანს პირველ ნახევარში ნოჩიონი იჭერდა და არგენტინელმა კევინს 12 "ცოცხალი" სროლიდან მხოლოდ სამი ჩააგდებინა. სამაგიეროდ, როდესაც ანდრესი კევინის აჩრდილი აღარ ყოფილა, დიურანმა "აიწყვიტა" და მესამე მეოთხედში ერთბაშად 15 ქულა შეაკოწინა (მათ შორის - თავისი გუნდის ბოლო 10).

მოკლედ, "საკრამენტომ" მოიგო, მის რიგებში კი ევანსისა (21 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი) და ნოჩიონის (16 ქულა) გარდა, ფორვარდი ჯეისონ ტომპსონი (21 ქულა, 14 მოხსნა) და სლოვენიელი პლეიმეიკერი ბენო უდრიხი (12 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა) გამოირჩნენ.

დანარჩენი შეხვედრებიდან, პირველ რიგში, "მაიამი ჰიტის" მორიგი მოგება გამოვყოთ. ფლორიდელებმა "ვაშინგტონის" ძლევით მეშვიდე შეხვედრაში მეექვსე გამარჯვება მოიპოვეს და გუნდის ისტორიაში საუკეთესო სტარტი გაიმეორეს. ბოლოს "ჰიტმა" ასევე 6:1-ით დაიწყო რეგულარული 12 წლის წინ, როდესაც პატ რაილის სუპერგუნდი (ტიმი ჰარდეევი, ზო მურნინგი, დენ მარლი, აიზეკ ოსტინი და ჯამალ მაშბურნი) ჰყავდა.

"მაიამის" ლიდერმა დუეინ უეიდმა (41 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი) ბოლო 5 მატჩში მეორედ გადააბიჯა 40-ქულიან ზღვარს და თამაშიდან 29-ში 14, საჯარიმოს ხაზიდან კი 13-ში 12 სროლა შეასრულა ზუსტად.

დღის ანტიგმირი კი დედაქალაქელთა კაპიტანი და ერთადერთი ვარსკვლავი გილბერტ არენასია. აბა, მეტი რა არის, როდესაც მატჩს 13 არაზუსტი სროლითა და 12 (!) შეცდომით ჩაამთავრებ?!

პირველი ნომერი

ერთი დღის წინ ვიღაცის მიერ აცილებულ პენალტზე ისე ვწერდით, თითქოს ამით ქვეყანა დაქცეულიყოს. დღეს კი რეალურ ტრაგედიაზე გვიწევს საუბარი. ბუნდესნაკრების პირველმა ნომერმა რობერტ ენკემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე - 32 წლის მეკარე მატარებელს ჩაუვარდა.

სულ რაღაც 11 წლის წინ კი თითქოს ენკეზე ბედნიერი ადამიანი მსოფლიოში არ არსებობდა. 1998 წლის 15 აგვისტოს მან პირველად შეიგრძნო საკუთარ თავზე, თუ რას ნიშნავს იყო ბუნდესლიგის მოთამაშე. მისი დებიუტი გაიმართა მიონხენგლადბახის "ბორუსიასა" და "შალკეს" მატჩში. ამ მატჩში ენკემ საკუთარი კარი მშრალად შეინახა, მისმა გუნდმა კი 3:0 მოიგო, რითაც ბუნდესლიგის გათამაშებას ჩაუდგა სათავეში. თუმცა ამის შემდეგ გლადბახელთა საქმე უკან წავიდა. საპირისპირო მიმართულებით განვითარდა ენკეს კარიერა. ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარე ევროპულმა კლუბებმა შენიშნეს და ბუნდესლიგაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ენკე პორტუგალიურ "ბენფიკაში" აღმოჩნდა. შემდეგ იყო "ბარსელონა", "ფენერბახჩე", "ტენერიფე" და არც ისე წარმატებული სეზონები, რასაც სამშობლოში დაბრუნება მოჰყვა. მისი უკანასკნელი კლუბი იყო "ჰანოვერი", სადაც ენკემ საკუთარი თამაში იპოვა და დიდებაც დაიბრუნა.

მეკარემ სტაბილურად დაიწყო მაღალი დონის თამაშის ჩვენება. მას გერმანიის ნაკრების მწვრთნელებმაც მიაქციეს ყურადღება, პერიოდულად ბუნდესნაკრებშიც იწვევდნენ. სწორედ ამ დროს ენკეს ოჯახში დატრიალდა უბედურება, რომელმაც მეკარის სულიერ მდგომარეობას დაასვა დაღი. ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა ენკეს ორი წლის გოგონა - ლარა, რომელიც გულის მანკით იყო დაბადებული.

ტრაგედია ენკემ ვერ გადაიტანა, თუმცა, ნაკრებში მიწვევამ შესაძლოა მას ოდნავ შეუმსუბუქა მდგომარეობა. გაჩნდა ახალი მიზნები. პირადი ცხოვრებაც გარკვეული თვალსაზრისით შეიცვალა - რობერტმა და მისმა მეუღლემ გოგონა იშვილეს. ენკე აქტიურად ჩაერთო ცხოველთა დაცვის საზოგადოების მუშაობაში - ასე ცდილობდა იმ დიდი დარტყმის გადატანას, რომელიც მას ბედისწერამ მოუმზადა.

გერმანელი ფანები ენკეს ემშვიდობებიან

2009 წელი შესაძლოა ენკეს სპორტულ კარიერაში ტრიუმფალურადაც დასრულებულიყო. მან საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ბუნდესნაკრების შემადგენლობაში და გერმანიის მთავარ გუნდში პირველი ნომერი გახდა. დაასახელეს ბუნდელსლიგის საუკეთესო მეკარედ. წინ მუნდიალი ელოდა, მაგრამ...

ახლა ენკეს თვითმკვლელობის მიზეზებზე ბევრი იწერება. ისიც ითქვა, რომ ბოლო დროს მას სულიერად ძალიან უჭირდა. რატომ მოიკლა ენკემ თავი? - ახლა ეს კითხვა მეორეხარისხოვანია. მთავარი ის არის, რომ ცხოვრებიდან წავიდა ადამიანი, რომელიც საკუთარი თამაშით მილიონობით ქომაგს ანიჭებდა სიამოვნებას.

საქართველო-ირლანდიას გულშემატკივარი უფასოდ დაესწრება

ახალგაზრდული ნაკრები მოგებისთვის ემზადება

თეა დოლიძე

ახალგაზრდული ნაკრები ირლანდიასთან სათამაშოდ ემზადება. 21 წლამდელები ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბნენ და პირველ დღეს ერთჯერადი ვარჯიშით დაკმაყოფილდნენ. ნაკრების მწვრთნელის ოთარ გაბელიას განკარგულებაში ყველა გამოძახებული ფეხბურთელია, მაგრამ 21 წლამდელები მეტოქეს მაინც დიდი დანაკლისით ხვდებიან. ყვითელი ბარათების გამო ნაკრებს ლევან ყენია, გიორგი ხიდეშელი და ამირან სანაია დააკლდებიან. პირველი ვარჯიშის წინ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ნაკრებს "დინამოს" მცველი ლევან კაკუბავა დააკლდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დიდი შანსია, კაკუბავამ ირლანდიის წინააღმდეგ ითამაშოს. სათუო იყო ირაკლი კლიმიაშვილის მინდორზე გასვლა. "ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მატჩებში მუდამ ტრამვირებული ტოვებდა მოედანს.

ლევან კაკუბავა ("დინამო"): "მაღალი ტემპერატურის გამო ვარჯიში ვერც პირველ და ვერც მეორე დღეს ვერ მოვახერხე. ახლა მხოლოდ ყელი მტკივა და, იმედი მაქვს, დღეიდან ნაკრებს შევუერთდები. ძალიან მინდა სტადიონზე გასვლა და, ვფიქრობ, ჯანმრთელობა ამის საშუალებას მომცემს."

ირაკლი კლიმიაშვილი ("ვიტ ჯორჯია"): "ბოლო თამაშებში სულ ტრამვებს ვიღებ, მაგრამ, როგორც აქ მეუბნებიან, თამაშს შევძლებ. სამი ფეხბურთელი, რომლებიც ნაკრებს დააკლდებიან, ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ მაინც მოგების იმედი გვაქვს. რაც მთავარია, ვარჯიშებზე ყველანი ბოლომდე ვიხარჯებით. მართალია, ოთხი დღე ცოტაა ფიზიკური მომზადებისთვის, მაგრამ ჩვენ ჩვენი ტაქტიკით ვითამაშებთ და გამართლების იმედი მაქვს."

21 წლამდელების მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ დანაკლისის შესავსებად, რაც ძირითადად დაცვის ხაზს შეეხო, ნაკრებში ახალ ფეხბურთელებს უხმო. პირველად გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის მოხვდა გიორგი გაბედავაც. "გაგრის" 20 წლის თავდამსხმელის მისამართით გაბელიას მხრიდან ყოველთვის ისმოდა კრიტიკა მისი არასტაბილური თამაშის გამო, თუმცა, როგორც ჩანს, მწვრთნელმა აზრი შეიცვალა.

გიორგი გაბედავა ("გაგრა"): "კრიტიკა არასტაბილურ თამაშთან დაკავშირებით ჩემი პატარა ასაკის ბრალი იყო. როგორც ხედავთ, ყველაფერი შეიცვალა. იმედია, თავის გამოჩენის საშუალება მომეცემა. ბოლო დროს მოვუმატე თამაშს და პრაქტიკაც კარგი მაქვს. ჩემს პოზიციაზე გოლებით გაფასებენ. "გაგრაში" გოლის გატანა ძნელია და ალბათ ამიტომაც იყო ჩემზე ასეთი აზრი. ახლა სტაბილურ ფორმაში ვარ. ყველა ფეხბურთელის მიზანი ნაკრებში თამაშია და არაჩვეულებრივი შანსი მომეცა. განსაკუთრებულ მომზადებას არ გავდივარ, მაგრამ ფსიქოლოგიურად ნამდვილად ვემზადები. იმედი მაქვს, ჩემი დებიუტი წარმატებული იქნება და სასურველი შედეგის მიღწევა არ გაგვიჭირდება."

14 ნოემბერს ქართველი და ირლანდიელი ახალგაზრდების დაპირისპირება 14 საათზე დაიწყება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, გულშემატკივარი ამ მატჩს უფასოდ დაესწრება.

მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"): "მოგებისთვის ვემზადებით და აუცილებლად მივაღწევთ მიზანს. რაც უფრო მეტი ხალხი მოვა, მით უფრო თავდაჯერებულები გავალთ სტადიონზე. გულშემატკივარს სანახაობრივ ფეხბურთს ვპირდებით. მობრძანდით, დაგვიდექით გვერდში და არ ინანებთ."

აშშ საელჩო, თბილისი, საქართველო

2009 წლის 14 ნოემბერს, აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული** საოჯახო ავეჯი, მოწყობილობები, და აგრეთვე **ნახმარი და დაზიანებული** ავტომანქანები.

-აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

-მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და **სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს**.

-დაინტერესებულ პირთათვის **ნივთების დათვალიერება** მოხდება **მხოლოდ აუქციონის დღეს**, 2009 წლის 14 ნოემბერს დილის 9:00-დან 11:00 საათამდე.

-აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11:00 საათზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა 11. აშშ საელჩოს პარკინგის ტერიტორია.

ცნობებისთვის დარეკეთ: 277000 ან 899 563920

9 ნოემბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ალექსანდრე გუგუნავას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **6 797.57 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 20 ნოემბერს 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეებს ალექსანდრე გუგუნავა, მცხ: ქ.თბილისი, ქობულეთის ქ.N3/15; რეგ.მის: ქ.თბილისი, გორგასლის ქ.N1

10 ნოემბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია მანანა ნადირაძის, ლამარა ნადირაძისა და ლევან ბარბაქაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **161 026.11 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 20 ნოემბერს 11:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეებს მანანა ნადირაძე, მცხ: ქ.თბილისი, გ.ჩუბინაშვილის ქ..N29-13, ალტ.მისამართი; ქ.თბილისი, გ.დოლიძის ქ.N1; ლამარა ნადირაძე, მცხ: ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ.N1, ალტ.მისამართი; ქ.თბილისი, გ.დოლიძის ქ.N1 და ლევან ბარბაქაძე, მცხ: ქ.თბილისი, გ.ჩუბინაშვილის ქ.N29-13, ალტ.მისამართი; ქ.თბილისი, ბუხაიძის ქ.N18;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთში „24 საათი", 2009 წლის 15 სექტემბერი) ლოტზე №1 გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კია მოტორსი ჯორჯია", რომელთანაც 2009 წლის 16 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება.
2. ავეჯის და სხვა საოფისე ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთში „24 საათი", 2009 წლის 2 სექტემბერი) ლოტზე №2 გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ოფის 1", ლოტებზე №1 და №5 - შპს „ადეესი", ლოტზე №4 - სს „ორბელი 91", ლოტზე №8 - შპს „ჯეოსტილი", ლოტებზე №3, №6, №7 და №9 - შპს „მოდერნ ვილა", რომლებთანაც 2009 წლის 16 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულებები.
3. ერთჯერადი ლუქების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთში „24 საათი", 2009 წლის 28 სექტემბერი) ლოტებზე №2 და №4 გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ვესტა 07", ლოტებზე №1 და №3 - შპს „ტრეიდ პრო", რომლებთანაც 2009 წლის 30 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულებები.
4. საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთში „24 საათი", 2009 წლის 28 სექტემბერი) ლოტებზე №1 და №4 გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ტექნოსერვისი", ლოტებზე №2, №3, №5 და №6 - ი.ს. „გიორგი კანდელაკი - ვესტა", ლოტზე №8 - შპს „ალტა", რომლებთანაც 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულებები.
5. გენერატორების (მონტაჟით) სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთში „24 საათი", 2009 წლის 2 ოქტომბერი) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ახალი მთვარე", რომელთანაც 2009 წლის 06 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. 2009 წლის 11 ნოემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად :

ა)მუსიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;
ბ)ენათმეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;
გ)ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;
დ)კულტურისა და რელიგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ)ოთხი ფოტოსურათი 3X4;
დ)შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
ე)ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
ვ)ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);
ზ) კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან;
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:
ა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
ბ) ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან უნდა იყოს დოქტორანტი;

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:
ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;
ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;
გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);
დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება;

6. საბუთების მიღება იწარმოებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 15 დეკემბრიდან; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 11 იანვარი;

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2010 წლის 19 თებერვალს;

8. საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით (სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: uni@iliauni.edu.ge

რექტორი გიგი თევზაძე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – მონაცემთა ბაზების საკონსოლიდაციო სერვერული პლატფორმა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს მონაცემთა ბაზების საკონსოლიდაციო სერვერული პლატფორმის შესყიდვაზე.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. მონაცემთა ბაზების საკონსოლიდაციო სერვერული პლატფორმის მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 02 დეკემბერს 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა)სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

7. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0,50
2	საგარანტიო პირობები	0,30
3	მიწოდების ვადები	0,20
	სულ:	1,00

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

9. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 12 ნოემბრის 09:00 საათიდან 2009 წლის 01 დეკემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

14. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 02 დეკემბერს 15:00 საათზე.

15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, მონაცემთა ბაზების საკონსოლიდაციო სერვერული პლატფორმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

17. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge, i.tadiashvili@mof.ge.**

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი”, საქართველოს კანონის “მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ” შესაბამისად,

ა ც ხ ა დ ე ბ ს

ღია კონკურს ქვემოთჩამოთვლილი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

№	სამეცნიერო მიმართულების პროფილი	სამეცნიერო თანამდებობების რაოდენობა		
		მთავარი მეც. თანამშრომელი	უფროსი მეც. თანამშრომელი	მეც. თანამშრომელი
1	2	3	4	5
1	მიწისზედა და კოსმოსური საინჟინრო კომპლექსები, მათი კონსტრუირების და გაანგარიშების საფუძვლები და ექსპერიმენტალური კვლევები.	1×0,5	4×1 5×0,5	3×1
2	საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ხელოვნება		1×1	
3	სამხედრო ხელოვნება			2×0,5
4	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა საომარ და საგანგებო მდგომარეობებში, საბრძოლო მოქმედებებში		2×0,5	
5	ტრანსფორმირებადი სისტემების მექანიზმების და მანქანების თეორია.		1×1 1×0,5	

კონკურსანტს მოეთხოვება

– დასაკავებელი სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი დიპლომი;
– არჩეული პროფილის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გამოცდილება;
– გამოცემული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
– არჩეული პროფილის შესაბამისი შრომების ასლი;
– საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ და სხვა სახის ჟურნალებში და კრებულებში პროფილით გამოცემული სამეცნიერო სტატიების სია.
– დანერგილი სამუშაოები სახელმწიფო პროგრამებით (მათ შორის აღნიშნული პროფილით, საზღვარგარეთის შეკვეთები, საზღვარგარეთთან ერთობლივი სამუშაოები, საქართველოში შეკვეთილი დეპონირებული საინიციატივო სამუშაოები);
– პროფილის მიხედვით ჩატარებული ექსპერიმენტალური კვლევები და საწარმოო-ტექნოლოგიური სამუშაოები, ასევე კონსტრუქციების საშტატო გამოცდები, რომლებიც ასახულია პუბლიკაციებში და დამტკიცებულ სამეცნიერო ანგარიშებში;
– შრომების, კონსტრუქციული სისტემების და სხვა სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების ციტირება, ასახვა და აღიარება;
– საავტორო უფლებები: აღმოჩენაზე (დიპლომი); გამოგონებაზე (საავტორო მოწმობა ან პატენტი);
– ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
– საერთაშორისო სამეცნიერო და სხვა პროექტებში მონაწილეობა;
– სამეცნიერო საქმიანობით მიღებული შედეგები, რომლებმაც მოიპოვა აღიარება;
– მონოგრაფია;
– მოპოვებული პრემიები: სახელმწიფო სამეცნიერო პრემია, დარგობრივი სამეცნიერო პრემია;
– ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საინჟინრო დარგების მიხედვით ეროვნული ნორმების შემუშავება, სახელმწიფო დაკვეთებსა და პროექტებში მონაწილეობა;
– სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობა;
– აკადემიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა;
– სახელმწიფო ჯილდოები;
– უცხო ენების ცოდნა;
– კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, თანამედროვე საინფორმაციო-ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

– განცხადება (ფორმას გასცემს ინსტიტუტი);
– პირადობის მოწმობის ასლი;
– ავტობიოგრაფია;
– სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი;
– ბოლო 15 წლის განმავლობაში, შერჩეული პროფილით, სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია; სამეცნიერო პუბლიკაციები; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; გამოქვეყნებული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს.

განცხადებების მიღება განხორციელდება პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68 ბ, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი. ტელ. 33–08–36, 36–52–39;

დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

სატენდერო განცხადება

საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს სახით, საქართველოს კანონის "ნავთობისა და გაზის შესახებ" და "ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების" თანახმად, 2009 წლის 12 ნოემბერს აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს საქართველოს ღრმა ზღვის H და ხმელეთის XIA და XIV სალიცენზიო ბლოკებზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად.

სალიცენზიო ბლოკების ადგილმდებარეობა მოცემულია თანდართულ რუკაზე.

სალიცენზიო ბლოკი	ბლოკის ფართობი კვ.კმ	განაცხადების მიღების ბოლო ვადა	განაცხადების გახსნის ვადა
H (–100 მ სიღრმემდე ზღვის ფსკერიდან)	2160	28.12.2009 17 საათი (ადგილობრივი დროით)	28.12.2009 18 საათი (ადგილობრივი დროით)
XI^{A}	427	15.01.2010 17 საათი (ადგილობრივი დროით)	15.01.2010 18 საათი (ადგილობრივი დროით)
XIV	4410	15.01.2010 17 საათი (ადგილობრივი დროით)	15.01.2010 18 საათი (ადგილობრივი დროით)

სალიცენზიო ბლოკზე შემოტანილი განაცხადები გაიხსნება საჯაროდ ზემოთ მითითებულ დროს, ეროვნული სააგენტოს ოფისში, მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი №47, მე-4 სართული.

დამატებითი ინფორმაცია

ეროვნული სააგენტოს უფროსისადმი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაინტერესებულ პირებს, 2009 წლის 16 ნოემბრიდან შეუძლიათ მიიღონ საინფორმაციო პაკეტები სალიცენზიო ბლოკებისა და ტენდერის პირობების შესახებ. საინფორმაციო პაკეტის მიღება შესაძლებელია უფასოდ, ნაბეჭდი ან/და ელექტრონული ვერსიის სახით. სააგენტო უზრუნველყოფს საინფორმაციო პაკეტის მომთხოვნი პირების კერძო კურიერით მომსახურებას, თუ მომთხოვნი პირი წინასწარ ან ადგილზევე გადაიხდის კერძო კურიერის მომსახურების საფასურს.

საინფორმაციო პაკეტი მოიცავს:
ა) სალიცენზიო ფართობის ადგილმდებარეობასა და კოორდინატებს ;
ბ) ხელშეკრულების სამუშაო ვერსიას თითოეული ბლოკისთვის;
გ) მინიმალურ სავალდებულო ფინანსურ და ტექნიკურ მოთხოვნებს ყოველი ბლოკისთვის;
დ) ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების გაფორმების გრაფიკს;
ე) განაცხადის შეტანის ინსტრუქციებს ტენდერში მონაწილეებისათვის, მონაწილეობის მოსაკრებლის ოდენობისა და მისი გადახდის ფორმის ჩათვლით.

წერილობითი თხოვნა უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი 0177. ალ. ყაზბეგის გამზირი №47, მე-4 სართული, ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო, ტელ: (995 32) 253311, ელექტრონული ფოსტა **info@naog.ge,** საკონტაქტო პირი: ალექსანდრე ჭაბუკიანი

საქართველოს სალიცენზიო ბლოკები



"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 15 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "ორბისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა".

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 2 საბავშვო ბაღის დირექტორის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. დაიწყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №2 საბავშვო ბაღის (საიდენტიფიკაციო კოდი: **243911772**) ლიკვიდაცია.
2. ლიკვიდაციას ახორციელებს №2 საბავშვო ბაღის დირექტორი, ქალბატონი მაყვალა კილაძე (ტელ. **8(268) 4 00 82**).
3. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქ. ხაშური, ჭანკოტაძის ქ.№13.

№2 საბავშვო ბაღის დირექტორი: მაყვალა კილაძე

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს დამატებით ინფორმაციას 2009 წლის 11 ნოემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ აუქციონთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ გამოცხადებული მოძრავი ქონება (მილები) მდებარეობს მიწაში.

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

N
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
10 ნოემბერი 2009 წელი ქ.ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გოჩა ფუტკარაძემ განვიხილე შპს "აღორძინება-მ''-ის გაკოტრების მმართველის აბესალომ გურგენიძის განცხადება შპს "აღორძინება-მ''-ის გაკოტრების მმართველის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე

გამოარკვია:

შპს "აღორძინება-მ''-ის გაკოტრების მმართველმა აბესალომ გურგნიძემ განცხადებით მომართა გაკოტრების სასამართლოს საჯარო სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით გაკოტრების მმართველის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

სასამართლომ განიხილა რა წარმოდგენილი განცხადება, მოიწვია შპს "აღორძინება-მ''-ის რიგგარეშე კრედიტორთა კრება სადაც დაკმაყოფილდა შპს "აღორძინება-მ''-ის გაკოტრების მმართველის აბესალომ გურგენიძის განცხადება. ხოლო გაკოტრების მმართველის, ხოლო კანდიდატურა წამოაყენა უზრუნველყოფილმა კრედიტორმა შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია).

სასამართლომ შეამოწმა გაკოტრების მმართველად დასანიშნი გიორგი დეკანაიძის კანდიდატურა (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1989 წლის 10 ოქტომბერს ხულოში, მცხოვრები, ხულოს რაიონი, სოფელი ქედლები, პირადი N61009001944, პირადობის მოწმობის Nგ 1185944). რომელიც ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი პირია, ის არ ეწევა იგივე ან მსგავს საქმიანობას როგორსაც მოვალე. გიორგი დეკანაძე არის შესაბამისი საქმიანი რეპუტაციის მქონე პირი.

სასამართლო თვლის, რომ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 37-ე მუხლის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და იგი უნდა სარგებლობდეს ამავე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით,

დაადგინა:

1. განთავისუფლდეს აბესალომ გურგენიძე შპს "აღორძინება-მ''-ის გაკოტრების მმართველის თანამდებობიდან.
2. დაინიშნოს შპს "აღორძინება-მ''-ის გაკოტრების მმართველად გიორგი დეკანაძე საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1989 წლის 10 ოქტომბერს ხულოში, მცხოვრები, ხულოს რაიონი, სოფელი ქედლები, პირადი N61009001944, პირადობის მოწმობის Nგ 1185944. რომელიც ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი პირია, ის არ ეწევა იგივე ან მსგავს საქმიანობას როგორსაც მოვალე. გიორგი დეკანაძე არის შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი.
3. დაევალოს გაკოტრების მმართველს დაუყოვნებლივ მიიღოს თავის მმართველობაში გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი და შეასრულოს "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.
4. გაკოტრების მმართველი გიორგი დეკანაძე თავისი მოვალეობების შესრულებაზე გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე პასუხისმგებელი იქნეს. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, დაეკისროს მისი სრული ოდენობით ანაზღაურება.
5. გაკოტრების მმართველის საქმიანობას ზედამხედველობა გაუწიოს გაკოტრების სასამართლომ. სასმართლო მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლებს გაკოტრების მმართველს და დანიშნავს სხვა მმართველს.
6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის გზით მისი ასლის მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში: ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში (მისამართი ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქ.N32) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: გოჩა ფუტკარაძე

განცხადება მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს მრავალწლიან ტენდერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე, მდინარე ტეხურზე არსებულ ხიდზე გარე განათების მოსაწყობად და ამავე ხიდიდან აბაშის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე არსებული გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე, მდინარე ტეხურზე არსებულ ხიდზე გარე განათების მოსაწყობად და ამავე ხიდიდან აბაშის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე არსებული გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

2. სამუშაოების მიწოდების განხორციელების სავალდებულო ვადაა სახელმწიფო შესყიდვის **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში. სატენდერო წინადადებების წარდგენა, კონვერტის გახსნა და შეფასება მოხდება ალტერნატიული წესით.**

3. დაინტერესებულმა პირებმა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარუდგინონ 2 დახურული კონვერტი დედანის სახით (კონვერტზე გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნით N1 და N2) N1 კონვერტში უნდა მოთავსდეს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადება, N2 კონვერტში ის დოკუმენტები, ინფორმაცია და ფინანსური წინადადებები, რომელიც გამოიყენება შეფასებისთვის. კონვერტები სატენდერო კომისის აპარატს წარედგინება **ქართულ ენაზე 2009 წლის 2 დეკემბრის 11:00 საათიდან 2 დეკემბრის 16:00 საათამდე,** მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. N103, მე-2 სართული. **კონვერტები გაიხსნება 2 დეკემბერს 16:00 საათზე.** შემდეგ მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. N103, მე-3 სართული.

4. პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ)ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ)ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ვ)ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღისა და ინკასოს არარსებობის შესახებ.

4.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა)ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ)ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირთათვის:

ა)ინფორმაციას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ არანაკლებ 100000 ლარის ოდენობით; (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა აღნიშნულ ინფორმაციაზე)

ბ)ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა აღნიშნულ ინფორმაციაზე)

გ)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ)ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არარსებობის შესახებ;

ე)ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ;

ვ)უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

ზ) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება ცნობის სახით, რომ ის არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

თ) ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ;

ი) ინფორმაცია წინასწარი ანგარიშსწორების შესახებ;

კ) ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ;

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინის კოდი: სენაკი 300373174.

გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი **სენაკში,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების მოწყობის **სამუშაოების შესყიდვისათვის საჭირო ტენდერი**, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა **განცხადების გამოქვეყნებიდან 1 დეკემბრის 17:00 საათამდე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ.

9. ტენდერში მონაწილე ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

10.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

11.სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **საბანკო ან სადაზღვევო გარანტია**, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

12.ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური Gღირებულების 5%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე. (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ბანკიდან ან სადაზღვევო ორგანიზაციიდან)

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: შესყიდვების განყოფილების უფროსის მ/შემსრულებელი ხათუნა ჭანტურია ტელ: 7 76 35

სატენდერო კომისია